

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ი. გავოშვიძე

ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი — 1964

902.6 (c 41)
902.6 (47.922)
§ 142

წიგნში პირველად ქვეყნდება ლენინგორის რაიონის სოფელ ყანჩაეთში აღმოჩენილი მდიდრული სამარხის ინვენტარი, რომელიც თავისი ხასიათით ახლადგას ცნობილ ახალგორის განძთან და ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნით თარიღდება.

წაშრომში აღძრულ საკითხებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობას ისტორიის შესწავლისათვის. იგი განკუთვნილია როგორც სპეციალისტ არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1908 წლის ზაფხულის დასაწყისში მდ. ქსნის ხეობაში, სოფელ საძვეგურთან შეგთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომლის ინვენტარი ამჟამად საქვეყნოდ ცნობილია ახალგორის განძის სახელით¹. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენის დღიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა, ახალგორის განძი დღესაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლად, რომელიც კი ოდესმე აღმოჩენილა საქართველოს ტერიტორიაზე. ახალგორის განძის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მისი შემადგენელი ნივთების დიდი მხატვრული ღირებულებით, არამედ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ახალგორის განძის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უძირითადეს პრობლემასთან—საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემასთან. ამ თვალსაზრისით კი ახალგორის განძი დღემდე არ შეიძლება ჩაითვალოს ჯეროვნად შესწავლილად და შეფასებულად მის გარშემო არსებული საკმაოდ მდიდარი ლიტერატურის მიუხედავად². და ეს ასეა იმ დროს, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების, მათი სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის, საზღვრების, პოლიტიკური ისტორიის საკითხებიც კი სწორედ ქართულმა არქეოლოგიამ უნდა გადაჭრას, რადგანაც ის ორიოდ ცნობა, რო-

¹ Е. С. Такашвили, Археологические путешествия, разыскания и заметки, Известия кавказского отделения Императорского Московского Археологического Общества, выпуск IV, Тбилиси, 1915 г., გვ.139—146.

Я. И. Смирнов, Дхалгорийский клад, Тбилиси, 1934 г., იხ. გ. 6. ჩუბინაშვილის შესავალი წერილი.

² ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, თბილისი. 1960 წ., გვ. 18--20.

მელიც ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებშია შემონახული, ამ საკითხების გადასაქრელად სრულებითაც არაა საკმარისი³.

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ქართულმა არქეოლოგიამ დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველოს ისტორიის აღრესახელმწიფოებრივი პერიოდის, ე. წ. აღრეანტიკური ხანის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI—IV სს.) არქეოლოგიური ძეგლების გამოვლინებისა და შესწავლის საქმეში. ათეულობით ამ ხანის სამაროვანი თუ ნამოსახლარი გაითხარა და ითხრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში⁴, მაგრამ უკანასკნელ ხანამდე (ცნობილი იყო ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც თავისი სიმდიდრითა და, რაც მთავარია, ხასიათით მჭიდროდ ეკვრის და მხარში უდგას ახალგორის განძს. ესაა მდ. ალგეთზე, სოფელ წინწყაროსთან 1940 წლის ივლისში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი. ალგეთის წინწყაროს სამარხისა და ახალგორის განძის სრული სინქრონულობა თავისდროზე დამაჯერებლად დაასაბუთა პროფ. კუფტინმა⁵.

1960 წლის ივნისში ამჯერად ცვლავ ქსნის ხეობაში, სოფელ ყანჩაეთთან—სულ ახლოს ახალგორის განძის აღმოჩენის ადგილიდან—სამწუხაროდ ასევე შემთხვევით, აღმოჩნდა ამავე ხანის კიდევ ერთი მდიდრული სამარხი, რომელიც, როგორც ქვევით დავიხაზავთ, ერთის მხრივ, კიდევ უფრო ახლოს დგას თავისი ხასიათით ახალგორის განძთან, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ალგეთის სამარხსა და ახალგორის განძს და ბევრი რამით ავსებს მათ მონაცემებს.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია ყანჩაეთის სამარხის ინვენტარის პუბლიკაცია. ამ მასალის პუბლიკაცია გამართლებულა და აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ თავისთავად მეტად საყურადღებო და საკმაოდ იშვიათ ნივთებს შეიცავს, არამედ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამო. საქმე ისაა, რომ, რო-

³ Е. И. Крупнов, О состоянии и задачах изучения археологии Кавказа, КСИИМК, вып. 60, 1955 г., стр. 11.

А. И. Болтунова, Возникновение классового общества и государственной власти в Иберии, Вестник древней истории, № 2, 1956 г., стр. 29.

⁴ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952 წ., გვ. 103--114.

ავტორთა კოლექტივი, „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 1959 წ., თავი IV.

⁵ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 34—41, табл. VIII--XII.

გორც ცნობილია, შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ყოველთვის მეტ-ნაკლებად დაზიანებული და ნაკლულია. ამ მხრავ გამოწვევის არც ახალგორის განძი და ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხები წარმოადგენს. ამიტომ სრული ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდება მხოლოდ სამივე ამ ძეგლის ერთობლივი განხილვის საფუძველზე. ხოლო ამ ძეგლებიდან რაც შეიძლება სრული ინფორმაციის მიღება, ჩვენის აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია ადრეანტიკური ხანის საქართველოს მოსახლეობის სოციალური წყობის ხასიათის გასარკვევად, რამდენადაც ჭერჭერობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ გვევლება არც ერთი ისეთი სამარხი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ადრეანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოების უმაღლესი წრის—შემდეგდროინდელი პიტიახშებისა და ერისთავების წინამორბედთა წარმომადგენლების საფლავებად. როგორც ეს გვგონია ახალგორის განძის, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხებთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით ყანჩაეთის სამარხის ინვენტარის მნიშვნელობის გასარკვევად საკმარისია აღინიშნოს, რომ მის შემადგენლობაში შედის რკინის საბრძოლო იარაღის თითქმის სრული კომპლექტი (ცული, მახვილი, შუბისა და ხელშუბის პირები და სხვა), მაშინ როცა არც ახალგორის განძი (როგორც ქალის სამარხის ინვენტარი) და არც ალგეთის სამარხის ინვენტარი იარაღს სრულებით არ შეიცავს, თუ არ ჩავთვლით ბრინჯაოს სკვითური ტიპის ერთადერთ ისრისპირს ალგეთის სამარხიდან⁸.

ყანჩაეთის აღმოჩენის უმთავრესი მნიშვნელობა სწორედ ისაა, რომ იგი ახალგორის განძს უკავშირდება. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ყანჩაეთის სამარხის მასალები ახალგორის განძთან (და ალგეთის სამარხის ინვენტართან) მიმართებაშია განხილული.

ნაშრომში ვეცადეთ დაგვეუსტებინა ახალგორის განძის თარიღი და თუ ეს ცდა დამაჩერებლად გამოიყურება, მაშინ ნაშრომის ეს მეორე მიზანიც შესრულებული იქნება.

ნაშრომი შესრულებულია 1961—63 წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეო-

⁸ ისრისპირი გამოქვეყნებული აქვს ბ. კუფტინს, მაგრამ არ აღნიშნავს, რომ იგი ალგეთის სამარხის ინვენტართანაა დაკავშირებული. იხ. Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 44, рис. 41. იხ. აგრეთვე აქტი ალგეთის სამარხის ინვენტარის მუზეუმში შემოსვლის შესახებ.

დალური ხანას საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში, განყოფილების გამგის.—აღ. ჯავახიშვილისა და თანამშრომელთა დახმარებით, რისთვისაც მათი დიდად მადლობელი ვარ, ისევე როგორც ჩემი ხელმძღვანელისა ასპირანტურის წლებში—ნ. ხოშტარიასი.

ფოტოსურათები გადაიღო და დამზადა ლ. ნ. სკლიფასოვსკიძე. ნახატები შეასრულეს ა. ამბრიაშვილმა და გ. ჯავახიშვილმა. დაბოლოს არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენო თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ო. ტყეშელაშვილი, რომელმაც შესაძლებლობა მომცა დამემუშავებინა ეს მეტად საინტერესო მასალა.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ი ლ ი

სამარხის აღმოჩენის ვითარება

მდინარე ყანჩაურა ქსნის მარჯვენა შენაკადია და ქსნას ერთვის მისი დინების დაახლოებით შუაწელზე, დაბა ლენინგორის ჩრდილოეთით ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე, სოფელ იკოათის პირდაპირ. ყანჩაურას მოკლე, მაგრამ საკმაოდ ფართო ხეობა დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა მიმართული და ამფითეატრად ეშვება ქსნასაკენ.

აქ, ხეობის ბოლოს სამი სოფელია: მდინარის შესართავთან ჰაზუანთ-კარი, სამხრეთით ერედა, ჩრდილოეთით წირქოლი. ხეობის სიღრმეში კი, მდინარე ყანჩაურას მარცხენა ნაპირზე აღმართულ მთების ფერდობებზე სოფელი ყანჩაეთია შეფენილი. ყანჩაეთის დასავლეთით, ქსნისა და ლეხურას ხეობების წყალგამყოფზე მდებარეობს სოფელი არმაზი.

ყანჩაურას ხეობის მარჯვენა მხარეს მთების ფერდობები ციცაბოდ ეშვება მდინარისაკენ და ხშირი ტყითაა დაფარული, მარცხნივ კი ფერდობები უფრო დამრეცია, მზიანი და უტყვეო. ძირითადად აქაა თავმოყრილი ყანჩაელთა ვენახები და სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც თითქმის მთლიანად ირწყვის ყანჩაურადან გამოღებულ არხით. ეს რუ ტიპური სასოფლო რუა და მისი გაცვანა არავითარ რთულ საინჟინრო ნაგებობას არ მოითხოვს.

სოფელ ყანჩაეთის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა სამკურნალო-მინერალური წყარო, რომელიც შუა სოფელში გამოდის და ვეკა

ეწოდება. წყაროზე აბანოა აგებული. აქ სამკურნალოდ ქსნის ხეობის შორეული კუთხეებიდანაც კი მოდიან.

ყანჩაურას გასდევს ქსნისა და ლეხურის ხეობების შემაერთებული უმოკლესი გზა, რომელიც სოფელ ყანჩაეთისა და არმაზის გავლით ზახორში ჩაღის⁷.

ყველა ამ ფაქტორს—ქსნის ხეობის სამიწათმოქმედო ნაწილის შუაგულში მდებარეობას⁸, ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებისათვის უადრესად ხელსაყრელი პირობების არსებობას, კერძოდ მიწების მორწყვის სიადვილეს, ხეობის კარგად დაცულობას მასზე გამავალ ეკონომიურად მნიშვნელოვან გზას და, თუნდაც, მინერალურ წყაროსაც კი არ შეიძლებოდა ძველთაგანვე ხელი არ შეეწყო ყანჩაურას ხეობის დაწინაურებისათვის, და მართლაც ეს ხეობა წარსულში საკმაოდ დაწინაურებული ჩანს, თუ კი ვიშკვლეებთ მიწისზედა და მიწისქვეშა ისტორიული ძეგლების სიმდიდრით, რითაც გამოირჩევა სოფელ ყანჩაეთის მიდამოები თვით ამ მსრივ სახელგანთქმულ ქსნის ხეობაშიც კი. სოფელ ყანჩაეთის მიდამოებში დგას VIII და IX საუკუნეების სამი თვალსაჩინო არქიტექტურული ძეგლი, რომლებსაც აკადემიკოსი გ. ნ. ჩუბინაშვილი ქართული არქიტექტურის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლებად თვლის⁹.

ერთი მათგანია წმ. ვიორჯის ტაძარი არმაზში 864 წლით დათარიღებული სამშენებლო წარწერით¹⁰. მეორე—წარქოლის ტაძარი — VIII საუკუნის ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში¹¹, მესამე—კაბენის ანუ ყანჩაეთის მონასტრის ძირითადი, უძველესი ნაწილი, რომლის აგება ცოტათი წინ უნდა უსწრებდეს წირაქოლს¹².

⁷ მიმოსვლა ამ გზაზე ამჟამადაც საკმაოდ გაცხოველებულია, ძველად კი მისი მნიშვნელობა უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. მთავარიანი და მწირი ხედავწილი ლეხურის ხეობისა ეკონომიურად დანოკიდებული უნდა ყოფილიყო ქსნის ხეობისაგან. პოლიტიკურადაც ისინი ერთ მთლიანს წარმოადგენდა.

⁸ სოფ. საძვეურს სანზრევით ზებუჯრის კლდეს კვეთს მტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი. . . და ან კლდეს ზეით იწრო და მკიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან კლდ იანობითა“. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ., გვ. 68.

⁹ Г. Н. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ушельи, ქართული ხელოვნება, თბილისი, 1942 წ., გვ. 2—3.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, გვ. 19.

¹² იქვე, გვ. 27.

VIII—IX სს. ქართული არქიტექტურის ეს სამი ძეგლი ააშკარავენ, რომ საქართველოს ისტორიის ესოდენ მძიმე მონაკვეთშიც კი ამ შედარებით მოშორებულ და განკერძოებულ კუთხეში აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა¹³.

შუასაუკუნეების ქართულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა აღრეულ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს წირქოლის ციხეც. რომელიც ქსნის მარჯვენა ნაპირზეა. სოფელ წირქოლის ჩრდილოეთით და რომელსაც „მატიანშ ქართლისაჲ“ ბაგრატ III მეფობის დასაწყისში მოიხსენიებს¹⁴. „მატიანშ ქართლისაჲს“ ეს ცნობა ნათლად გვიჩვენებს საერთოდ ქსნის ხეობისა და საკუთრივ წირქოლის ციხის განსაკუთრებულ როლს იმ ბრძოლებში, რომლებიც წარმოებდა საქართველოს ცენტრალიზებულ-სახელმწიფოს წარმოქმნის ხანაში. ქსნის ხეობის სამიწათმოქმედო ნაწილის განაპირას. ვიწროებში აღმართული წირქოლის ციხე კეტავდა ხეობის მთიან ნაწილს და შასტრატეგიული მნიშვნელობა გვიან შუასაუკუნეებამდე არ დაუკარგავს¹⁵.

წირქოლის ციხეში 1925 წელს აღმოჩენილა სამი ქვა რელიეფებით, რომლებსაც აკად. ვ. ნ. ჩუბინაშვილი უძველესი ხანის ხელოვნების ძეგლად მიიჩნევს¹⁶.

ყანჩაეთს მიდამოებში მცველელი არქეოლოგიური ძეგლებიც საკმაოდ მრავლისმეტყველია, თუმცა-ღა ეს ადგილები არქეოლოგიურად თითქმის სრულიად შეუსწავლელია, ისევე როგორც საერთოდ მთელი ქსნის ხეობა. სადაც დღემდე მხოლოდ მცირე მასშტაბის დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოებია ჩატარე-

¹³ ვ. ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

¹⁴ კახელებმა ქართლის ახნაურთა დახმარებით დატყვევეს გურგენ მეფე, დედოფალი გურანდუხტი და ააფე ბაგრატ III, მაგრამ დაეთ კურაპალატის გამოლაშქრებისთანავე დატყვევებულნი გაათავისუფლეს და ყველა დაპყრობილი ადგილი ქართლში დააბრუნეს წირქუალის ციხისა და გრუას გარდა. ეს მომხდარა 975—976 წლებში. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 274—276.

ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1948 წ., გვ. 122—123.

¹⁵ პ. ხაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI—B, 1950 წ., გვ. 182—183. პ. ხაქარაია წირქოლის ციხეზე აჩვენებს ორ სამშენებლო პერიოდს, პირველი ძველ ხანას მიეკუთვნება, მეორე გვიან შუასაუკუნეებს.

¹⁶ ვ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936 წ., გვ. 207—208, ნახ. 162.

ბული¹⁷. ყანჩაეთის მიდამოებში მიკვლეული უძველესი არქეოლო-
გიური ძეგლი წირქოლის ნამოსახლარი გორაა, რომელზედაც აღრე
ბრინჯაოს ხანის ფენებია დადასტურებული¹⁸. ასეთივე გორა
აღმოჩენილ იქნა ქსანგალმაც. სოფ. იკოთთან¹⁹. იკოთიდანვეა საქარ-
თველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული № 111—13 : 1 ვერცხ-
ლის სხივებიანი საყურე და № 111—13 : 2 ბრინჯაოს საცილი.

ყანჩაურას შესართავს ქვემოთ, სოფელ ერედასთან ქსნისპირა
ვლ-ტეში, ჭრილში კარგად შეიმჩნევა ქვაყრილიანი სამარხები.
რომლებიც სამ სართულადაა განლაგებული²⁰. სამაროვანი ფლატეს
გასწვრივ გრძელდება ას მეტრამდე და მდინარე სისტემატურად რე-
ცხავს მას. 1962 წელს ლენინგორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის
დირექტორის ვ. ხოტუაშვილის მიერ ამ სამაროვანზე შეკრებილი მა-
სალების მიხედვით ირკვევა, რომ ერედას სამაროვანის ქვედა, უძ-
ველესი ფენა გვიანა ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს უნდა მიე-
კუთვნოს (ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი). ხოლო ზედა ფენა—

¹⁷ 1908—1909 წლებში ე. წ. ახალგორის ჯანძის აღმოჩენასთან დაკავშირე-
ბით ე. თაყაიშვილმა ორჯერ მოიხილა აღმოჩენის ადგილი სოფ. საძვეურთან,
მაგრამ გათხრები არ ჩატარებია. Е. Такашвили, დასახ. ნაშრ., გვ.
142—143. აგრეთვე Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. VI—VII.

1945 წელს ქსნის ხეობაში გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა
აკად. ი. ჯუაბიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია, რომელმაც
საძვეურში, იმავე სამაროვანზე, სადაც „განძი“ აღმოჩნდა. გათხარა „განძის“
თანდროული „ლარიბული, თითქმის არაფრის მქონეთა სამარხები“. იხ. გ. გო-
ბეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

1949 წლის 25 ოქტომბერს პროფ. ბ. კუფტინმა ქსნის ხეობაში, სოფ. ერე-
დასთან მცირე გათხრები ჩატარა. იხ. Юго-Осетинская маршрутная экспе-
диция, 1949 г. პროფ. კუფტინის დღიური, 25 ოქტომბრისა (ხელნაწერი დაც-
ულია საქართველოს სახ. მუზეუმში).

1955 წელს ქსნის ხეობაში ნამოსახლარი გორების მიკვლევისა და აღნუსხვის
მიზნით მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის ისტორიულ-არქეო-
ლოგიური დახვეწითი ექსპედიცია, რომელმაც ქსანზე რამოდენიმე ნამოსახლარი
გორა აღმოაჩინა. იხ. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქაოთ-
ლის 1955 წ. დახვეწითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული
გეოგრაფიის კრებული, I, თბილისი, 1961 წ., გვ. 185--196.

¹⁸ დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

¹⁹ იქვე, გვ. 193.

²⁰ ერედას სამაროვანი დაათვალიერა პროფ. კუფტინმა 1949 წლის 25 ოქ-
ტომბერს. დღიურში იგი წერს: „Осмотрен могильник бронзовой эпохи в
обрыве к реке Ксанка. Здесь погребение под наносом на глубине в 2,5
м было по возможности разобрано в вертикальном его разрезе с лестни-
цы (браслет, пуговицы пятигранные, бусы сердоликовые, овальные, полу-
тароспиральные завитки)“.

ადრეანტიკურ ხანას (ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი სკვითური ტიპის ისრისპირის მიხედვით). იმავე სოფელ ერედასთან, ადგილ ჯავახიანო ნაფუზარზე პროფ. კუფტინმა მიაკვლია ქვაყუთებიან სამაროვანს და თლილი ქვით ნაგები ერთი ქვაყუთი გათხარა კიდეც²¹.

დაბოლოს, თვით სოფელ ყანჩაეთში შემთხვევით აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის მდიდრული სამარხი, რომლის ინვენტარისადრეცია იხრითადად მიძღვნილი წინაპდებარე ნაშრომი.

სოფელ ყანჩაეთს ზემოთ მდ. ყანჩაურას მარჯვნიდან ერთვის ე. წ. დაკიდული ხევი. დაკიდულ რევსა და ყანჩაურას შორის მოქცეულ მაღალ კონცხზე შევაკება, რომელსაც ხატის ან ნიშის ვაკეს უწოდებენ. აქ დგას ხატი, ნიში—მუნის სე. ნიშის სამხრეთით გადის ტყეში შენავალი სამარხილე გზა. გზა ღრმადაა ჩაჭრილი და დეღეს დამსკავსებია.

სწორედ ამ გზის პირას, „ნიშივაკეზე“ 1960 წლის 12 ივნისს ლენინგორის რაიონის სოფელ ყანჩაეთის მცხოვრებნი კ., გ. და რ. ტატუნაშვილები, რომლებიც ტყეში შემაზე მიდიოდნენ, შემთხვევით წააწყდნენ წვიმის წყლისაგან გამორეცხილ სამარხს და ამოთიარეს ნივთები.

აღმოჩენის შესახებ ცნობა მიუვიდა ლენინგორის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს, შემდგომში ლენინგორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორს ვალერიან გიორგის ძე ნოცუაშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ მიიღო ზომები ნივთების გადასარჩენად. სამწუხაროდ, რამდენიმე ოქროს ნივთი, მათ შორის ოქროს ორი ბეჭედი. უკვე დაკარგული იყო.

ყანჩაეთში ნივთების აღმოჩენის შესახებ ცნობის მიღებისთანავე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ აღმოჩენის ადგილის დასაზვერად გაგზავნა თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. ტყემელაშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. მიქაძე, რომელთაც დაათვალიერეს აღმოჩენის ადგილი, დაშატებით იპოვეს რამდენიმე ნივთი, კერძოდ ბრინჯაოს სამაჯურა (ჩვენი აღწერილობის № 6), ვერცხლის ბეჭდის ნატეხები (ჩვენი აღწერილობის № 8, 9), რკინის ლურსმანი (ჩვენი აღწერილობის № 43), თიხის ქურჭლისა და ძვლების ნატეხები და სხვა და 1960 წლის 30 ივნისს სათანადოდ შედგენილი აქტით ლენინგორის რაიმილიციისაგან ჩაიბარეს ყანჩაეთში აღმოჩენილი ნივთები.

²¹ იხ. პროფ. კუფტინის ზემოთ დასახელებული დღიური.

სამარხის აღმოჩენის ადგილას ჩვენ ვიყავით ორგზის, 1961 და 1962 წლებში და გამოვკითხეთ აღმოჩენები. მათი ნათხარი აღმოჩენიდან ორი წლის გასვლის შემდეგაც კარგად შეიმჩნეოდა. ხათხარის სიგრძე დაახლოებით ორი, ხოლო სიგანე ერთი მეტრი იყო. ორმო დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იქვე დამატებით აღმოჩნდა კიდევ ბრინჯაოს ჭურჭლების ნატეხები, ბრინჯაოს გვერდჩაჭრილი ზარაკი და ბრინჯაოსავე ღერო, შესაძლებელია, სამაჯურის ნატეხი.

აღმოჩენის ადგილის გარშემო ზედაპირზე ავკრიფეთ სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები, კაყის ნამგლის ჩასართი, აგრეთვე წნულის ანაბეჭდიანი გადანწეარი ბათქაშისა და ალიზის ნატეხები, რაც უცილობლივ მიუთითებს აქ ნამოსახლარის არსებობაზე.

ზედაპირზე აკრეფილი თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან ვაისაყურებით აღსანიშნავია ნატეხების ერთი ჯგუფი. რომლებიც კარგად ჯდება ჩვენს წელთაღრიცხვანძღე VI—IV საუკუნეებში, როგორც ფაქტურით, ისევე ფორმებით. ესაა წითლად ანგობირებული და გაპრიალებული პირვადამულია დოქებისა და ფილის ნატეხები. ერთაც მოყვითალო ზედაპირიანი და წითლად მოხატული ჭურჭლის ნატეხია.

აღმოჩენის ადგილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ასიოდ მეტრის მანძილზე, ტყეში დიდრონი ლოდებით ნაგები შენობის ნანგრევები და ქვის სამარხები ჩანს. რომდენიმე ქვისსამარხი გაუშინებლბათ 1960 წლის 12 ივნისის აღმოჩენით წაქეზებულ „განძის მაძიებლებს“, მაგრამ ჩონჩხების გარდა ვერაფრისათვის მიუგნიათ. მათვე გაუხსნიათ ნაგლეჯი ქვით კირის ხსნარზე ნაგები და ფილაქვებით გადაჭურული აკლამა. (აკლამის ზომებია: სიგრძე 2.20 მ, სიგანე 1.30 მ, სიმაღლე 1.50 მ). ძეგლის ხასიათის გარკვევა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებითაა შესაძლებელი.

სამარხის აღმოჩენითა თქვით მათ „ნიშივაკზე“. უხის პირას დაუნახავთ წყლისაგან გამორეცხილი თიხის „ლიტრა“. რომელიც დამტერულა და ნატეხები იქვე გადაუყრიათ. შემდეგ დაუწყიათ თხრა. რბილი სათხრელი ყოფილა. ჩანდა ადამიანის ძვლები, მაგრამ დაფშენილი, როგორც მტვერი. ადამიანის ძვლები პატარაზე, დაახლოებით 1 მეტრის მანძილზე ჩნდებოდა. თავით მიცვალებულს „ცელი“ სდებია (ცელში, როგორც ჩანს, იგულისხმება რკანის მოხრალი ცალპირა მანვილი № 32 ი. გ.), ვერცხლს თასი კი გულზე. იქვე იღო ბრინჯაოს „ჭიქის ჩასადები“ (იგულისხმება ბრინჯაოს კვი-

რული შტანდარტი, № 10 ი. გ.). თავის ქალის მარცხენა მხარეს ერთად ეყარა ბეჭდები. ადვილად იმტვრეოდაო. ერთი თუ ორი იქვე დამტვრეულა. წამოულიათ ორი ოქროსი და ერთივე ვერცხლის ბეჭედი. ბეჭდებთანვე ეგდო სპილენძის ცხვირით. ჩონჩხის ფეხებთან ეწყობ შუბები. სამი ლაკამი („ჯაჭვები“—კ. ტატუნაშვილის გამოთქმით) ფეხების მხარეს რივზე ეწყობ, გაშლილები.

ყანჩაეთში აღმოჩენილი ნივთების ანალიზი, აგრეთვე აღმოჩენთა ჩვენების განხილვა საშუალებას იძლევა დაეასკვნათ, რომ ყანჩაეთის აღმოჩენის სახით ჩვენ სამარხთან გვაქვს საქმე და არა გახდთან.

როგორც აქტიდან ჩანს, იმავე დასკვნამდე მისულან ო. ტყეშელაშვილი და გ. მიქაბე. რომლებმაც აღმოჩენიდან 18 დღის შემდეგ დააცვალა იერეს აღმოჩენის ადგილი, თუმცა მაშინ „სამარხის ნიშნები გარკვევით არ ჩანდა“, ხოლო აღმოჩენის ადგილიდან წამოღებული ლულოვანი ძვალი ადამიანისა კი არა, რაღაც მსხვილფეხა საქონლისა გამოდგა²².

ყანჩაეთში რომ სწორედ სამარხი აღმოჩნდა და არა განძი, გარდა აღმოჩენთა ჩვენებისა, რომლებიც ერთხმად ამტკიცებენ. ადამიანის ძვლები ჩანდაო და კერძოდ თავის ქალაცო, ადასტურებს ის ფაქტი, რომ ყანჩაეთში აღმოჩენილ მასალაში შედის ისეთი სპეციფიკურად სამარხეული ინვენტარი, როგორცაა მიცვალებულის ტუჩებზე და თვლებზე დასაფარებელი ვერცხლის ფირფიტები. რომლებიც, როგორც ცნობილია, სპეციალურად სამარხისათვის კეთდებოდა და, ცხადია, განძში ვერ მოხვდებოდა²³. ამავე აზრს ადასტურებს ყანჩაეთში აღმოჩენილი ინვენტარის მრავალფეროვნება, როგორც მასალის (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, თიხის ნივთები), ისე შემადგენლობის მხრივ (სამკაული, იარაღი, ჭურჭელი, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ცხენის აკაზმულობის ნაწილები და სხვ.) და, აგრეთვე ძვლებს არსებობა, სულერთია, ადამიანის იქნება იგი თუ საქონლისა, რადგანაც ძვლები ჩვეულებრივ განძში არა ხვდება.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა

სამარხეული ინვენტარი

ყანჩაეთის ადრეანტიკური ხანის სამარხის ინვენტარის გადარჩენილი ნაწილი 38 დასახელების 79 ნივთისაგან შედგება. როგორც

²² ძვალი განსაზღვრა პრთფ. ლ. გაბუნიაშ.

²³ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

შემთხვევით აღმოჩენათა დიდი უმრავლესობა, ყანჩაეთის სამარხის ინვენტარიც ნაკლულია. გარდა იმ ოქროს ნივთებისა, რომლებმაც მუზეუმამდე ვერ მოაღწია, მაგრამ რომელთა არსებობას თვით აღმომჩენები ადასტურებენ, ყანჩაეთის სამარხს ბევრი სხვა ნივთიც უნდა აკლდეს, რაც ცხადი ხდება ინვენტარის განხილვის დროს. გარდა ამისა—და ესეც შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა საერთო ბედია—ის ნივთებიც კი, რომლებიც მუზეუმში მოხვდა, მეტნაკლებად დაზიანებული და ნაკლულია.

ყველაფერი ზემოხსენებული ართულებს მასალაზე მუშაობას და მის გაგებას. ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ რადგანაც არ ვიცით სამარხში ნივთების თავდაპირველი წყობა და ურთიერთგანლაგება, ძნელი ხდება ზოგჯერ ამა თუ იმ ნივთის დანიშნულების ახსნა-წარმოდგენა, რაც ხშირად იმ შემთხვევაშიც კი ძნელდება ხოლმე, როცა ძეგლი არქეოლოგის მიერაა გაოხრილი მეცნიერულა გათხრების ყველა წესის დაცვით.

ჩვენ იძულებული ვიყავით ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ანალოგიების მიხედვით გვემსჯელა, მაგრამ მაინც ზოგიერთი ნივთის შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმით უნდა დავკმაყოფილებულიყავით.

მიუხედავად ამისა, მაინც ვამჯობინეთ ნივთები დაგვეჭაფუბინა და გაგვეხილა მათი დანიშნულების მიხედვით. ყველა საექვეო შემთხვევა სათანადო ადგილასაა მითითებული.

ყანჩაეთის აღრეანტიკური ხანის სამარხიდან, როგორც აღვნიშნეთ, სულ 79 ნივთმა მოაღწია ჩვენამდე, აქედან ვერცხლისაა 33 ნივთი, ბრინჯაოსი—31 და რკინის—13. გარდა ამისა გვაქვს კიდევ თიხის ორი კურკლისა და ცხოველის ძვლების ფრაგმენტები. ოქროს ნივთებს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მუზეუმამდე არ მოუღწევია, მაგრამ, რადგანაც ყოველ ექვს გარეშე შედიოდნენ ყანჩაეთის სამარხის ინვენტარში, აუცილებლად მიგვაჩნია მათი აღნიშვნა. აღმომჩენის კ. ტატუნაშვილის თქმით, სამარხში ჩონჩხის თავის ქალასთან სხვა ბეჭდებთან ერთად ოქროს ორი ბეჭედიც უპოვიათ. აღწერილობის თანახმად, ეს ბეჭდები სავსებით ისეთივე ყოფილა, როგორც ჩვენი აღწერილობის № 7 ვერცხლის ბეჭედი. („ბეჭდები ბრტყელი იყო, ორი მხრიდან წვრილი ღეროები გამოდიოდა. შუაში გადახსნილი იყო“). ერთ-ერთი ბეჭედი უფრო ღია ფერის ოქროსი ყოფილა („მოთეთრო იყო“) და ფარაკზე ირემი ყოფილა გამოსახული, მეორე, უფრო ყვითელი ოქროს ბეჭდის ფარაკზე კი მჭდომარე

მამაკაცი და მის წინ ზეზე შდგარი ხელებგაშლილი ქალი („ბიჭი იქ-
და და მის წინ ქალი ხელებგაშლილი თამაშობდა“).

არავითარი საბაზი არა გვაქვს არ ვენდოთ აღმომჩენთა აღწე-
რილობას; მითუმეტეს, რომ დასახელებულ სიუჟეტებში ისევე, რო-
გორც ბექდების ფორმაში არაფერი არ არის ისეთი, რაც ჩვეულებ-
რივი არ იყოს ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის. რკალგახსნილი
ფარაკიანი ბექდების საკითხზე კი ქვემოთ ვრცლად შევჩერდებით.

ვ. გ. ხოცუაშვილის ცნობით ყანჩაეთის სამარხში ოქროს ფია-
ლაც აღმოჩენილა, მაგრამ თვით აღმომჩენები ამას უარყოფენ. ოქ-
როს ფიალებიც გვხვდება ძველი წელთაღრიცხვის VI—IV საუკუ-
ნეებში. გავიხსენოთ თუნდაც ამუ-დარიის განძის ოქროს შესანიშ-
ნავი ფიალა²⁴. 1961 წელს საქართველოშიც. კერძოდ, ვახის ძლიდ-
რულ სამარხში აღმოჩნდა ოქროს ფიალა ამავე ხანისა²⁵.

გამეორებას რომ თავი დავაღწიოთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ყან-
ჩაეთის სამარხეული ვერცხლი რეკრისტალიზებული იყო. ხოლო
ზოგიერთ ნივთს სპილენძის უანგასა და ვერცხლის ქლორიდის ლა-
ქები ჰქონდა. უკლებლივ ყველა ვერცხლის ნივთი ლითონის სტრუქ-
ტურის აღსადგენად თერმულად დამუშავდა საქართველოს სახელმ-
წიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში, ლაბო-
რატორიის გამგის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის რ. ბახტა-
ძის ხელმძღვანელობით. ცალკეული ვერცხლის ნივთის განხილვის
დროს მათ თავდაპირველ (აღდგენამდე) მდგომარეობას აღვნიშნავთ
მხოლოდ მაშინ, როცა ეს რაიმეს იძლევა ნივთის დანიშნულებისა
თუ თავდაპირველი სახის გარკვევისათვის.

მავენე პატინით დაფარული ბრინჯაოს ნივთები ქიმიურად გაიწ-
მინდა ლაბორატორიაში, ხოლო რკინის ნივთები გამაგრდა და კონ-
სერვაცია ჩაუტარდა. დამტკრეული ნივთები შეძლებისდაგვარად
აღდგენილ იქნა.

ყანჩაეთის სამარხის ინვენტარში შემავალი ნივთები დანიშნუ-
ლების მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

I. მიცვალებულის ტუჩებზე და თვალებზე დასაფარებელი
ფირფიტები № 1—3, ტაბ. I.

II. სამკაული № 4—9, ტაბ. I, II.

III. სარიტუალო ნივთები № 10—31, ტაბ. IV, V, VI, VII.

²⁴ M. A. Dalton, The Treasury of the Oxus, London, 1926, p. 8, tab. VII, № 18.

²⁵ Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани, Кавказский-
ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1960 წ., გვ. 69.

- IV. იარაღი და რკინის სხვა ნივთები № 32—44, ტაბ. XI—XII.
 V. ცხენის აკაზმულობის ნაწილები № 45—73, ტაბ. VIII, IX, X.
 VI. ლითონის ჭურჭელი № 74—77, ტაბ. XII, XIII, XIV.
 VII. კერამიკა № 78—79, ტაბ. XV.

ნივთებს აღწერთ ამავე თანამიმდევრობით. ნუმერაცია გამჭოლია. ზომები ყველგან მოცემულია მილიმეტრებში.

1. მიცვალებულის ტუჩებზე და თვალეებზე დასაფარებელი ფირფიტები (ტაბ. I)

1. ბაგის საფარი, ვერცხლისა (ტაბ. 1), საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან დამზადებული ამობურცული. კუთხეებმომრგვალებული რომბია. ნაპირებს გასწვრივ ამოჭდეული წერტილების რიგი დაუყვება. ქვედაპირზე შუაში მიჩილული ჰქონია ყუნწი. ყუნწი დაკარგულია. ემჩნევა მხოლოდ რჩილვის მოთეთრო ლაქა სიგრძით 30 მმ, სიგანით 20 მმ. ბაგის საფარი სამადაა გატეხილი და ნაკლულია.

სიგრძე 135 მმ. უდიდესი შერჩენილი სიგანე—52 მმ (უნდა ყოფილიყო 55 მმ), ფირფიტის სისქე—0,6 მმ.

2. თვალის საფარი, ვერცხლისა (ტაბ. I), საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან დამზადებული, ამობურცული რომბია, რომლის ნაპირებს ამოჭდეული წერტილების რიგი დაუყვება. ქვედაპირზე შუაში ემჩნევა რჩილვის კვალი. ყუნწი მომძვრალა და დაკარგულია. თვალის საფარს ცალი კუთხე მოტეხილი აქვს.

შერჩენილი სიგრძე—67 მმ (უნდა ყოფილიყო 82 მმ), სიგანე—42 მმ, ფირფიტის სისქე 0,8 მმ.

3. თვალის საფარი, ვერცხლისა (ტაბ. I), საკლებით ახლოვიურია № 2 თვალის საფარისა, ოღონდ ორი კუთხე აქვს ჩამოტეხილი და გაბზარულია.

შერჩენილი სიგრძე 32 მმ (უნდა ყოფილიყო 82 მმ), სიგანე—42 მმ, ფირფიტის სისქე—0,9 მმ.

სამივე ზემოთ აღწერილი ნივთი უდაოდ ერთ კომპლექტს წარმოადგენს—ორი თვალეებზე და ერთიც, უფრო მოზრდილი, ტუჩებზე დასაფარებელი ფირფიტა. ფირფიტები ერთგვაროვანია, წერტილებიც ნაპირების გასწვრივ ერთი იარაღითაა ამოჭდეული. სამივე ფირფიტას ქვედაპირზე კალით მიჩილული უნდა ჰქონოდა ყუხწყები, რომლებშიც თასმა ეყრებოდა ფირფიტების ტუჩებზე და თვალეებზე დასაფარებლად. ყუნწები მომძვრალა და დაკარგულა. ასევე

დაკარგვია ყუნწები, როგორც ქვევით დავინახავთ, ცხენის აკახშულ-ლობის ვერცხლის ფირფიტების უმეტეს ნაწილსაც, სადაც აგრეთვე რბილი (კალა-ტყვიის) რჩილვაა გამოყენებული²⁶.

საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღრეანტიკური ხანის სამარხში ბაგისა და თვალის საფარი ფირფიტების აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა იყო აქამდე ცნობილი. რომბისებური ფორმის ელექტრუმის ბაგის საფარი და ცალი სათვალე ფირფიტა (მეორე ცალი დაკარგულია) შედის 1940 წელს ალგეთზე, სოფელ წინწყაროსთან აღმოჩენილ ე. წ. აქემენიდური ხანის მდიდრული სამარხის ინვენტარში²⁷. წინწყაროს ფირფიტები როგორც ფორმით, ისევე ზომით სავსებით ანალოგიურია ყანჩაეთის ფირფიტებისა. მაგრამ ალგეთური ბაგის საფარი ბევრად უფრო მდიდრულადაა შემკული დაქდეული წნულის, ბორდიურით და ფირფიტების გამოსახულებებით, თვალის საფარს კი ასეთივე წნულის ბორდიური და შუაზე რელიეფური ზოლი აქვს, რაც პროფ. კუფტინის აზრით დახუჭულ თვალს უნდა გამოხატავდეს. გარდა ამისა, ალგეთურ ფირფიტებს ორ-ორი ყუნწი აქვთ ქვედაპირზე, ნაპირების მახლობლად მირჩილული. ყანჩაურ ფირფიტებს კი ყუნწები ცენტრში ჰქონდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება თითქოს ალგეთური პატარა ზომის ფირფიტა ბაგის საფარი იყოს და არა თვალისა. როგორც ეს პროფ. კუფტინს მიაჩნია, ხოლო დიდი ზომის ფირფიტა კი—თვალეზე დასაფარებელი ნიღაბი²⁸. ყანჩაეთში მიცვალეხელის სახეზე დასაფარებელი ფირფიტების სრული კომპლექტის (დიდი ზომის ბაგის საფარი და მცირე ზომის ორი თვალის საფარი) აღმოჩენის შემდეგ საბოლოოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ პროფ. კუფტინი არ შემცდარა ფირფიტების განსაზღვრაში და რომ ალგეთური ცალი სათვალე ფირფიტა მართლაც დაკარგული უნდა იყოს.

²⁶ ბაგისა და თვალის საფარებიდან (ანალიზი № 1) და ცხენის აკახშულ-ლობის ვერცხლის № 48—55 ფირფიტებიდან (ანალიზი № 2) აფხეკილი სარჩილავი ნივთიერების თვისობრივი სპექტრული ანალიზის შედეგად გაირკვა რომ „ორივე ნიმუში ძირითადად შეიცავს კალასა და ტყვიას. აქედან კალის რაოდენობა შედარებით ტყვიასთან მეტია“. ანალიზი ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში ნ. სარაჯიშვილმა,

²⁷ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трналети, I, Тбилиси, 1941, стр. 30, таб. IX.

²⁸ Н. В. Пяташева, Ювелирные изделия Херсонеса конец IV века до н. э.—IV век н. э., Москва, 1956 г., стр. 33.

ყანჩათის ეს აღმოჩენა სპობს იმ განსხვავებასაც ალგეთის სამარხსა და ახალგორის განძს შორის, რაც აღნიშნული აქვს კუფტინს²⁹ და კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ამ საქ თანადროულ სამარხს.

სრულებით არ იცნობს ამ ჩვეულებას აქემენიდური ირანი, და მაშასადამე მართო ამ ფირფიტების აღმოჩენის ფაქტსაც კი საკმარისია იმის სამტკიცებლად, რომ საქართველოს მოსახლეობის თვით უმაღლესი წრეც კი არ ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული აქემენიდურ ირანთან და ისე ძლიერ ირანიზებული, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია³⁰. მეორეს მხრივ, აღინიშნება კავშირები სმელთაშუაზღვა-წინააზიურ სამყაროსთან. საითაც, როგორც ქვევით დავინახავთ, სხვა მომენტებზეც მიუთითებს.

ალგეთურ-ყანჩაური ბაგისა და თვალის საფარების ანალოგიური ფირფიტები აღმოჩენილია კუნძულ კვიპროსზე, ენკომის სამაროვანზე, მიკენური ხანის სამარხებში. აგრეთვე ტელ-ხალაფზე კვ. წ. II ათასწლეულს მერვე ნახევრის მედეთა სამარხებში³¹.

ეს ანალოგიები ქრონოლოგიურად ძალიან დაშორებულია ყანჩაურ და ალგეთურ ფირფიტებს; მათ შორის უშუალო კავშირის აჩვენობაზე საუბარი შესაძლებელი ვახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკეთ ვახდება ჩვენთვის ცნობილი აქემენიდური ხანის წინააზიის, კერძოდ კი მცირე აზიის, არქეოლოგია. და რომ ეს კავშირები უთუოდ გაირკვევა, ამაზე მიუთითებს მაკედონიაში ოქროს დამტამპული ბაგის საფარის აღმოჩენის ფაქტი კვ. წ. IV ს. საქაულებთან ერთად, რაც ქრონოლოგიურად ძალიან ახლოა ჩვენს ფირფიტებთან³².

²⁹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 39. ახალგორის განძში არ შედის სატუჩე და სათვალე ფირფიტები.

³⁰ А. О. Минацкая, Г. А. Тирация, *Новые данные о материальной культуре древней Армении*, Известия АН Арм. ССР, Общественные науки, 8, 1961 г., стр. 81.

³¹ F. H. Marshall, *Catalogue of the Jewellery Greek, Etruscan and Roman*, London, 1911, tab. I—III.

Freiherr von M. Oppenheim, *Der Tell-Halaf*, Leipzig, 1931, S. 192, 196, Taf. III.

E. Gjerstad, etc., *The Swedish Cyprus Expedition. Finds and Results of the Excavations in Cyprus 1927—1931*, Stockholm, 1934, v. I, tab. LXXXIV, 198: XCII, 77.

Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, ნახ. 37.

Н. В. Пятшова, *დასახ. ნაშრ.*, ნახ. 2. 3.

³² P. Amandry, *Objets d'or et d'argent. Collection Hélène Stathatos*, III, Strasbourg, 1963, p. 191, fig. 95.

უფრო გვიან ხანაში, კერძოდ გვიანელინისტურ და გვიანანტიკურ (რომაულ) ხანაში სატუჩე და სათვალე ოქროს ფირფიტების ხმარება დადასტურებულია ჩრდილოწავისპირეთში. სათვალე-სატუჩე ფირფიტები აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის სამარხში სტანცია იაროსლავსკაიაში³³, ყირიმის ნეაპოლის მავზოლეუმის ძვ. წ. II—I საუკუნეების სამარხებში³⁴, ხერსონესში ახ. წ. I—III საუკუნეების მასალასთან ერთად და კიდევ რამდენიმე ადგილას³⁵.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ბაგისა და თვალის საფარების გავრცელებას პროფ. კუფტინი თვლის გვიანბრინჯაოს ხანის ძველი სამხრეთული ტრადიციების გადმონაშთად³⁶, ხოლო ნ. ვ. პიატიშევა კი მათ გავრცელებას უკავშირებს სარმატული ტომების მოძრაობას³⁷. ე. ი. ასევე სამხრეთული წარმოშობისად მიაჩნია ეს მოვლენა. ასე რომ ალგეთური და ყანჩაური ფირფიტები ქრონოლოგიურად (და ტერიტორიულად) შუაში ექცევა, ხოლო ამიერკავკასია გვევლინება წინააზიურ-ხმელთაშუაზღვეთის ამ გავლენის გამტარებლად და გადაძემად ჩრდილო-შავიზღვისპირეთში. კონკრეტულად როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს გადაცემა, ძნელი სათქმელია. ცხადია ალგეთის აქემენიდური ხანის სამარხის გადათარილება გვიანელინისტურად, როგორც ამას ეცადა ნ. ნ. პოგრებოვა, ამისათვის არ გამოგვადგება³⁸. ამასთან, როგორც ჩანს, გამორიცხული არ არის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ბაგისა და თვალის საფართა გავრცელების დასავლური, თრაკია-მაკედონიის გზა³⁹.

გვიანანტიკურ ხანაში სატუჩე-სათვალე ფირფიტები კვლავ ჩნდება საქართველოშიც. ჩვენთვის ცნობილია ამგვარი ფირფიტების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა. კლდეებში ახ. წელთაღრიცხვის II საუკუნის სამაროვანზე, მეორე სამარხში აღმოჩნდა თევზითსური წიბოებით შემკული ბრინჯაოს თხელი ფირფიტა, რომელსაც ე. ლომთათიძე ბაგის საფარად მიიჩნევს და თვლის ჩვენში დაკრძალ-

³³ ОАК за 1896, გვ. 56—59, ნახ. 283.

М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 127—128.

³⁴ П. Н. Шульц, Мавзолей Неаполя Скифского, стр. 34, 62, таб. II, XXVII и XXIX.

Н. В. Пятшова, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—41.

Н. Н. Погребова, Золотые лицевые пластинки из погребений мавзолея Неаполя Скифского, История и археология древнего Крыма, Киев, 1957.

³⁵ Н. В. Пятшова, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—41.

³⁶ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 39—40.

³⁷ Н. В. Пятшова, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

³⁸ Н. Н. Погребова, დასახ. ნაშრ., გვ. 146, 153.

³⁹ Р. Ашандугу, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

ვის წესის ამ ერთ-ერთი ელემენტის ძველი (ალგეთური) ტრადიციის დიდხანს გაგრძელების საბუთად⁴⁰. როგორც ირკვევა, კლდეეთის ბაგის საფარი ჭერჭერობით ბაგის საფართა ყველაზე უფრო გვიანი ნიმუშია საქართველოში. ყველა დანარჩენი სამარხი, რომლებშიც თვალისა და ბაგის საფარები აღმოჩნდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით და, უკიდურეს შემთხვევაში, II საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებული ოვალური ბაგის საფარი და წყვილი თვალის საფარი ხოირის 12 ფურცელთან ერთად აღმოჩნდა 1958 წელს მცხეთაში, არაგვისა და ლენინის ქუჩების კუთხესთან გათხრილ მდიდრულ სამაროვანზე № 1 ქვის სამარხში. იმავე სამაროვანზე № 3 კრამიტსამარხში (სამარხი № 4) აღმოჩნდა ოქროს ხოირის 6 ფურცელი და ბაგის საფარი⁴¹. ბაგის საფართა აღმოჩენის სამი შემთხვევაა ურბნისის სამაროვანზე №№ 189, 193 და 216 სამარხებში. ყველა ამ სამარხში გვხვდება ელინისტური ხასიათის ნივთები; მათ დ. ქორიძე ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნით ათარიღებს⁴².

გვიანანტიკური ხანის ყველა ბაგისა და თვალის საფარი, კლდეეთურის გარდა, ოქროს სადა, ოვალურ ფირფიტას წარმოადგენს. მათი უშუალოდ დაკავშირება ალგეთურ-ყანჩაურ ფირფიტებთან ძნელია დიდი ქრონოლოგიური სხვაობისა და დამაკავშირებელი რგოლების ჭერჭერობით არ არსებობის გამო, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ გვიანანტიკური ხანის იბერიის წარჩინებულთა სამარხებში დადასტურებული დაკრძალვის წესის მრავალ ელემენტს აღმოაჩნდა პარალელი ადრეანტიკურ ხანაში (ცხენის და მისი აკაზმულობის ჩატანება, სარეცელზე დაკრძალვა და სხვა)⁴³, ეს უკანასკნელი დამთხვევაც საყურადღებო ჩანს. და გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ძეგლების, აგრძოდ, სამაროვნების შემდგომი, უფრო ფართო და ღრმა შესწავლა, განსაკუთრებით კი წარჩინებულთა სამარხების გამოვლინება, ამ დამაკავშირებელ რგოლებსაც გამოაჩენს.

⁴⁰ გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი, 1957 წ., გვ. 112.

⁴¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაუვლადური ხანის განყოფილების ფონდის №№ 12—54: 13086, 13087, 13038.

⁴² ცნობის მოწოდებისათვის დიდად მადლობელი ვარ დ. ქორიძისა.

⁴³ მცხეთა, I, თბილისი, 1955, გვ. 79.

გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი, 1957 წ., გვ. 162—165. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის სამარხი ქსნიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XI სამეცნიერო სესია, 1963 წ. მისი, მოხსენებათა თეზისები, გვ. 7.

II. სამკაული

4. სამაჯური, ვერცხლისა (ტაბ. 1), გახსნილია, ოვალური, ოდნავ შეზნექილი ზურგით. დამზადებულია ვერცხლის რვაწახნაგაგანი ეკვეთიანე მავთულისაგან. სამაჯურის გამსხვილებული თავები ზიკონუსურია, სიგრძივ დაღარული და ორივე მხრიდან გამოყოფილია ღეროს ირგვლივ ამოკვეთილი ღარებით. რკალის მხარეს ორ-ორი ასეთი ღარია.

დიდი დიამეტრი—73 მმ, მცირე დიამეტრი—53 მმ, ღეროს განიკვეთი—4—4,2 მმ, გამსხვილებული თავების სისქე—7 მმ.

5. სამაჯური, ვერცხლისა (ტაბ. I), სავსებით ანალოგიურია № 4 სამაჯურისა. რკალი ერთ ადგილას გამზარული აქვს

6. სამაჯური, ბრინჯაოსი (ტაბ. I), გახსნილია, ზურგშეზნექილი. დამზადებულია ოვალურგანიკვეთიანი ბრინჯაოს მავთულისაგან, ბოლოები გველისთავისებურადაა გამსხვილებული. თავებთან შედ-შედი ღარი შემოსდევს ღეროს ირგვლივ.

სამაჯური ნაპოვნია სამარხის ადგილის მოსინჯვის დროს.

დიდი დიამეტრი—60 მმ, მცირე დიამეტრი—54 მმ, ღეროს განიკვეთი 3,5×2,5, თავების სიგანე — 5 მმ.

№ 4 და № 5 ვერცხლის სამაჯურები წყვილია, № 6 ბრინჯაოს სამაჯურის მეორე ცალი კი დაკარგულად უნდა ნივინიოთ.

ერთ სამარხში რამდენიმე წყვილი და თანაც სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული სამაჯურების აღმოჩენა ჩვეულებრივია ადრეანტიკური ხანის სამარხებისათვის საქართველოში. თვით ისეთ მდიდრულ სამარხშიც კი, როგორცაა 1961 წელს ვანში გათხრილი ქალის სამარხი, ოქროს წყვილ სამაჯურთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლისა და რკინის სამაჯურებიც⁴⁴. ასევე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ 1962 წელს საჩხერის რაიონის სოფ. ითხვისში გათხრილ № 2 მდიდრულ სამარხში ვერცხლის ზურგ-შედრეკილ სამაჯურებთან ერთად რამდენიმე წყვილი რკინის სამაჯურიც აღმოჩნდა⁴⁵.

⁴⁴ Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Ване, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1960, გვ. 70.

⁴⁵ რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბილისი, 1963 წ., გვ. 7.

ახალგორის განძი, როგორც ცნობილია, ზურგშედრეკლ სამაჯურებს არ შეიცავს. მაგრამ ახალგორის განძთან ჩვენს № 4 და № 5 ვერცხლის სამაჯურებს მჭიდროდ აკავშირებს მათი გამსხვილებული თავების ორნამენტაცია, რომელიც მეორდება ახალგორის განძის № 1 სამაჯურებზე და № 2 და № 3 საკისრე რკალებზე⁴⁶. № 3 საკისრე რკალი ისევე. როგორც ჩვენი ვერცხლის სამაჯურები. რკაწახნაგაგანივეკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული⁴⁷. ასეთივე გვერდებლადარული მძივისებური თავები აქვს ალგეთის აქემენიდური ხანის სამარხის ერთ-ერთ სამაჯურსაც⁴⁸.

ზურგშედრეკილი სამაჯურები ფართოდაა გავრცელებული საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე. ამგვარი სამაჯურების საქართველოში აღმოჩენის ფაქტების ჩამოთვლას და მათს ტიპოლოგიურ გარჩევას აქ აზრი არა აქვს, მითუმეტეს, რომ ეს საქმე კარგა ხანია, რაც გაკეთებულია⁴⁹. ორიოდ სიტყვით შევეხებით მხოლოდ ამ ტიპის სამაჯურების საქართველოში გავრცელების ხანასა და გზებს.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისისათვის ზურგშედრეკილი სამაჯურები სრულიად უცნობია საქართველოში. არცერთი ამგვარი სამაჯური არ აღმოჩენილა ამ ხანის ისეთ სამაროვნებზე. როგორცაა ბეშთაშენის ციხესთან მდებარე სამაროვანი, ტაშ-ბაშის სამაროვანი⁵⁰ და სხვ. ამ მხრივ გამოჩაღისს არც დასავლეთი საქართველო წარმოადგენს: წინააღმდეგ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, ჩვენთვის არაა ცნობილი დასავლეთ საქართველოდან ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის არც ერთი ზურგშედრეკილი სამაჯურ-

⁴⁶ Я. И. Смирнов, *დასახ. ნაშრომი*, ტაბ. I.

⁴⁷ საინტერესოა, რომ ახალგორის განძის № 3 საკისრე რკალის მსგავსი ბრინჯაოს გვერდვი აღმოჩენილა 1910 წელს ახალგორშივე (საქ. სახ. მუზეუმის № 6—49:3).

⁴⁸ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 36.

⁴⁹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 32—33.

Б. А. Куфтин, *Материалы к археологии Колхиды*, т. II, Тбилиси, 1950 г., стр. 38—44.

ვ. თოღრაძე, *მასალები ქართლის სამეფოს იატორიისათვის*, ძვ. წ. III—I სს., *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. III, 1963 წ., გვ. 147—149.

⁵⁰ Б. А. Куфтин, *Триалети*, I, стр. 41—48.

რო⁵¹. პირველი და საქართველოსათვის უძველესი ზურგშედრეკილი სამაჯურები ჩნდება მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის შუახანებში, ისიც მხოლოდ წარჩინებულთა ისეთ სამარხებში. როგორცაა ვანის ზემოთ მოხსენებული მდიდრული სამარხი, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხები. ძვ. წ. V საუკუნის შუახანებიდან სამაჯურების ეს ტიპი ფართოდ ვრცელდება როგორც აღმოსავლეთ. ისე დასავლეთ საქართველოში და IV—III საუკუნეებში სამაჯურთა თითქმის ერთადერთ სახედ იქცევა⁵². ამავე ხანებში ვრცელდება ზურგშედრეკილი სამაჯურები თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზეც. ჭარატში გათხრილ ძვ. წ. V—IV საუკუნის ერთ კოლექტიურ სამარხში. მაგალითად, ორმოცდაათზე მეტი ამგვარი სამაჯური აღმოჩნდა⁵³. ჩვენში ზურგშედრეკილი სამაჯურები უნდა გავრცელებულიყო აქემენიანთა ირანიდან, სადაც ამგვარი სამაჯურები ჩვეულებრივია უკვე ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან. მაგ. ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯური აღმოჩნდა სუზიანაში, სპარსულ-აქემენიდური ნამოსახლარის I ფენაში, რომელიც ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით თარიღდება⁵⁴. ამაზევე მეტყველებს პერსეპოლისის რელიეფებზე და კერძოდ დარიოს I (520—486 წწ. ძვ. წ.) სასახლის რელიეფებზე გამოსახული ზურგშედრეკილი სამაჯურები⁵⁵.

ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეშივე ზურგშედრეკილი სამაჯურები ფართოდ გავრცელდა აქემენიანთა იმპერიის მთელს ვეებერთელა ტერიტორიაზე— ავღანეთიდან კვიპროსამდე. კავკასია ამგ.

⁵¹ Н. В. Хоштарна, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

⁵² მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აღმოსავლეთ საქართველოში კამარაბევისა და ნერონ-დერესის სამაროვნები, ხოლო დასავლეთ საქართველოში— დაბლაგომის.

Б. А. Куфтин, Триалети, стр. 30—34.

Б. А. Куфтин, Колхида, т. II, стр. 38—44.

რ. რაშიშვილი, კამარაბევის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. II, 1959 წ., გვ. 12, 16, 21 და ა. შ.

⁵³ А. О. Мнацаканян, Г. А. Тирациян, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

აქვეა ჩამოთვლილი სომხეთის ტერიტორიაზე ზურგშედრეკილი სამაჯურების აღმოჩენის სხვა შემთხვევებიც.

⁵⁴ Mémoires de la Mission archéologique en Iran, T. XXXVI. Village Perse-Achéménid, p. 20 tab. XVIII, 12; XLVI, G. S. 1015 c.

⁵⁵ Collection Hélène Stathatos, III, Strasbourg, 1963, fig. 168.

E. Herzfeld, Iran in the Ancient East, London-New York, 1941, tab. LXXVIII.

ვარი სამაჯურების გავრცელების ჩრდილოეთი უკიდურესი საზღვარია: ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ზურგშედრეკილი სამაჯურები სრულებით არა გვხვდება.

7. საბეჭდავი ბეჭედი, ვერცხლისა, ინტალიო (ტაბ. I. 11)⁵⁶.

ბეჭდის რკალს უზანგის ფორმა აქვს, ოვალურგანივევითაჲნია მხრებისაკენ ოდნავ ფართოვდება და უშუალოდ გადადის ბრტყელ, თითქმის მრგვალ ფარაკში.

ფარაკზე გამოსახულია ზემოთ ფრინველი, შუაში ცხენი-ორივე პროფილში მარხცნივ, ცხენის ჟებებს შორის კი რვასხივიაჲნი ვარსკვლავი.

გამოსახულების ცენტრალური ფიგურა ფანტასტიკური ცხენია. ცხენი ნაკვეთია გაბედულად. საკმაოდ ღრმად. მკვეთრად მორკალური კისრისა და მრგვალი, ცხვრის ღუმისებური გავის ხაზები ზურგზე მახვილ კუთხეს ქმნის. თავი მკერდთან აქვს მიზიდული. მკვეთრად, მრგვალი მასებით გამოყოფილია ჩიჩვირი და ყბა. თვალა ღრმად ამოჭრილი წრეა, რომლის ცენტრი შემადღებულია. ჩანს წინ გაწვდილი ორი ყური და, მათ ზევით, მოხრილი რქა. ცხენის უკანა ფეხები მოხრილია, წინა კი გამართული და ცხენი უფრო წინა ფეხებს ეყრდნობა. ჩლიქები მრგვალი ნაქდევებითაა გამოსახული. კუდი ბოლოში ორად იყოფა. ცხენის მუცელ-მკერდი და კისერა დაქდეული ღარებითაა დაფარული. მხოლოდ გავა, თავი და ფეხებია დატოვებული სადად. გავა მუცლისაგან ჩაჭრილი ხაზითაა გამოყოფილი. მუცელზე, წინა ფეხებს ოდნავ უკან იწყება ღარი, მიდის მალა და მარცხნივ, კისრის შუახაზის გაყოლებით და მთავრდება თვალთან. ამ ღარის ორივე მხარეს შტოებივით გაყვანილია პორიზონტალური ღარები, ისე რომ მთლიანად ცხენის კისერ-მკერდის ორნამენტაცია ნაძვის ხეს წააგავს. ცხენის კისრისა და გავის ხაზებით შექმნილ სამკუთხედში ჩასმულია ფრინველი. პროფილში მარცხნივ. ფრინველი საერთო ფორმებით ქათმისებურია. მოკაული ნისკარტი, ბრჭყალებიანი ფეხები და დიდი ბოლო აქვს. პატარა ზომის თავი მთლიანად უკავია თვალს. რომელიც სავსებით ისევე გამოყვანილი, როგორც ცხენისა. ფრინველის სხეული ვერტიკალური, ჩაჭრილი ხაზით ორადაა გაყოფილი. მკერდი შევსებულია მოკლე, დაქდეული ხაზებით, ბოლო კი პორიზონტალური, ურთიერთპარალელური და-

⁵⁶ ნაშრომის ეს ნაწილი მოხსენების სახით იყო წაკითხული საქ. სახ. მუზეუმის X სამეცნიერო სესიაზე 1962 წელს, იხ. ი. გაგოშიძე. უძველესი ქართული საბეჭდავი ბეჭდები, საქ. სახ. მუზეუმის X სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1962 წლის აპრილი.

რებით. ფრინველის ბოლო შემოსახდერულია მოკლე, დაქდეული ვერტიკალური ხაზით.

ცხენის ფეხებს შორის, მუცელ ქვეშ რვასხივიანი ვარსკვლავია გამოსახული. ვარსკვლავის ცენტრი წარმოადგენს ამოკვეთილ რვა-კუთხედს, რომლის შუაგული ამოუკვეთალადაა დატოვებული ისევე, როგორც ცხენის და ღრინველის თვალები. ოთხი სხივი უფრო გრძელია, ოთხი კი მოკლე, ისე, რომ მთლიანად ვარსკვლავი რომბში იწერება. ბეჭედზე გამოსახული ფიგურები კარგადაა შეკრული და ჩასახული წრეში. გამოსახულება მთლიანად ავსებს ფარაკის ზედაპირს. კვეთა საკმაოდ ღრმაა, გაბედული და თანაც გულმოდგინე. ფონი გაპრიალებულია. გამოსახულება დაბინდული.

ფარაკზე გამოსახულება მეტად თავისებური ტექნიკითაა გამოკვეანილი.

გამოსახულების კონტურები წინასწარ დაქდეული წერტილებით იყო აღნიშნული. ბიოკულარულ მიკროსკოპში ცხენის სხეულზე ჩანს პარალელური ნაკაწრები, რაც მიუთითებს, რომ ცხენის, ისევე როგორც ფრინველის ძირითადი მასები საქრისითაა ამოღებული. მთელი დანარჩენი შიდა ორნამენტაცია და დეტალები თეგითაა (векан: ნაქედი. ნაქელია: ფრინველის ნისკარტი, ბრჭყალები, ბოლო, ბუმბული, ცხენის ფეხები, ჩლიქები, რქა, ყურები, კუდი, მუცელ-მკერდის ნაძვის ხისებური შემკულობა, ვარსკვლავის სხივები, ფრინველისა და ცხენის თვალები და ვარსკვლავის ცენტრი. ეს დეტალები რომ სწორედ თეგითაა გამოყვანილი და არა საქრისით, შეუიარაღებელი ძვალთაც კარგად ჩანს, ხოლო ლუპით და მიკროსკოპით გასინჯვა კიდევ უფრო ამტკიცებს ამ აზრს. ყველგან, საცა ადრე დაქდეული ღრმულის გვერდზე კვლავ დაურტყამთ თეგი. წინა ნაქდევის ნაპირი შეზნეჟილია. ასე მაგალითად, ფრინველის სხეულის გამყოფი ვერტიკალური ხაზის ნაპირები მრავალგზისაა შეზნეჟილი ფრინველის სხეულზე გამოყვანილი ნაქდევებით. ასევე შეზნეჟილია ლითონი ცხენის გავაზე, კუდის გამოყვანის შედეგად.

თეგის ხმარებითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ თეგის ძანამდევარი გადაადგილებით დაქდეული ხაზები არათანაბარი სიგანისა და სიღრმისაა, ხოლო ნაქდევების შიდაპირი ძალიან დიდა გადიდების დროსაც კი სრულიად გლუვი ჩანს: საქრისი აუცილებლად დატოვებდა კვალს ნაკაწრების სახით, მითუმეტეს განსაკუთრებით ღრმა ადგილებში, სადაც ბეჭდის მეორადი დამუშავებით (გაპრიალებით) ან ხმარების შედეგად საქრისის კვალის გაქრობა განსაკუთრებით ძნელია.

ოგორც ბექედზე დაკვირვებით ირკვევა, უხნარიით განსხვავებული სამუშაო პირიანი თეგები. მრგვალპირიანი თეგითაა დაქდეული ცხენის ჩლიქები, ვარსკვლავის სხივები, ბუმბული ფრინველის მკერდზე. ამავე თეგის თანამიმდევრული გადაადგილებითაა გამოყვანილი ცხენის ფეხები, კუდი, მუცელ-მკერდის შემკულობა, ბუმბული ფრინველის ბოლიზე. ვარსკვლავის სხივები. ცხენის რქა, ფრინველის ნისკარტი და ზრქვალეები განსაკუთრებული, ნახევარ-რკალისებრიპირიანი თეგით უნდა იყოს დაქდეული. სპეციალურა თეგითაა გამოყვანილი ცხოველების თვალები და ვარსკვლავის ცენტრი.

ქედის დროს ბექედის ფარაკი მყარ საფუძველზე (გრდემლზე) უნდა დებულოყო, ამიტომ ფარაკის უკანა პირზე ნაკლებად ემჩნევა თეგის კვალი, მაგრამ გამოსახულება საჭრისით რომ ამოეკვეთათ. ისიც არ უნდა ემჩნეოდეს ფარაკის უკანა მხარეს, რაც ემჩნევა.

ბექედი კარგადაა შენახული. ნაპირებთან (ცხენის კუდთან და შუბლთან) გაცვეთილია ხმარებისაგან.

ბექედის სიმაღლე უდრის 24,3 მმ, სიგანე—25 მმ; ფარაკის სიგრძე—20 მმ, სიგანე—19,5 მმ, სისქე—1,3—1,7 მმ; რკალის განიკვეთი გაჭრილ ბოლოსთან— $2,7 \times 2,4$, ფარაკთან— $4 \times 2,8$.

8. საბექდავი ბექედის ფარაკი, ვერცხლისა, ინტალიო (ტაბ. II).

ფარაკი ოვალურია, ბრტყელი, უშუალოდ გადადის რკალში, რომლის მცირე ნატეხია შერჩეხილი.

ფარაკზე გამოსახულია შუბოსანი მხედარი პროფილში ძარცხნივ და მის უკან რვასხივიანი ვარსკვლავი. ცხენს მასიური ტანი და შედარებით წვრილი ფეხები აქვს, უკუდოა. წანა ფეხი აწეული აქვს. ჩლიქები ოვალური ნაქდევებითაა გადმოცემული. გავა მკვეთრადაა მოხაზული და აქაც ისევე, როგორც № 7 საბექდავზე, ცხვრის დუმას წააგავს. თავი დიდი აქვს, კეხიანი ცხვირით. თვალი დრმად ჩაჭრილი წრეა, რომლის ცენტრი შემადლებულია. ცხენს წინგაწვდილი ორი ყური და მათს ზემოთ მორკალური რქა აქვს. შეკრებილი ფაჯარი მორკალურ კისერზე მოკლე, სხივისებური ნაქდევებითაა გადმოცემული. ცხენის თავი კისრისაგან ორი ღარითაა გამოყოფილი, რაც შესაძლებელია აღვირის (ან ავშარის) გადმოცემის ცდა იყოს. ცხენის კისერი და მკერდი მოკლე, ოვალური ნაქდევებითაა დაფარული, მუცელი და გავა გლუვადაა დატოვებული.

მხედარი საკმაოდ პროპორციულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზომაზე მოკლე ხელებს. მხედარს ისეთივე თვალი აქვს, როგორც ცხენს: ჩაპრილი წრე, რომლის ცენტრი ამობურცულია. თვალი ასეთი პატარა თავისათვის აშკარად დიდია. მხედარს უკან გადავარცხნილი თმა, დიდი, კეხიანი ცხვირი და გრძელი, წვრილი კისერა აქვს. ამის გამო მხედრის თავი რაღაც მტაცებელი ფრინველის თავს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანისას. გრძელი, წვრილი ფეხები მუხლებშია მოხრილი და ჰკიდია ცხენის მუცელქვეშ. წვივებზე ოსტატს კუნთების გამოსახვა არ დავიწყებია და მოუხერხებია. მკერდი მხედრებს სამკუთხა მოყვანილობისაა და წელის ადგილას შეერთებული ორი ჩაპრილი ღარითაა გადმოცემული. მხედრის სახე მარცხნივ პროფილშია მოცემული, მკერდი კი en face. იდაყვში მოღუნული მარჯვენა ხელი წინაა გაშვებული და ცხენის ფაფარზე დევს; მარცხენა ხელი კი მკერდს ჩამოუყვება და ამ ხელით უჭირავს შუბრ. შუბი დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ, ისე რომ შუბის სამკუთხა პირი ცხენის ჩიჩვირსა და აწეულ ფეხს შორისაა მოქცეული. შუბის ტარა მხედრის ზურგს უკან ნახევარწრიული ნაქდევით ბოლოვდება. მხედარს თითოეულ ხელზე სამ-სამი თითი აქვს. ტანთ აცვია ჩიხისებური მოკლე, წელში გამოყვანილი კაბა, რომლის კალთებიც ცხენის საუნავირზეა გადმოშლილი. წელზე ქამარი არტყია. ქუდი არ ჰხურავს, თუ კი ორ ნაქდევს მხედრის კეფასთან და შუბლთან თავსაბურავის გადმოცემის ცდად არ მივიღებთ.

მხედრის უკან, შუბისტარს და ცხენის გავას შორის რვასხივიანი ვარსკვლავია გამოსახული. ვარსკვლავი სავსებით ისეთივეა როგორც № 7 საბეჭდავისა.

გამოსახულების გამოყვანის ტექნიკა ისეთივეა, როგორც № 7 საბეჭდავისა. გამოსახულების კონტურები დაქდებული წერტილებით აღუნიშნავთ. ცხენის სხეულის ძირითადი მასები საქრისით უნდა იყოს ამოღებული, დეტალები კი თეგით ნაქედია.

ფარაკის ნაპირები ხმარებისაგან გაცვეთილია. მაგალითად, თითქმის მთლიანად გადაცვეთილია ვარსკვლავი. ფარაკის ზედაპირი ალაგ-ალაგ ამოჭმულია კოროზიისაგან.


ფარაკის სიგრძეა 22,5 მმ, სიგანე—19,5 მმ, სისქე—2 მმ; შერჩენილი რკალის სიგრძე—2,8 მმ, რკალის განივკვეთი ფარაკთან—5,5×1,4 მმ.

9. ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდის ნატეხი, ვერცხლისა, ინტალიო.

ფარაკის გადარჩენილ ნაწილზე ჩანს რაღაც ცხოველის გავის ან თავის ნაწილი, რომელიც დაჭედული ხაზებითაა დაფარული. გამოსახულების ნაპირზე, ისევე როგორც № 8 საბეჭდავის ცხენის კისერზე სხივისებური ნაკვდევებია.

გამოსახულების ხასიათით, ცალკეული დეტალების გადმოცემის მანერითა და შესრულების ტექნიკური ხერხებით, აგრეთვე ფარაკისა და რკალის ფორმით, რამდენადაც შესაძლებელია გარკვევა, ბეჭდის ეს ნატეხი ზემოთ განზილული № 7 და № 8 საბეჭდავი ბეჭდების სრული ანალოგია.

ფარაკის ნატეხის სიგრძე—14 მმ; სიგანე—4,6 მმ; რკალის ნატეხის სიგრძე—8,3 მმ, რკალის განივკვეთი—2,2×1,5



სურ. 1

ყანჩაეთის სამარხში აღმოჩენილი № 7 ვერცხლის ბეჭედი რკალ გახსნილია. როგორც ზევით დავინახეთ⁵⁷, ასევე რკალგახსნილი ყოფილა ამავე სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდებიც. უნდა ვი ფიქროთ, რომ ვერცხლის № 8 და № 9 საბეჭდავ ბეჭდებსაც რკალ გახსნილი ჰქონდათ⁵⁸.

რკალგახსნილობა ყანჩაურ საბეჭდავ ბეჭდებს აყენებს ერო რიგში მთლიანად ლითონის ფარაკიან საბეჭდავ ბეჭდებთან, რომლე ბიც კარგა ხანია ცნობილია და ადგილობრივ ქართულ ნაწარ მადაა მიჩნეული. ასეთებია უბირველეს ყოვლისა ე. წ. ახალგორის განძის ოქროს ორი (ტაბ. II და სურ. 1, a და b), ვერცხლის ორი საბეჭდავი ბეჭედი⁵⁹ (ტაბ. II და სურ. 1, c და d) და ალგეთის აქემენიდური ხანის სამარხის ვერცხლის ბეჭდები (ტაბ. II და სურ. 1, e f, g)⁶⁰. ბეჭდების ამავე კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს კუშჩის 1947 წელს № 3 სამარხში⁶¹ და დაბლაგომის სამაროვანზე აღმოჩენილი ბეჭდები⁶². ასეთივე ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭედი აღმოჩნდ.

⁵⁷ გვ. 13—14.

⁵⁸ ამ ბეჭდებს, მართალია, რკალი არ შერჩენიათ, მაგრამ გამოსახულები კვეთის ტექნიკა, სტილი, ფარაკების ფორმა იმდენად მსგავსია № 7 მთელი ბეჭდისა, რომ მათი მისგან მოწყვეტა შეუძლებელია.

⁵⁹ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ. № 27, 28, 29, 30, გვ. 29, ტაბ. III, X ახალგორის ოქროს ბეჭდები (სმირნოვისეული № 29 და 30) გამოქვეყნებული აქვ აგრეთვე მ. ლორთქიფანიძეს.

მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმები, III თბილისი, 1961 წ., გვ. 39—41, № 34, 35, სურ. 20, 21, ტაბ. VI. აქ კორექტურული შეცდომაა: № 34 ბეჭდის აღწერილობას ახლავს № 35 საბეჭდავის ფოტო და პირიქით.

⁶⁰ Б. А. Куфтин, Трпалети, 1, გვ. 35, ტაბ. XI.

მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 41—42, № 36, 37, 38. ტაბ. VI ამავე სამარხში აღმოჩენილ მეოთხე საბეჭდავ ბეჭედს ოვალური ფარაკი და ფრინველის ღრმად ამოკვეთილი გამოსახულებით (გლიბტ. კაბ. № 778) როველიც ჩვენთვის საინფორმაციო ბეჭდებისაგან განხვედდება როგორც ფორმით ისევე ინტალიოს სტილითა და შესრულების ტექნიკით, საბეჭდავთა ამ ჯგუფ ვერ მივაკუთვნებთ. № 778 ბეჭდის ფარაკზე გამოსახულება ამოკვეთილია საკრისით, თეგი ნახშიარი არ არის. საეებით ანალოგიური—სტილისტურადაც და ბეჭდის ფორმითაც—საბეჭდავი-ბეჭედი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიბტიკის კაბინეტში № 8.4, აღმოჩენილი კუშჩი (ძველი ნომერი 35—26:76).

⁶¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948 г. стр. 10, рис. 4, табл. II. სამწუხაროდ ბეჭედი ფონდში ვერ მივაკვლიეთ, ოვალურ ფარაკზე თხა ყოფილა გამოსახული.

⁶² Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 44—45, рис. 11.

1962 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ითხვისში გათხრილ № 2 სამარხში. ყველა ზემოჩამოთვლილ ბეჭედს რკალი გახსნილი აქვს, მაგრამ ცალკე ჯგუფად მაინც უნდა გამოიყოს ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, რომელთაც ბრინჯაოს ბეჭდებისაგან განსხვავებით რკალები მრგვალგანივიკვეთიანი აქვთ. თუ ბრინჯაოს ბეჭდების რკალგახსნილობა მათი დამზადების ტექნიკით აიხსნება⁶³, იგივე ასე გაბედულად არ ითქმის ვერცხლისა და ოქროს ბეჭდებზე. საქმე ისაა, რომ ოქროსა და ვერცხლის ყველა იმ ბეჭედზე დაკვირვება, რომელთაც კი რკალი შემორჩა, გვიჩვენებს, რომ რკალები თავდაპირველად შეიძლება შეკრული ყოფილიყო და მხოლოდ ბეჭდის დაზიანების შემდეგ გაექრათ, იმდენად კარგად უდგება რკალის გაკრილი ბოლოები ერთმანეთს, მაგალითად ახალგორის განძის № 30 ოქროს საბეჭდავზე და ჩვენი აღწერილობის № 7 ვერცხლის საბეჭდავზე (იხ. სურ. I)⁶⁴. შეიძლება მართლაც ამ ბეჭდების რკალები ფარაკებთან ერთად კი არ იყო გამოკვედილი, არამედ ცალკე დამზადებული და მერე მირჩილული ფარაკზე, როგორც ამას ფიქრობს მ. ლორთქიფანიძე⁶⁵. თუ ეს მართალია, უნდა აღინიშნოს, რომ რჩილვა მეტისმეტად სუფთაა, ისე რომ რჩილვის ხაზი ბინოკულარულ მიკროსკოპშიც კი 125-ჯერ გადიდებათ არ ჩანს. საბოლოოდ ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ამ ბეჭდების მეტალოგრაფიული შესწავლით შეიძლება, რაც, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩატარებულა.

საბეჭდავი ბეჭდების ამ ჯგუფის ერთიანობაზე, რკალების ფორმაზე კიდევ უფრო დამაჯერებლად მეტყველებს მათ ფარაკებზე მოთავსებულ გამოსახულებათა სტილისა და კვეთის ტექნიკის ერთიანობა (იხ. ტაბ. II). ამ ბეჭდების ფარაკებზე მოთავსებული ყვე-

⁶³ ხსენებული ბეჭდები ბრინჯაოს ერთიანი ფორმითებისაგანაა გამოკრილი თავის რკალიანად და შემდეგაა მოხრილი, რკალის ბოლოები კი ღიადაა დატოვებული, რითაც სარგებლობდნენ თითზე მოსარგებად.

⁶⁴ სურ. 1-ზე მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ყველა რკალგახსნილი ბეჭედი, რომელსაც კი რკალი შემორჩა. ახალგორის განძის ვერცხლის № 28 ბეჭდისა (ნახ. 1, c) და ალგეთის სამარხის ვერცხლისავე ბეჭდის (ნახ. 1, f) რკალები მხოლოდ ახლახან აღმოვაჩინეთ მუზეუმის ფონდებში. მათი არსებობა ამ ბეჭდების პირველ გამოკვეთვებელთათვის უცნობი იყო. იხ. Я. И. Смирнов, — დასახ. ნაშრომი, стр. 29. Б. А. Куптин, Трпалети, стр. 35, მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრო., გვ. 41, № 37.

⁶⁵ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრო.

ლა გამოსახულება, იქნება ეს რეალური თუ ფანტასტიკური, პეტ-ნაქლებად სქემატურია. კვეთა არაა მეტისმეტად ღრმა, მაგრამ გაბედულია და ცოცხალი, ერთგვარად თითქოს დაუდევარიც, ყოველგვარი დეტალიზაციას გარეშე. ამავე დროს კი ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს ისეთი დეტალების გადმოცემის შემთხვევები, როგორიცაა. მაგალითად, ახალგორის განძის № 27 ბეჭდის ფარაკზე რქიანი ცხოველის ფეხებზე ბეწვებისა (ტაბ. II, d), ანდა ჩვენი აღწერილობის № 6 ბეჭედზე მხედრის წვივებზე კუნთების გამოსახვა⁶⁶. ყველა ამ ბეჭდის ფარაკებზე მოთავსებულ გამოსახულებათა მსგავსება კიდევ უფრო გასაოცარია დეტალებში. მაგალითად, სავსებით ერთნაირია ჩვენი აღწერილობის № 7, № 8 და ახალგორის განძის № 29 ოქროს საბეჭდავზე გამოსახული რვასხივიანი ვარსკვლავები (ტაბ. II, a). ერთნაირია ყველა ამ საბეჭდავზე გამოსახული ცხოველებისა თუ ადამიანების თვალები, ცხოველთა ფეხები, განსაკუთრებით უკანა, ფრთებისა და ბუშბულის თუ ბეწვის გადმოცემის მანერა (ცენტრალური ღარი და მის ორივე მხარეს მოკლე დაქდეული ხაზები— ნაძვის ხისა, თუ თევზიფხური ორნამენტის მსგავსად). ერთნაირია ახალგორის განძის № 30 ბეჭდისა (ტაბ. II, b) და ალგეთის სამარხის ბეჭდის გრიფონების (ტაბ. II, e) უკან მიბრუნებული თავები, ნისკარტი, კისერზე აქოჩრილი ფაფარი, ფრთები; ერთნაირია ყანჩაეთის № 7 და ალგეთის ბეჭედზე (ტაბ. II, g) გამოსახული ფრინველები; დაბოლოს სიუჟეტურადაც და სტილისტურადაც სავსებით ერთნაირი გამოსახულებებია მოთავსებული ჩვენი აღწერილობის № 8 და ალგეთის ერთ-ერთი ბეჭდის ფარაკებზე (ტაბ. II b). ახალგორის განძის, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხების ყველა ამ საბეჭდავი ბეჭდის ურთიერთმსგავსება იმდენად დიდია, რომ ისინი არათუ ერთი წრისად, არამედ ერთი სახელოსნოდან გამოსულადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ამ საბეჭდავი ბეჭდების გამოსახულებათა სტილისტური ერთიანობა უპირველეს ყოვლისა დაჰყარებულია მათი შესრულების ტექნიკური ხერხების ერთიანობაზე.

ყველაის დასკვნა, რომელიც ჩვენ ზევით მივიღეთ № 7 საბეჭდავის ფარაკზე დაკვირვების შედეგად გამოსახულების გამოყვანის ტექნიკური ხერხების შესახებ, ვრცელდება ახალგორის განძისა და ალგეთის ბეჭდებზეც. კიდევ მეტი, ახალგორის განძის № 29 და № 30 ოქროს საბეჭდავ ბეჭდებზე კიდევ უფრო თვალსაჩინოა გამოსახულების შესრულების დროს ნახშიარი იარაღების კვალი, რაც

⁶⁶ Я. И. Смирнов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 29.

გამოწვეულია ოქროს მეტი პლასტიკურობით ვერცხლთან შედარებით.

ამ ჯგუფის ყველა საბექდავზე გამოსახულების კონტურები წინასწარ დანიშნული ყოფილა დაქდებული წერტილებით.

გამოსახულების ძირითადი მასები ამოღებულია საჭრისით. საჭრისის კვალი პარალელური ნაკაწრების სახით განსაყუთრებით კარგად ჩანს ახალგორის განძის ერთ-ერთ ოქროს ბექედზე (ტაბ. II, ბ). და ახალგორისავე განძის ვერცხლის საბექდავებზე (ტაბ. II, c, d).

გამოსახულების ძირითადი მასების საჭრისით ამოღების შემდეგ საბექდავების ფარაკები იღებოდა მყარ საფუძველზე და მუშავდებოდა თეგით (ქედვით). სწორედ თეგით ეძლეოდა გამოსახულებას საბოლოო, დამთავრებული სახე. ყველა დეტალი, როგორც ძირითადი მასების შიგნით (ბეწვი, ბუმბული, თვალები და სხვა), ისე ვარეთ (ფეხები, კლანკები, კუდები, ყურები, რქები და სხვა)—ყველა ამ საბექდავზე ქედვითაა დამზადებული. მიუხედავად იმისა, რომ ქედვის დროს ფარაკები მყარ საფუძველზე იდო, მაინც ყველა საბექდავის ფარაკთა ქვედაპირზე მეტ-ნაკლებად ჩანს ქედვის კვალი, ინტალიოს შესაბამისი, რაც მხოლოდ თეგის ხმარების შემთხვევაშია შესაძლებელი: საჭრისის კვალი, რაც არ უნდა ღრმა იყოს კვეთა, ფარაკის ქვედაპირზე არ გამოჩნდებოდა. განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ქედვის კვალი ოქროს ბექედების ფარაკების ქვედაპირზე, რადგანაც ოქრო უფრო პლასტიკური ლითონია. ვიდრე ვერცხლი. თეგის ხმარებითაა გამოწვეული ამ საბექდავთა ყველა ის თავისებურება, რომელიც ზერელე დაკვირვებისასაც კი ხშირად თვალში საცემია და რომელთაგან ზოგიერთი აღნიშნული გვაქვს ზემოთ, № 7 საბექდავი ბექდის განხილვის დროს⁶⁷.

გამოსახულებათა თეგით გამოყვანა არის სწორედ ის ძირითადი თავისებურება, რომელიც აერთიანებს ადრეანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მთლიანად ლითონის საბექდავი ბექედების ამ ჯგუფს და ასწავებს მათ ამავე ხანის სხვა საბექდავებისაგან. თეგის გამოყენება საბექდავების წარმოებაში მხო-

⁶⁷ ახალგორის განძის ოქროს ერთ-ერთი საბექდავის განხილვისას (გლ. კაბ. № 862. სმირნოვის № 29) ინტალიოს კვეთის თავისებურებანი შენიშნული აქვს მ. ლორთქიფანიძესაც, მაგრამ ამას ხსნია თავისებური საჭრისების ხმარებით: „გამოხა-ულებდა ხელით არის ამოჭრილი (უჩუქულო ტექნიკითაა შესრულებული, თავისებური საჭრისები უნდა იყოს გამოყენებული)“. იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ლოდ და მხოლოდ ადრეანტიკური ხანის საქართველოსათვის დამახასიათებელ თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული*.

ამავე დროს ახალგორის განძის, ალგეთისა და ყანჩაეთის ადრეანტიკური ხანის სამარხების მთლიანადლითონის საბეჭდავი ბეჭდები რომლებიც სრულიად თავისებურია როგორც ფორმით, ასევე მათ ფარაყებზე მოთავსებულ გამოსახულებათა სიუჟეტებითა და სტილით, მიჩნეულ უნდა იქნას ამ ტიპის უძველეს ადგილობრივ (ქართულ) საბეჭდავ ბეჭდებად.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის შემდგომი განვითარების შედეგად ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოებაში გაზრდილ მოთხოვნილებას საბეჭდავებზე უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდევ საბეჭდავების ადგილობრივი წარმოება. მისაბამ ნამუშებად ქართველ ოქრომკედლებს გამოადგებოდათ იმპორტული (შესაძლებელია არქაული ხანის იონიური) ლითონის საბეჭდავი ბეჭდები. მაგრამ, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის ქართველმა ოქრომკედლებმა ისეხსნეს მხოლოდ იდეა მთლიანად ლითონის საბეჭდავი ბეჭდების წარმოებისა. ქართული ოქრომკედლობისა და ლითონზე კვეთის საუკუნოვანი ტრადიციების საფუძველზე მათ შექმნეს საბეჭდავთა დამოუკიდებელი, თავისთავადი სტილი. მაშინაც კი, როდესაც მიმართავენ ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ მოტივებს (ჩაგ. გრიფონი), ქართველი ოქრომკედლები კმნიან სტილისტურად სრულიად თავისებურ გამოსახულებებს, რომელთაც ანალოგიები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უცხოურ გლიპტიკაში და ხელოვნების სხვა ძეგლებს შორის არ მოეძებნებათ⁶⁸.

ამთ განსხვავდებიან ქართველი ოქრომკედლები ჩრდილოშავიზღვისპირელი (ბოსფორელი) ოსტატებისაგან. როგორც ცნობილია, საბეჭდავებზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით ამავე ხანაში (V—IV ს. ს. ძვ. წ.) პანტიკაპეაშიც დაწყებულა ლითონის საბეჭდავი ბეჭდების წარმოება⁶⁹. პანტიკაპეული ოქრომკედლები სპეციალურად სკვითური მოსახლეობის მოთხოვნაზეა.

* ამიტომ მთლიანად მისაღებად არ უნდა ჩათვალოს ამ საბეჭდავი ბეჭდების შესწავლა წათი თავისებურების გათვალისწინების გარეშე. მხოლოდ იმ კრიტიკრიტების მიყენებით, რომლებიც შემუშავებულია ბერძნული (და სპარსული) გლიპტიკის შესწავლის საფუძველზე. ეს შეეხება, კერძოდ, ამ საბეჭდავების დათარიღების საკითხსაც, რაც მხოლოდ მთელი კომპლექსის საშუალებით უნდა განხორციელდეს.

⁶⁸ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40 და შემდეგ.

⁶⁹ М. И. Максимова, Античные печати Северного Причерноморья, ВДИ, 1 за 1937 г., стр. 257.

თა და გემოვნების დასაკმაყოფილებლად ამზადდებდნენ ოქროს რკალგახსნილ ბეჭდებს. ბეჭდის ეს ფორმა კი სრულიად უცნობია საკუთრივ საბერძნეთში. მაგრამ ადგილობრივი ელემენტების გავლენა აისახა მხოლოდ ამ ბეჭდების ფორმაში, რაც შეეხება სტილსა და გამოსახულებების არჩევანს, ისინი წმინდა ბერძნული რჩევა⁷⁰.

შეიძლება დაისვას საკითხი ქართული და ბოსფორული რკალგახსნილი ბეჭდების ურთიერთობის შესახებ. ჩვენის აზრით, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და საქართველოში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილიყო ამ ტიპის ბეჭდები. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ ისეთი არსებითი დეტალი ასხვავებს, როგორცაა მათ ფარაკებზე მოთავსებულ გამოსახულებათა სტილი, ხოლო საერთოს — გახსნილ რკალს — მოცემნება პროტოტიპები და ახსნა. როგორც საქართველოში, ისე სკვითეთში⁷¹. თუკა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ვ. პიატიშევა ხერსონესში აღმოჩენილ I საუკუნის ელექტრუმის რკალგახსნილ ბეჭედს მიიჩნევს ახალგორის განძისა და ალგეთის სამარხის ბეჭდების პირდაპირ მიბაძვად, მათ მოგვიანებულ გამარტივებულ რემინისცენციად⁷². კავკასიური წარმოშობისად მიიჩნია მას ქერჩში აღმოჩენილი რკალგახსნილი ბეჭდებიც⁷³.

⁷⁰ М. И. Максимова, Резные камни, Сборник „Античные города Северного Причерноморья“, 1, 1955 г., стр. 441.

⁷¹ „Эта форма довольно близка к скифским перстням в виде металлической спирали в несколько, а иногда и в один оборот“. М. И. Максимова, Античные печати Северного Причерноморья, ВДИ, № 1 за 1937 г., стр. 257.

რკალგახსნილი ბეჭდების წარმოება პანტიკაპეაში ადვილად აიხსნება იმით რომ ეს ბეჭდები მზადდებოდა არა სპეციალური დაკვეთით, არამედ ბაზრისათვისა და გათვალისწინებული იყო სხვადასხვანაირ თითზე მოსარგებად.

⁷² Н. В. Пятшшева, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43. ავტორი აქ ახსენებს რომელიღაც რკალგახსნილ ბეჭედს მცხეთიდან და უთითებს გ. გობეჯიშვილის წიგნს „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“. აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: მცხეთიდან ამგვარი ბეჭედი უცნობია და, ცხადია, არც გ. გობეჯიშვილს აქვს იგი ნახსენები.

⁷³ იქვე, გვ. 43, შენიშვნა 9.

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ვეცადოთ ავხსნათ ყანჩაეთის სპარსში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდების ფარაკებზე მოთავსებული გამოსახულებები.

საბეჭდავების გაჩენა საზოგადოებაში გარკვეული სოციალური ძვრების მანიშნებელია და დაკავშირებულია კერძო საკუთრების უფლების განმტკიცებასთან.

ინტალიოს დანიშნულება, როგორც ბეჭდისა, საბეჭდავისა, განსაზღვრავდა თვით მათზე მოთავსებულ გამოსახულებათა არჩევანს: ჩვეულებრივ, საბეჭდავებზე, განსაკუთრებით კი ადრეულ ხანაში, ღვთაებები ან მათი ატრიბუტები გამოისახებოდა ხოლმე. „Собственник печати этим самым как-бы отдавал свои права под защиту особы чинного им божества“⁷⁴.

ყანჩაეთში აღმოჩენილი საბეჭდავები, როგორც ზევით დავინახეთ, ადგილობრივი, ქართული ნაწარმაა. ამავე დროს ეს და მათი ანალოგიური საბეჭდავები, როგორც ირკვევა, უნდა ყოფილიყო საკუთრება ადგილობრივი წარჩინებულებისა, რომელთაც საერო და შესაძლებელია, სასულიერო უფლებაც ეპყრათ ხელთ (ამაზე იხ. ქვევით, თავი III). ყოველივე ამის გამო საფიქრებელია, რომ ამ საბეჭდავების გამოსახულებებშიც ადგილობრივი, ქართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები აისახებოდა. ამ საბეჭდავებზე რომ სიმბოლურ გამოსახულებებთან გვაქვს საქმე და არა ჩვეულებრივ, ყოდაცხოვრებისეულ სიუჟეტებთან, გვაფიქრებინებს ანალოგიურ გამოსახულებების ხშირი (ფანტასტიკური ცხენი და ფრინველი, მხედარი, ასტრალური ნიშნების თანხლებით) განმეორება ძველ ქართული მცირე ხელოვნების ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა გვიანბრინჯაოს ხანის გრავირებული ბრინჯაოს სარტყლები⁷⁵, ლურჯა შინის ათწახნავა საბეჭდავები⁷⁶, გვიანელინისტური—გვიანანტიკური

⁷⁴ М. И. Максимова, Античные резные камни Эрмитажа, Ленинград. 1926 г., стр. 6.

⁷⁵ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961 წ., ტაბ. 14. 15.

Б. В. Т е х о в, Раскопки Тлишского могильника в 1960 г., СА, 1, 1963 г., стр. 173.

⁷⁶ М. И. Максимова, Стекланные многогранные печати, найденные на территории Грузии, внижис მოამბე, X, თბილისი, 1941 წ.

Б. А. К у ф т и н, Триалети, I, табл. V.

მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. №№ 44—51, ტაბ. VII.

ხანის ბრინჯაოს ჰვირული ბალოები⁷⁷ და სხვ⁷⁸. კიდევ მეტი, თვით ქრისტიანული ხანის ძეგლებზეც ვხვდებით ანალოგიურ გამოსახულებებს⁷⁹. ცხადია, ქართველი ოსტატები რაღაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ გამოსახულებებს, ათეული საუკუნეების განმავლობაში რომ დაჟინებით იმეორებდნენ მათ⁸⁰.

ყანჩაეთის სამარხის № 7 საბეჭდავის ფარაკზე გამოსახულია ფრინველი, ფანტასტიკური (რქიანი) ცხენი და მის ფეხებს შორის ასტრალური ნიშანი—რვასხივიანი ვარსკვლავი (იხ. ტაბ. III). ვარსკვლავის მოთავსება ცხენის ფეხებს შორის გვანიშნებს, რომ ამ გამოსახულებათა სახით ზეცის მკვიდრთა გამოსახულებებთან გვაქვს საქმე⁸¹. ციურია ფრინველიცა და ცხენიც, რომლის შუბლს მოხრა-

⁷⁷ შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. 18—20.

⁷⁸ გ. ობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952 წ., ტაბ. XXIII, XIX.

И. И. Мещанинов, Закавказские поясные бляхи, СМОМПК, вып. 45, Махач-Кала, 1927.

⁷⁹ ლურჯი მინის ათწახნაგა საბეჭდავება და ბრინჯაოს ჰვირულ ბალოებს ერთმანეთს უდარებს მ. ი. მაქსიმოვა, თემცა ამ ბალოებს შეცდომით ძველი წელთაღრიცხვის VII—VI ს. ძეგლებად მიიჩნევს.

იხ. М. И. Максимова, Стеклённые многогранные печати, найденные на территории Грузии, ენიშკია მოამბე X, 1941 წ., თბილისი, გვ. 85. ბალოების თარიღისათვის შეაღ.: Б. А. Куфтин, Триалети, I, стр. 26—27. გ. ობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—108.

⁸⁰ მაგალითისათვის დავასახელებთ წებელდის კანკელის ფილას, რომელზედაც გამოსახულია ურთიერთდაპირისპირებული ორი მხედარი, რომელთაგანაც ერთი გველემშაპისა, ხოლო მეორე კაცის სახით თრგუნავს ბორბტებას. კანკელი თარიღდება VII საუკუნის მიწურულით. იხ. Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962 г., стр. 62—69, табл. I.

ბრდაძორის სტელაზე გამოჩნულია შუბლასანი მხედარი წმ. გიორგი, რომელიც გველს კლავს. იმავე სტელაზე სიცოცხლია ხე და მედალიონებში ჩასმული ასტრალური ნიშნებია (მზე, მთვარე, ვარსკვლავი). მთვარე გამოჩნულია ხარის თავის სახით, ომელააც ნამგალა მთვარისებური ოქები აქვს. ასეთივე მხედარი წმ. გიორგი გვაქვს სიცოცხლის ხესთან ერთად ალიქის სტელაზე. ორივე ამ სტელაზე გველემშაპი გამოჩნულია მიწის აღმნიშვნელი ხაზის ქვეშ: გველემშაპი ხომ ქვეყნების ძაღების განაახიეოებაა. ხუნებელი სტელები ინახება ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

⁸¹ შეადარეთ: A. Roese, Greek Geometric art. Its symbolism and its origin. Oxford University press. London, 1933, p. 9.

⁸² საბეჭდავზე მოთავსებული ასტრალური ნიშანი სწორედ ვარსკვლავია და არა მზე. მზე ძველ ქართულ ხელოვნებაში, ჩვეულებრივ, გასხივონებული კონცენტრული წრეებით (ზოგჯერ უბიძებოვად კი, მაგ. ბრინჯაოს ბალოებზე)

ლი რქა ამშვენებს, ხოლო მუცელ-შეკრდი უჩეულო, ცხენისათვის შეუფერებელი ორნამენტითაა დაფარული. ცხენი შზის ცხოველი იყო მრავალი ძველი ხალხის რწმენით. გაეისენოთ, თუნდაც, ჰელიოსის ცხენები. რომელთა შეკავება თვით ზევსსაც არ შეეძლო⁸². ღვთაება მზეს მსხვერპლად სწორედ ცხენებს სწირავდნენ. „ამ მსხვერპლშეწირვის აზრი ისაა, ამბობს პეროდოტე, რომ უსწრაფესს ღმერთთა შორის უსწრაფესი ცხოველი შეეფერება“⁸³. მზის ღვთაებისათვის ცხენის მსხვერპლად შეწირვა უცხო რომ არ ყოფილა კავკასიისათვისაც ადრეანტიკურ ხანაში, გვამცნობს ქსენოფონტე თავის „ანაბასისში“⁸⁴.

მზის ღვთაება ხშირად ცხენის სახით გამოისატებოდა ხოლმე. ამის მაგალითები უამრავია საქაროველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც⁸⁵. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს საბექდავზეც ფანტასტიკურ.

გამოსახებოდა. იხ. მაგ. სოლარული ნიშანი თრიალეთში, მარალინ-დერესის. № 5 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზე.

Б. А. Куфтин, Триалети, I, Рис. 49.

ასევე მთელ წინაზიში ამგვარად (რეასხივიანი ვარსკვლავის სახით) ყოველთვის ვარსკვლავი გამოიხატებოდა და არა მზე. A. Roes, დასახ. ნაშრ., გვ. 10; H. Prinz, Altorient. Symbolik, გვ. 64.

შუამდინარეთში რეასხივიანი ვარსკვლავი იშტარის ნიშანი იყო, იხ. E. Herzfeld, Iran in the Ancient East, p. 145.

⁸² Овидий, Превращения, Кн. II, Москва, 1874, стр. 33.

⁸³ Herodot, I, 216.

⁸⁴ Ксенофонт, Анабасис, IV, 35. არმენიაზე გავლისას ბერინებს ხელში ჩაგარდნით ცხენი, რომელიც ჰელიოსისათვის ყოფილა განკუთვნილი. ქსენოფონტეს შეზინებია, ლაშქრობით დაქანცული ცხენი არ მომიკედესო და ერთ-ერთი კომარხისათვის დაუტოვებია, გაასუქე და მზეს მსხვერპლად შესწირეო.

⁸⁵ ცხენის სახით გამოიხატებოდა მზე, მაგალითად, გვომეტრიული ხანის ბერძნულ ხელოვნებაში, ვილანოვაში (იტალია), ჰალშტადტში. იხ. A. Roes, დასახ. ნაშრ., გვ. 22—23.

ზემოთ ხენებულ ბრინჯაოს სარტყლებზე და კვირულ ბალთებზე გამოსახულ ცხენებს გაეასა და მკერდზე მუდამ მზის ნიშნები ახის, რაც პირდაპირ გვიჩვენებს, რომ აქ მზის ღვთაებებია გამოსახული. ასევე მზეს უკავშირებენ ბორში და არმანისხევის პატიანშთა სამაროვნის № 3 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის პინაკების ძირზე გამოსახულ ცხენებს ბომონის წინაშე. ნიშანდობლივია, რომ ცხენებიანი მედალიონები აქ მოთქრულია (ოქრო—მზის ღმერთი!).

იხ. Е. Придик, Новые кавказские клады, стр. 9.

შ. ამირახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

მცხეთა, I. არმანისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 54 და შედეგ.

რქიანი ცხენის სახით მზის ღვთაებაა წარმოდგენილი⁸⁶.

მზის ღვთაების გამოსახულებას ხშირად ახლავს ხოლმე ფრინველი⁸⁷. ჩვენს საბექდავზეც მზე-ცხენს ზედ აზის ფრინველი.

თუ ცხენი მზის ცხოველად ითვლებოდა საქართველოში, ფრინველი მთვარისა უნდა ყოფილიყო. ახლაც კი გიორგობა დღეს აფრენენ ხოლმე (არ კლავენ¹) სპეციალურად გაზრდილ მამულეს (მაკ. გორიჯვობას). წმინდა გიორგიმ კი, როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის რწმენაში ქრისტიანობის მიღების შემდეგ წარმართული მთვარის ღვთაების ადგილი დაიკავა⁸⁸. აკად. ი. ა. ორბელის ცნობით სომხურ გარემოშიც. მთიან მოქიუსში წმინდა გიორგის სამლოცველო ყოფილა, სადაც მუდმივად ყოლიათ „მისანი“ (მედიანი) შავი მამალი⁸⁹. სტრაბონის ცნობით მამალი მთვარის ღვთაების, მენას ფრინველად ითვლებოდა, იმიტომ რომ მამალმა ღამე ყვილა იცის⁹⁰. ყანჩეთის სამარხის № 7 საბექდავზე გამოსახული ფრინველიც სწორედ მთვარის ღვთაებას უნდა გამოხატავდეს⁹¹. საბექდავზე მოთავსებული გამოსახულების დამაჯერებლად ასახსნელად უნდა მივმართოთ ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებსა და სარტყლებს, სადაც ანალოგიური კომპოზიცია გვხვდება ხოლმე. ამ მზრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი სარტყელი ჩაბარუხის განძიდან⁹². ამ სარ-

⁸⁶ ამთ შეიძლება აიხსნას უენაური „ნაძეინახიებური“ ორნამენტი № 7 საბექდავის ცხენის კიყურ-მკეოდზე: მზე,თან, როგორც სიკოცხლისა და ნყოფიერება; მოცეპ ღვთაებასთან. დაკავშირებული იყო სიკოცხლის ზეც. იხ. В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовая графика грузинских племен, Тбилиси, 1957 г., стр. 54 и сл.

⁸⁷ А. R o o s, დასახ. ნაშრ., გვ. 14 და შემდეგ. აავევა ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებზეც.

⁸⁸ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1951, გვ. 50.

⁸⁹ К. В Т р е в с р, Огражение в искусстве дуалистической концепции зороастризма, Труды Отдела Истории культуры и искусства Востока I ос. Эрмитажа, I, Ленинград, 1939 г., стр. 252.

⁹⁰ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, წიკნი XII; 31—36.

⁹¹ საყურადღებოა, რომ სკანი ბონადიოეები ნადირობისას სახელის ნაცვლად ერთმანეთს უწოდებენ „ნაპოლ“ (ფრინველი). აქაც ფრინველი მანაკაცს, ონადირე მანაკაცს უკავშირდება. ცნობა მომავლოდა ეთნოგრაფმა დ. კოქეიკიკივამ, რისთვისაც ვიდავ დადლობელი ვარ.

⁹² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი საინვენტარო № 27—6.24.

ისტორიულ თენიეობათა კანდიდატმა ალ. კალანდაძემ, ამ გამოახულებით სარგებლობის უფლება მოძეკა ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მუზეუმს გადასცემდა, რისთვისაც ვიდავ დადლობელი ვარ.

ტყელზე გამოსახულია, სხვათა შორის, ფანტასტიკური ცხენი მზის ნიშნით მკერდზე, მის უკანა ფეხებთან მამლისებური ფრინველი, ხოლო მუცელქვეშ, იქ სადაც ყანჩაურ № 7 საბეჭდავზე ვარსკვლავია გამოსახული—სუძუს მაწოვარი კვიცი. ყანჩაური საბეჭდავის ვარსკვლავს ენაცვლება კვიცი, ცხენის (ე. ი. მზის) შვილი. მაშასადამე ვარსკვლავი მზის შვილია, ღვთის შვილია. ცხენი კი ფაშატია, მისი დედაა, მზე-ქალია. აქ უნდა გავიხსენოთ ცნობილი ზეგრული ხალხური ლექსი: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი, სხვადასხვა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“⁹³. ამ შესანიშნავი ლექსიდან მარტო ის კი არ ჩანს, რომ მთვარე მამაკაცია, ხოლო მზე დედაკაცი, არამედ ისიც, რომ ვარსკვლავები მათი შვილებია.

ქართველ მთიელთა რწმენით, როგორც ვ. ბარდაველიძემ აღდგინა, უმაღლეს ღვთაებებად ითვლებოდნენ მორიგე-ღმერთი, მზე-ქალი და კვირია. მეორეხარისხოვან ღმერთებად კი ღვთის შვილნი⁹⁴. კვირია იყო მაშუალი მორიგე ღმერთსა და ღვთის შვილთა შორის, ღვთის შვილთა თავი⁹⁵. კვირიას მესამე ადგილი ეკავა პანთეონში მორიგე ღმერთისა (მთვარე) და მზე-ქალის შემდეგ და, როგორც ჩანს. თვითონვე იყო ღვთის შვილი, ღვთის შვილთა უპირველესი. ქართული წარმართული პანთეონის უმაღლეს ღვთაებათა ეს სამეული—მთვარე (ფრინველი), მზე (ცხენი) და კვირია (ვარსკვლავი) უნდა იყოს ასახული ყანჩათის სამარხის № 7 საბეჭდავის ფარაკზე.

№ 8 საბეჭდავის ფარაკზე (იხ. ტაბ. II) გამოსახულია შუბოსანი მხედარი ფანტასტიკურ რქიან ცხენზე და მხედრის ზურგს უკან რვასხივიანი ვარსკვლავი. ყველაფერი თითქმის ისევეა, როგორც № 7 საბეჭდავზე: ფანტასტიკური რქიანი ცხენი, რვასხივიანი ვარსკვლავი, ხოლო ფრინველის ნაცვლად შუბოსანი მხედარი, ფრინველისებური თავით. შეიძლება გვეფიქრა რომ აქაც ასახულია მზე-ცხენი, კვირია-ვარსკვლავი და მთვარე, ამჯერად ანტროპომორფული სახით, მაგრამ განსხვავება ამ გამოსახულებებს შორის გადამწყვეტია. თუ № 7 საბეჭდავზე ვარსკვლავიც, ცხენიცა და ფრინველიც დამოუკიდებელი, ერთგვარად თანასწორი ფიგურებია, № 8 საბეჭდავზე არსებითად ერთიანი გამოსახულება გვაქვს. თუ № 7 საბეჭდავზე

⁹³ ი. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 59.

⁹⁴ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1957, стр. 2—3.

⁹⁵ იქვე, გვ. 19.

აისახა უმაღლეს ღვთაებათა ტრიადა, № 8 საბეჭდავზე უკვე ერთი ღვთაების, მებრძოლი მხედარი ღვთაების გამოსახულება უნდა გვქონდეს. ცხენი და ვარსკვლავი დამოუკიდებელი ფიგურები აღარაა, ისინი ამ ღვთაების ატრიბუტებად ქცეულან. ღვთაება, რომლის ატრიბუტები მზე-ცხენი და ვარსკვლავია, შეიძლება მხოლოდ ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაება, მთვარის ღვთაება იყოს⁸⁶. მართლაც, მხედარს ფრინველის (=მთვარის) ადგილი უკავია. ურს-ძუარში აღმოჩენილ ერთ მეტად საინტერესო ბრინჯაოს ბალთაზე (იხ. ტაბ. III, ა) ამ აზრის ორმაგი დადასტურება გვაქვს: ცხენს მკერდის წინ მზის ნიშანი აქვს (კონცენტრული წრეები), ხოლო მხედარის უკან ცხენის გავაზე ფრინველი (მამალი)—მთვარის ნიშანი—ზის⁸⁷.

ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენათა თანახმად, უმაღლეს ღვთაებათა სამეულში თითოეულს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნდა (მაგ. მორიგე-ღმერთი უმაღლესი მსაჯული ყოფილა. მზე-ქალი ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს ახორციელებდა; კვირია შვილიერების მფარველი იყო), მაგრამ არც მზე-ქალსა და არც კვირიას თავისი ფუნქციების განხორციელების უფლება არა ჰქონდათ მორიგე ღმერთის ნებართვისა და დასტურის გარეშე. ამგვარად, ფაქტიურად უმაღლესი ღვთაების—მორიგე ღმერთის ხელში იყო გაერთიანებული მზე-ქალისაცა და კვირიას ფუნქციებიც, სოლო ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ ფუნქციების თანამონაწილენი იყვნენ⁸⁸.

ამ ვითარებაში სრულიად გასაგებია, რომ მზისა და კვირიას გამოსახულებებიც მთავარი ღვთაების—მთვარის ღვთაების ატრიბუტებად ქცეულიყვნენ: ფუნქციების გაერთიანებას ერთ ხელში ატრიბუტების გაერთიანებაც უნდა მოჰყოლოდა. როგორც ჩანს, ეს პროცესი საკმაოდ შორსწასული იყო უკვე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის საქართველოში. ამაზე მიუთითებს სავესებით ერთხაირი მებრძოლი მხედარი ღვთაების გამოსახულების აღმოჩენა ისეთ დაშორებულ პუნქტებში, როგორიცაა საქეგური-ყანჩათი და ალგეთის წინწყარო (ტაბ. II, I). იგივე მხედარი-ღვთაება უნდა იყოს გამოსახული ყანჩათის № 10 ბრინჯაოს შტანდარტზე (ტაბ. V, 10ა, 10ბ). ახა-

⁸⁶ ი. ჯაფარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

⁸⁷ ბალთა გამოქვეყნებულია: იხ. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1947 г., табл. III.

ბალთა ინახება ცხინვალის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

⁸⁸ В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 17—18.

ლოგიურ შტანდარტზე ახალგორის განძიდან⁹⁹ და ყაზბეგის განძის ერთ-ერთ ქანდაკებაზე¹⁰⁰.

მაშასადამე, უკვე ადრეანტიკური ხანის საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო უმაღლესი ღვთაების—მთვარის ღვთაების გარკვეულ იკონოგრაფია — მებრძოლი მხედარი. მისი ერთ-ერთი (ალბათ ოფიციალური) სახელი ანტიკურ ხანაში არმაზი უნდა ყოფილიყო¹⁰¹.

ამ ღვთაების გამოსახულება არ სცილდება ქართულ მცირე ხელოვნებას მთელი ანტიკური ხანის მანძილზე და ქრისტიანულ ხანაშიც გადადის, სადაც შემდგომში წმინდა გიორგის სახელს იღებს¹⁰².

⁹⁹ Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, рис. на стр. 60.

ამ ქანდაკებებზე ცხენოსნის უკან ვარსკვლავს ისევ კვიცი, ცხენის შვილი ცვლის.

¹⁰⁰ Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК VIII, стр. 149, рис. 130.

¹⁰¹ ჯერ კიდევ მ. წერეთელმა (იხ. მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა) და ი. ჯავახიშვილმა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 104—112) დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ქართული საისტორიო წყაროების არმაზს არაფეოი აქვს საერთო აპერამხვლასა და ცეცხლთაყვანისმცემლობასთან. ხოლო ა. ი. ბოლტუნოვა იხ. А. И. Болтунова, К вопросу об Армази. ВДИ, 2, 1949 г., стр. 229—240), ეყრდნობა რა გიორტეს (იხ. A. Götze, Neue Bruchstücke zum grossen Text des Hattasiliš und dem Paralleltexen, Leipzig, 1930), რომლის თანახმად სახელი არმაზი ხეთურად ნიშნავდა მთვარეს, ფიქრობს, რომ ეს ღვთაება ააპოკალიფს უნდა მემოსულიყო საქართველოში და დაეკავებინა ადგილობრივი მთავარი ღვთაების—მთვარის ღვთაების ადგილი.

¹⁰² ყანჩაეთის ადრეანტიკური ხანის სამარხის აღმოჩენის ადგილიდან სულ ორიოდ კილომეტრზეა სოფელი არმაზი—შეიძლება ითქვას, ერთადერთი ადგილი საქართველოში, სადაც ტოპონიმოკაში დღემდე შეიონახა წარმართული ქართული მთავარი ღვთაების სახელი (არმაზისხევი მცხეთასთან ცოცხალ მტყვევლებაში აღმასისხეკად იწოდება). აა სოფელთან 864 წელს გიორგი არმაზის მამასახლისს აუგია წმინდა გიორგის ტაძარი (იხ. Г. Н. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII-IX века в Ксанском ущельи, ქართული ხელოვნება, I. 1942 წ., გვ. 3). თუ მხედველობაში მივღებთ იმას, რომ ამ მიდამოებში ადრეანტიკურ ხანაში სავარაუდებელია მთვარის ღვთაების საწლოცველას, ხატის არსებობა, ეს ფაქტი ჩვენი აზრების დამაბტკიცებელი არგუმენტის ძალას იკრებს: იმ ადგილს სადაც მთვარის სამლოცველო ყოფილა და როდესაც არმაზი ეწოდება, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას! ამგვარი მონაცემლება, როდესაც წარმართული სამლოცველოს ადგილას ქრისტიანული ეკლესია შენდება, ჩვეულებრივია. ასევე 514 წ. კაპ. დოკიამი, ქალაქ ლიდაში (ყოფილი დიოპოლისი) წარმართული მთვარის ღვთაების (მენის) სახელგანთქმული ტაძარი (სტრაბონი, XII, 34, იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრა-

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ყანჩაურ № 7 და № 8 საბეჭდავების ანალოგიური გამოსახულებები გვხვდება ე. წ. გვიან-აქემენიდურ და ელინისტურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებულ მრავალწახნაგა საბეჭდავების ლურჯი მინის სხმულებზე (ტაბ. III, e და b)¹⁰³. ჯერ კიდევ მ. ი. მაქსიმოვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს საბეჭდავები საქართველოშია ჩამოსხმული აღმოსავლეთ მცირე აზიაში ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული ქვის დედნებიდან¹⁰⁴.

1945 წელს ს. ბარნაველმა ახალქალაქის მახლობლად სოფ. პრტენაში აღმოჩენილი ქალცედონის მრავალწახნაგა საბეჭდავის სტილისტური ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ ეს საბეჭდავი და მასთან ერთად ლურჯი მინის ძთელი რიგი სხმულების დედნებიც ადგილობრავ უნდა იყოს დამზადებული¹⁰⁵. (პრტენის გემა ქერაქრობით საქართველოში აღმოჩენილი ქვის ერთადერთი მრავალწახნაგაა). ლურჯი მინის საბეჭდავების სიუჟეტთა დამთხვევები ადგილობრივი საბეჭდავი ბეჭდების ფარაკებზე მოთავსებულ გამოსახულებებთან კიდევ მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს ს. ბარნაველის დასკვნას. თუ გავისწინებთ, რომ ქვის მრავალწახნაგა საბეჭდავები სპეციფიკურად მცირეაზიურ მოვლენად ითვლება, ეს ფაქტი იქცევა ამ

ფია, თბილისი, 1937 წ., გვ. 215, 280) წმინდა გიორგის ტაძრად გადაჯეკვებით ეხრას ცნობით (იხ. Carbut et Leclercq. Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie, t. VI, 924).

¹⁰³ მაგალითად, რქიანი ცხენი (ან ირემი) და მის ხურგზე შემომადარი ფრინველი გამოსახულია ორ, რთაორკ ჩანს, ერთი დედნიდან ჩამოსხმულ ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავზე. რომელთაგანაც ერთი აღმოჩენილია ლოქინში 1933 წ. (იხ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აქაები, III, თბილისი, 1951-წ. № 43), ხოლო მეორე ურბნისში 1961 წ. (ტაბ. III, o).

ცხენი და კვიცი გამოსახულია აქვე საერთო დედნიდან ჩამოსხმულ ორ საბეჭდავზე, რომელთაგან ერთი აღმოჩნდა თრიალეთში და თარიღდება ძველი წ. IV საუკუნით (Б. А. Куфтин. Триалети, გვ. 31—31, ტაბ. V, М. И. Максимова, Стеклённые многогранные печатки, გვ. 83—84, მ. ლორთქიფანიძე, საქ. სახ. მუზეუმი, ცხენი, III, № 47); მეორე ლოქინში 1933 წელს (მ. ლორთქიფანიძე, ათაოილება ძველ წ. III საუკუნით, იხ. დასაბ. ნაშრ. № 49). (ტაბ. III, f).

¹⁰⁴ М. И. Максимов а. დასაბ. ნაშრ., გვ. 76.

¹⁰⁵ ს. ვ ბარნაველი, ორი გვიანათვისა (გოქჩია და პრტენის გემები), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 7, 1945 წ.

ხანაში საქართველოსა და მცირე აზიას შორის გაცხოველებული ურთიერთობის არსებობის კიდევ ერთ საბუთად¹⁰⁸.

ბრინჯაოს ჰვირულ ბალთებზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ უნდა მოვიხსენოთ გვიანანტიკური ხანის ოთხი გემა¹⁰⁷, რომლებზედაც, ჩვენის აზრით, შეიძლება ქართველთა უმაღლესი ღვთაების გამოსახულება დავინახოთ. ოთხივე ამ გემაზე თითქმის ერთი და იგივე გამოსახულებაა: მხედარი სხივოსან გვირგვინში, ფეხაწეულ ცხენზე ბომონის წინაშე და ასტრალური ნიშნების თანხლებით. მხედრის უკან სიცოცხლის ხეა, რომლის ძირს გველი ეხვევა (იხ. ტაბ. III, c, d). ოთხი გემიდან სამი საქართველოშია აღმოჩენილი, ერთი კი უცნობი წარმოშობისაა. ყველა ეს გემა ახ. წ. III—IV საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ერთ-ერთ მათგანს მ. ლორთქიფანიძე ადგილობრივ ნამუშევრად ათვლის. თუ ეს აზრი სწორია, იგი ოთხივე გემაზე უნდა გავრცელდეს¹⁰⁸.

ამ უკანასკნელ გამოსახულებაში შესაძლებელია მითრანიზმის გავლენაც დავინახოთ. წარმართული ქართული პანთეონის მეთაური, რომელმაც მზის ღვთაების ფუნქციებიც შეიერთა, ადვილად შეიძლებოდა დაახლოვებოდა მითრას. მართლაც, როგორც ჩანს. მითრანიზმსაც უნდა დაეტოვებინა გარკვეული კვალი ქართულ წარმართობაში¹⁰⁹.

¹⁰⁸ ს. ვ. ბარნაველი, ორი გემისათვის (გოქჩის და პრტენის გემები), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოანტიკ. ტ. VI, № 7, 1945 წ.

¹⁰⁷ გ. დუნდუა, პიტიუნტი-ბიკვინტი ნუნეზმატიკური მაალის მიხედვით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბილისი, 1963 წ., გვ. 65.

¹⁰⁹ უცნობი წარმოშობის სარდიონის გემა გამოქვეყნებულია აქვს ფურტვანგლერს (იხ. Furtwängler, Beschreibung der Geschnitten Steine im Antiquarium. Berlin, 1910, № 2935) და განოსახულებას საზღვარეულ, როგორც ფრიგიელ მხედარ-ღვთაებას (ტაბ. III, c). კუთარის ნახლქლად აღმოჩნდა მეორე ამგვარი გემა (იხ. Кнб а л ь ч и в, Южно-Русские геммы, Берлин, 1910, № 267). ასეთივე ინტალიო სამთავროს 1947 წ. № 660 ქვაყუთიდან განოტკეცნებული აქვს მ. ლორთქიფანიძეს, ადგილობრივად ნიაჩნია და ათარიღებს ახ. წ. IV საუკუნით, მაგრამ ძნელია დაეთანხნო მის განახლვრას. თითქოს აქ „წარჩინებული მხედარი“ იყოს გამოსახული (იხ. ნისი საქ. სახ. მუზეუმის გემები, 1. № 29) (იხ. ტაბ. III, d). ამას წინათ კიდევ ერთი ამგვარი გემა აღმოჩნდა ურბნისში XVI—5 უბანზე № 1 სამარხში, რომელსაც ლ. კილაშვილი ახ. წ. IV საუკუნით ათარიღებს.

ნახევარმთვარე მხოლოდ ბერლინურ ეკზემპლარზეა გამოსახული, ქუთაისურ და სამთავროულ ცალეებზე კი აღარც ვარსკვლავია. სხვანაირი ეს გემები დეტალებშიც კი ერთნაირია.

¹⁰⁹ ს. მაკალათია, ჯეგე-მისალონის კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1938 წ.

სავსებით ანალოგიური გამოსახულებებია ახ. წ. II—III საუკუნის ტრაპიზონის საქალაქო მონეტებზე (ტაბ. III, b). გ. დუნდუა თვლის, რომ ამ მონეტებზე გამოსახულია მთვარის, მზისა და ვარსკვლავთ ღვთაებათა ფუნქციების გამაერთიანებელი სინკრეტული ღვთაება, რომელიც ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. არსად საქართველოს გარდა ამგვარი გამოსახულება ცნობილი არ არის¹¹⁰. როგორც ჩანს, იგივე მხედარი—ღვთაებაა გამოხატული მინის სამ თითქმის ერთნაირ ბეჭდის თვალზე (სამივეზე გამოხატულია მხედარი ფეხაწეულ ცხენზე), რომლებიც აღმოჩნდა ურბნისის სამაროვნის №№ 165, 189 და 229 სამარხებში. სამივე სამარხს დ. ქორიძე ახ. წ. I საუკუნით ათარიღებს.

წმინდა გიორგის—მებრძოლი მხედრის ხატების წარმოშობის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა, ბევრი განსხვავებული მოსაზრება არსებობს, მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია, რომ ამ ხატებას თავის განვითარებაში წინარეჟისტიანული ეტაპებიც უნდა გაევილო¹¹¹. მხედარი წმინდა გიორგი, შესაძლებელია, თავისი წარმოშობითვე დაკავშირებული იყოს მიწათმოქმედების მფარველ და ქვესკნელის ბოროტ ძალებთან მებრძოლ წარმართულ ქართულ მთვარის ღვთაებასთან, რომელიც აგრეთვე შუბოსანი მხედრის სახით უნდა ჰყოლოდათ წარმოდგენილი ქართველებს. ყოველ შემთხვევაში, ფუნქციათა დამთხვევის გარდა იკონოგრაფიული სახის დამთხვევაკ უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართველმა ხალხმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ თავისი მთავარი ღვთაების თაყვანისცემა წმინდა გიორგიზე გადაიტანა.

III. ხარითუალო ნივთები

10. შტანდარტი, კვირული. ბრინჯაოსი (ტაბ. IV, V, VI). ეს ნივთი, რომელსაც პირობითად შტანდარტი ვუწოდეთ, მაგრდებოდა რაღაც ღეროს (ალბათ ხის) ქვედა ბოლოზე, რომელიც შტანდარტის ცილინდრულ მასრაში ჯდებოდა. მასრაში ორი ნახვრეტია მანჭვალისათვის, ქვევიდან კი ყუნწი აქვს ზარაკის ჩამოსაკიდებლად. მასრის ზედა ნაპირიდან ორ მხარეს გამოდის თითო მრგვალგანიცკვე-

¹¹⁰ გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 64—65. ტაბ. III მოთავსებული მონეტის ფოტოს დაბეჭდვის უფლება თავახიანად მომცა გ. დუნდუამ, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ.

¹¹¹ Г. Н Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959 г., стр. 325.

თიანი ღერო, რომლებიც ვერძის თავების ქანდაკებებით მთავრდებიან. ვერძებს ორ-ორჯერ დახვეული რქები აქვთ. რქები ვერტიკალური შვერილებით ბოლოვდება. ვერძის ძირს დაშვებული დრუნჩი განვრტილია ყუნწად და ასეთივე მრგვალი ყუნწებია მიმაგრებულ რქების მეორე ხვიაზე, ვერტიკალური შვერილების ქვეშ. მასრიდან ვერძის „კისრებს“ შორის ორივე მხარეს ორ-ორი ჰორიზონტალური მრგვალგანვიკვეთიანი ღერო გამოდის, რომლის ბოლოები შეერთებულია ვიწრო ფირფიტით. შეერთების ადგილებზე ირიბი ჯვრებია დაქდული. ასეთივე ფირფიტებით შეერთებულია ისინი ვერძების რქებთანაც, ისე რომ მასრის გარშემო გეგმაში იქმნება ექვსმანიაანი თვალი. ამ შემაერთებელ ფირფიტებზე (სულ ოთხია) თითო მრგვალი ყუნწია მიმაგრებული. ორმაგი ღეროების ბოლოებში ძირს დაშვებულია ვერძის დრუნჩის მსგავსი შვერილები, ბოლოში ნახვრეტით.

შტანდარტის ფუძის შემქმნელ წრეზე 14 და ერთიც მასრის ბოლოზე. სულ კი 15 ყუნწია. რომლებშიც, როგორც ჩანს, რკინის რგოლებით ბრინჯაოს ქვემოთ აღწერილი (№№ 13—31) ზარაკები ყოფილა ჩამოკიდებული¹¹².

შტანდარტის ფუძეზე აღმართულია ბრტყელი ქანდაკებები, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთობლივად კვირულ ცილინდრსა ქმნიან.

ორ მოპირდაპირე მხარეს, ვერძის თავებზე მხედრების ბრტყელი ერთნაირი ფიგურები დგას (ტაბ. V, 10, და 10_ა). ცხენის ფეხები ვერძის შუბლიდან ამოდის. ცხენს მაღალი, მოხრილი ოქა და წინ გაშვებული ყურები აქვს; გრძელი, წვრილი კუდი ვერძის რქას ეყრდნობა. ცხენის დრუნჩი და კისერი ფირფატითაა შეერთებული (აღვირი?). მხედარს პირამიდული თავსაბურავი ჰხურავს. პირისახეზე მხოლოდ მაღალი ცხვირია გამოყოფილი. ხელები ცხენის კისერზე უდევს. ცხენის გავაზე; მხედრის უკან დგას რალაც ოთხფეხი (კვიცი?), თავზე წრედ შეკრული რქით და წვრილი კუდით, რომელიც ცხენის კუდს უერთდება. დრუნჩით ეს ოთხფეხი მხედრის კისერთანაა შეერთებული. (ტაბ. V, 10, ქანდაკებაზე კვიცს კუდი და რქა მოტეხილი აქვს. აქვე ვერძსაც წატეხილი აქვს მარჯვენა რქის წვერი).

ორმაგი ღეროების ბოლოებზე ორი აავსებით ერთნაირი ჯგუფი დგას: კვირულ ოთხკუთხა „კვარცხლქზე“ აღმართულ თხიბას

¹¹² ქიმიურად გაწმენდამდე ყველა ამ ყუნწში რკინის ტანგი იყო შერჩენილი.

თავებს შორის დგას ადამიანის ხელბაჰყრობილი ფიგურა en face (ტაბ. V, 10₃, 10₇). ადამიანის ფიგურას დიდი ზომის ბრტყელი ხელის-მტევნები და სავსებით ისეთივე სახე აქვს, როგორც მხედრებს. ადამიანის ფიგურის იდაყვები თსების უკანდახვეულ რქებს უერთდება. „კვარცხლბეკში“ ჩასმულია ორი ზ-სებური ხეია. (10₇ ჯგუფში ადამიანის ფიგურას მარჯვენა ხელის-მტევანი წატეხილი აქვს). ამ ოთხ ჯგუფს შორის ჩადგმულია თითო (სულ ოთხი) ადამიანის მაღალი ფიგურა en face (ტაბ. VI). ფიგურებს აქვთ ბრტყელი ტანი და დიდი ზომის ხელის მტევნები, რომლებზედაც თითები ჰდებებითაა აღნიშნული. თავზე ჰხურავთ მაღალი, მრგვალი, ბრტყელი თავსაბურავი. ყველა ეს ფიგურა ერთნაირია, ოღონდ ერთ-ერთს (10₃) მარცხენა ხელი იდაყვში მოხრილი და ზევით აწეული აქვს, სხვებს კი ძირს დაშვებული. ფიგურები მეზობელ ჯგუფებს უერთდება ხელებით.

შტანდარტი ჩამოსხმულია. ჩამოსხმის შემდეგ მხოლოდ გარეპირია დამუშავებული და გასუფთავებული ჩამოსხმის დეფექტებისაგან, რაც კარგად ჩანს ნივთის შიდაპირზე.

შტანდარტის სიმაღლე—100 მმ, უდიდესი დიამეტრი—85 მმ. უმცირესი დიამეტრი—75 მმ.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძვ. წ. I ათასწლეულის ბრინჯაოს უამრავ ქანდაკებებს შორის ბევრია ჩვენი შტანდარტის მეტ-ნაკლებად მსგავსი ნივთი, ასეთივე მასრითა და ზარაკების ჩამოსაკიდებელი ყუნწებით, რომლებზედაც ზოგჯერ ზარაკებიც კია შერჩენილი¹¹³, მაგრამ ზუსტი ანალოგი ერთადერთი მოეპოვება. ესაა ახალგორის განძის ბრინჯაოს შტანდარტი¹¹⁴, რომელიც მთლიანადაც და დეტალებშიც ყანჩაური შტანდარტის მსგავსია. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ქანდაკებათა ოთხ ძირითად ჯგუფს შორის ახალგორის განძის შტანდარტზე არაა ჩასმული ადამიანების მაღალი ფიგურები. ძირითადი და თვალშისაცემი თავისებურება, რაც განასხვავებს ყანჩაურისა და ახალგორის განძის ბრინჯაოს შტანდარტებს თუნდაც, ყაზბეგის განძის ანალოგიური ნივთებისაგან ისაა, რომ ამ შტანდარტებზე ადამიანის არც ერთი ფიგურა არაა იტიფა-

¹¹³ მაგალითისათვის საკმარისია ყაზბეგის განძის ბრინჯაოს ქანდაკებების დასახელება. იხ. Коллекции Кавказского Музея, V, № 180—183, ტაბ. II—III, იხ. ლ. წითლანაძე, ყაზბეგის განძის ზოგიერთი საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, 1963 წ., ტაბ. II—IV.

¹¹⁴ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 59—61, № 94.

ლური. ფალოსების გამოსახულება აქ ცალკეა გამოტანილი, სახელდობრ ასეთებად უნდა მიჩნეულ იქნას ვერძის რქების ვერტიკალურად ზევით აშვერილი უჩვეულო ბოლოები (იხ. ტაბ. V). ამ შვერილების ფალიკურ მნიშვნელობას, რასაც ჭერ კიდევ ი. სმირნოვმა მიაქცია უურადლება¹¹⁵, ადასტურებს ახალგორის განძის მეორე შტანდარტი¹¹⁶ და ყაზბეგის განძის ანალოგიური ნივთი¹¹⁷, რომლებზედაც ვერძის რქების მსგავსი შვერილები გარკვევით ფალოსებს გამოხატავს. შტანდარტებზე ადამიანების ფიგურების არაიტიფალურობა გასაგები გახდება, თუ კი ამ შტანდარტების ქანდაკებათა ძირითად ჯგუფებში, როგორცაა ვერძის რქებზე აღმართული ცხენოსნები, იმავე გამოსახულებას დაეინახავთ, რაც მოცემულია ჩვენი აღწერილობის № 8 საბეჭდავის ფარაკზე და ალგეთის განძის საბეჭდავზე (იხ. ზემოთ), ე. ი. ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების, მთვარის ღვთაების გამოსახულებას. მართლაც, აქაც ისეთივე ფანტასტიკურ რქიან ცხენზე ზის მხედარი, როგორც საბეჭდავებზე, ხოლო მხედრის უკან, ცხენის გავაზე ვარსკვლავის ნაცვლად (რაც, როგორც დაეინახეთ, კვირიას—ღვთის შვილთა უპირველესის გამოსახულება) პირდაპირ კვიცია დასმული (კვიცი—ცხეხის ანუ მზის შვილი).

თხების ორ თავს შორის მდგარი ხელაპყრობილი ფიგურა (ტაბ. V, 10₃, 10₇) და ადამიანთა მაღალი ფიგურები (ტაბ. VI), როგორც ჩანს ერთი და იგივე უნდა იყვნენ. რადგანაც ახალგორის განძის შტანდარტზე თხის თავებს შორის სწორედ მაღალი ფიგურებია ჩასმული¹¹⁸. რამდენადაც ეს ფიგურა თხის ორ გამოსახულებას შორის დგას, თითქოს საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მისი დაკავშირება ნაყოფიერების ღვთაებასთან. საყოველთაოდ ცნობილია სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის წყვილი ცხოველის თანხლებით გამოსახვა¹¹⁹. ხშირად ეს ცხოველები სწორედ თხებია¹²⁰. ასევე წყვი-

¹¹⁵ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 59—60.

¹¹⁶ იქვე, ნახატი 59-ე გვერდზე.

¹¹⁷ МАК VIII, გვ. 149, ნახ. 130. სხვათაშორის აქაც ვერძის დაგრეხილ რქებზე მხედრები დგანან, ისევე როგორც ჩვენს შტანდარტზე ეს ანალოგია სმირნოვსაც აქვს აღნიშნული.

¹¹⁸ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., ნახატი 59-ე გვერდზე.

¹¹⁹ აქვე, ტაბ. II, გ, ალგეთის საბეჭდავი.

გავიხსენოთ აგრეთვე შქაკლი ცხაკლი თრალეთის ვერცხლი თახე. Б. К у ф т я к, დასახ. ნაშრ., ტაბ. ХСII.

¹²⁰ В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

Е. Herzfeld, დასახ. ნაშრ., გვ. 164 და შემდეგ ნახ. 281, 283.

ლი ცხოველის თანხლებით გამოისახებოდა ხოლმე მცირეაზიური ნაყოფიერების ღვთაება, ღმერთების დედა რეა-კიბელა¹²¹. და თუ ბოლოს ადამიანთა ამ ფიგურების უჩვეულოდ დიდ და ბრტყელ ხელის მტევნებში მართლაც ყურძნის მტევნების გამოსახულებას დავინახავთ, მაშინ მათი დაკავშირება ნაყოფიერების ღვთაებასთან კიდევ მეტ დამაჯერებლობას მიიღებს.

როგორც ზევით დავინახეთ, შტანდარტი მაგრდებოდა ხის ტარის ქვედა ბოლოზე. ქვეშ კი, ყუნწებზე 15 ზარაკი ეკიდა. ამ მდგომარეობაში ნივთის ძირს დადგმა არ შეიძლება, იგი ტარით ხელში უნდა სჭეროდათ. ამგვარი აღწერილობითაც კი, სულაც თავი რომ დავანებოთ ფიგურების სავარაუდო მნიშვნელობას, ჩვენი შტანდარტი ძალიან ჰგავს საქართველოს მთებში გადმონაშთის სახით შემონახულ დროშებს¹²² და სწორედ ამგვარი დროშის ან კვერთხის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ იგი.

11. ნამგალა მთვარისებური ჰერმული ფირფიტა, ბრიხჯაოსი (ტაბ. IV). ფირფიტაში სამკუთხედებია ამოჭრილი. ნაპირებს გრეხილურისებური შემალლება დაუყვება. შეჭრილი მხრიდან შუაში მიმაგრებულია მამაკაცის შიშველი ფიგურა, ამართული ფალოსით. ფიგურა თავითა და ხელებით შეერთებულია ნამგალა მთვარისებურ ფირფიტასთან და თითქოს იკაეებსო მას, ქვემოთ შეერთებული ფეხები კი ყუნწსა ქმნის. ამავე შეჭრილი მხრიდან ფირფიტაზე სიმეტრიულად განლაგებული კიდევ ოთხი ყუნწი უნდა ყოფილიყო (ამჟამად სამია). სამივე გადარჩენილ ყუნწში, ისევე როგორც მამაკაცის ფიგურის ფეხებზე ნივთის ქიმიურად გაწმენდამდე რკინის ჟანგი იყო, რაც გვიჩვენებს, რომ ამ ყუნწებზე რკინის რგოლებით ჩამოკიდებული ყოფილა ქვემოთ აღწერილი ზარაკები. ფირფიტის უკანა მხარე სრულიად გლუვია.

ფირფიტა სამადაა გატეხილი, მარცხენა წვერი ერთი ყუნწითურთ და შუაში ზედა ნაწილი მოტეხილი და დაკარგული აქვს.

ვადარჩენილი სიგრძე 150 მმ, უდიდესი სიგანე—26 მმ; უდიდესი სისქე—3 მმ; მამაკაცის ფიგურის სიგრძე—23 მმ.

¹²¹ Gisela Richter, A Handbook of Greek Art, London, 1959, p. 252, fig. 367.

¹²² В. Бардавелндзе, დასახ. ნაშრ., გვ. 62, ტაბ. III—IV.

ახალგორის განძში შედის ჩვენი ნამგალა მთვარისებურ-ფირფიტის ანალოგიური ნივთის ნატეხი, ასეთივე სამკუთხა ჭრილებითა და ორი ყუნწით, რომლებშიც აგრეთვე რკინის უნგი იყო¹²³. რაც შეეხება ნივთის დანიშნულებას, მისი ფორმა (ნამგალა მთვარისებური). ითიფალური, ქანდაკება და ზარაკები გვაფიქრებინებს, რომ იგი დაკავშირებული უნდა იყოს ზემოთ აღწერილ № 10 შტანდარტთან და მასასადაბე დროშასთან.


იმავე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ახალგორის განძის № 88 ფირფიტა.

12. ქანდაკება ცხერისა, ბრინჯაოსი (ტაბ. IV).

ქანდაკება ჩამოსხმულია, დაგრეხილი რქები აქვს და ზურგში კერტიკალური ნახვრეტი.

სიგრძე 23 მმ, სიმაღლე—19 მმ, სიგანე რქებში—14 მმ.

ამ ქანდაკებას ჰიროზობითად ვათავსებთ აქ, სარიტუალო ნივთებთან. სრულიადაც არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ იუარჩინისლეროიანი საკინძის თავი იყოს.



სურ. 2

¹²³ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 56—57, № 88.

აქ მოხაენებული ანალოგიები—ყაზბეგის განძის ეშვისებური ფირფიტები ძალიან დაშორებულია ჩვენი ნივთებისაგან.

ზემოთ აღწერილ ბრინჯაოს ჰვირულ შტანდარტთან და ნამგალა მთვარისებურ ფირფიტასთან, რომლებიც დროშის ნაწილებად მივიჩნით, დაკავშირებული ყოფილა ბრინჯაოს ზარაკები. ბრინჯაოს ზარაკი სულ 19 ცალია, ამათგან ერთი ჩვენ ვიპოვეთ სამარხის ორმოში. შტანდარტსა და მთვარისებურ ფირფიტასაც სულ 19 უნწი აქვს ზარაკებისათვის. მაშასადამე ზარაკებს სრულად მოუღწევია ჩვენამდე.

13. ზარაკი, ჰვირული, ბრინჯაოსი (ტაბ. VII და ნახ. 2), კონუსურია, შუაზე გასდევს რელიეფური სარტყელი, რომლის ზევით და ქვევით სამკუთხა სარკმლების ორი რიგია გამოქრლილი. ზარაკის წაკვეთილ წვერში, ყურის ქვეშ ნახვრეტია ენის ჩასაკიდებლად.

ქიმიურად გაწმენდამდე ამ ნახვრეტში და ყურზე რკინის ქანგი იდო. როგორც ჩანს ზარაკს რკინის ენა ჰქონია, რომელიც ყურზე დახვეულ რკინისავე მავთულზე იყო დაკიდული.

ზარაკს ქვედა ნაწილი აკლია.

სიგრძე—65 მმ, სიგანე—26 მმ.

საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მნტაქურ სამაროვნებზე აღმოჩენილ ბრინჯაოს უამრავ ჰვირულ ზარაკებში¹²⁴ ამ ზარაკს ერთადერთი პირდაპირი ანალოგია მოეძებნება: ესაა ასალგორის განძის № 89 ზარაკი ასეთივე რელიეფური სარტყლით და ორ რიგად განლაგებული სამკუთხა სარკმლებით¹²⁵.

ჩვენი ზარაკი ისეთივე ამოჭრილი სამკუთხედებითაა შემკული, როგორც № 11 მთვარისებური ფირფიტა და, საფიქრებელია, სწორედ ამ ფირფიტაზე ყოფილიყო დაკიდული, შუაში, იტიფალური კაცუნას ფეხებზე¹²⁶.

14. ზარაკი ბრინჯაოსი, ნახევაროვოიდური (ტაბ. VII, ნახ. 2). ყური მრგვალჭრილიანი აქვს, ენის ჩამოსაკიდებლად ორი ნახვრეტია კედლებში. ყურის ნაწილი წატეხილია. წატეხილია ნაწილობრივ ფუძესთანაც.

სიგრძე 28 მმ, ფუძის დიამეტრი—23 მმ

¹²⁴ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწილი მეორე, თბილისი, 1958 წ., გვ. 50, 64, 72, სურ. 15, ტაბ. XII.

¹²⁵ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

¹²⁶ ასევე ფიქრობს ი. სმირნოვიც ასალგორის განძის № 89 ზარაკზე, იხ. იქვე.

რამდენადაც ეს ზარაკი ერთადერთია, თავისი აგებულებით განსხვავებული ყანჩაეთის სამარხის ყველა სხვა ზარაკისაგან, უნდა ვიუიქროთ, რომ იგი ჩამოკიდებული იყო № 10 ბრინჯაოს შტანდარტის შუა ყუნწზე, მასრაზე. სხვაგან მისი ჩამოკიდება სიმეტრიას დაარღვევდა¹²⁷.

15—31. ზარაკები გვერდჩაპრილი, ბრინჯაოსი (ტაბ. VII, ხახ. 2).

ჩვიდმეტევე ზარაკი მეტ-ნაკლებად ცილინდრულია, ზევით ოდნავ შევიწროებული, ყური ცილინდრის გვერდების უშუალო გაგრძელებაა, მრგვალგანივკვეთიანია და სამკუთხა ტრილი აქვს. ყურის ქვეშ ზარაკებს ნახვრეტი აქვთ ენის ჩასაკიდებლად. გვერდი ცალ შხარეს ოთხკუთხად ამოჭრილია ფუძიდან შუამდე. ენა ზარაკებს რკინისა კქონდათ (ტაბ. VII, ა). დაკიდული იყო მავთულით, რომელიც ზარაკის ზედა ფუძეში მოთავსებულ ნახვრეტში გადიოდა და ყურის ერთ-ერთ ფესზე იყო შემოხვეული.

ყანჩაეთის სამარხის გვერდჩაპრილ ზარაკებში გამოირჩევა ორი ეგზემპლარი. ერთ-ერთს (№ 30) ზედა ფუძეში ნახვრეტი არა აქვს, ე. ი. უენო ყოფილა. მეორეს (№ 31) გვერდი ფუძემდე ჩაჭრილი კი არ არის, არამედ ოთხკუთხა სარკმელი აქვს (ნახ. 2). ორივე ეს შემთხვევა ჩამოსხმის დეფექტია.

ზარაკები ზომებით სავსებით ერთნაირი არ არის. კიდლევიტ ორი ცალის (უდიდესისა და უმცირესის) ზომებს.

უდიდესი (№ 15) ზარაკის სიგრძე 56 მმ; ფუძის დიამეტრი—14 მმ; უმცირესი (№ 28) ზარაკის სიგრძე 47 მმ, ფუძის დიამეტრი—12 მმ.

ბრინჯაოს გვერდჩაპრილი ცილინდრული ზარაკები ადრეანტიკური ხანის საქართველოსათვის სამარხეული ინვენტარის მეტად დამახასიათებელი ელემენტია. ძველი წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეების სამაროვნებში აღმოჩენილი ზარაკების უდიდეს უმრავლესობას სწორედ ამგვარი ზარაკები წარმოადგენს¹²⁸, მაგრამ მათი დი-

¹²⁷ ასევე სხვებისაგან განსხვავებული ზარაკი უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული ახალგორის განძის № 94 შტანდარტის მასრაზეც. კერძოდ № 90 კონუსური ზარაკი.

იხ. Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

¹²⁸ მაგ., ყაზბეგის განძი და სამაროვანი, ახალგორის განძი, დაბლაგომის კამარაბევის, ითხეისის სამაროვნები, ნასტაკისის სამარხი და სხვა (იხ. ი. გავლიძე, ადრეანტიკური ხანის სამარხი ქსნიდან). ძვ. წ. III საუკუნის შენდგე ამგვარი ზარაკი მხოლოდ გადმონაშთის სახითაა შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა სხვაგვარი ზარაკები საკმაო რაოდენობითაა. მაგალითად, ელინისტური ხანის სამთაეროს ქვეყრსამარხებში სულ სამი ცალი ამგვარი ზარაკი აღმოჩნდა (ვ. თ. ლ. ო. რ. დ. ა. ე. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 151.)

დი უმეტესობა ყანჩაურ ზარაკებზე ბევრად უფრო მცირე ზომისაა. როგორც ფორმით, აგრეთვე ზომით ზუსტად მათი მსგავსი გვერდ-ჩაქრილი ზარაკები ცნობილია მხოლოდ ახალგორიდან და ყაზბეგი-დან¹²⁹. საინტერესოა რომ ამგვარი ზარაკებია ჩამოკიდებული ყაზ-ბეგის განძის ზემოთ მოხსენებულ ბრინჯაოს ქანდაკებაზე, რომელიც სხვა მხრივაც უახლოვდება ყანჩაეთისა და ახალგორის შტანდარტებს¹³⁰.

IV. რკინის იარაღი და სხვა ნივთები

32. მახვილი ცალპირა, რკინისა (ტაბ. XII) ძლიერ დაჯანგულია და ფრაგმენტირებული. წარმოდგენილია 4 ნატეხად, რომლებიც ერთმანეთს არ უდგება, თუმცა სრულიად უეჭველია, რომ ერთი ნივთის ფრაგმენტებს წარმოადგენენ. რამდენადაც გარკვევა შეიძლება, მახვილი ოდნავ მოხრილი ყოფილა, ცალპირა, პირზე ორი პარალელური ღარი დაუყვება. ქარქაში და ტარი ხისა ჰქონია.

მახვილის სიგრძე 450 მმ-ზე მეტი ყოფილა. პირის უდიდესი სიგანეა 45 მმ.

აღმოჩენთა ცნობით მახვილი ჩონჩხის თავით დებულა. ასევე იდო მახვილი ითხვისის № 2 სამარხში. ყანჩაური მახვილი ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც აღმოჩნდა ითხვისში (ერთი)¹³¹ და შრომის უბანში (ორი) 1962 წელს¹³². გ. გობეჯიშვილი ამ მახვილებს თვლის ბერძნულ მახაირებად და საქართველოში იმპორტულ ნივთებად მიიჩნევს¹³³. მეორეს მხრივ საკმაოდ რეალური ჩანს მათი დაკავშირება ამიერკავკასიაში ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულ რკინის მოხრილ დანებთან, რომელთაგანაც

¹²⁹ Я. И Смирнов, დასახ. ნაშრ., № 92. ლენინგორიდანაა საქართველოს სახ. მუზეუმის № 41—13:21 ზარაკი. ყაზბეგის სამართვინიდან ამგვარი ზარაკები, იხ. Коллекции Кавк. Музея, V, № 196.

¹³⁰ იხ. აქვე, გვ. 46, სქოლიო 117.

¹³¹ რ. ა ბ რ ა ძ ი შ ვ ი ლ ი, ითხვისის არქ. ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, გვ. 7.

¹³² გ. გობეჯიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის . . . გვ. 29.

¹³³ იქვე.

ზოგი საკმაოდ დიდი ზომისაა¹³⁴. მაგრამ მსგავსება ბერძნულ მახა-ირასთან მართლაც იმდენად დიდია (ითხვისური და შრომისუბნის, მახვილთა ვადები, ორი ღარი ყანჩაური მახვილის პირზე), რომ ბერძნული გავლენის უარყოფა არ შეიძლება¹³⁵.

ჩეჩენო-ინგუშეთში, ლუგოვოეს ძვ. წ. VI—V ს. სამაროვანზე. № 56 სამარხში ანალოგიური მახვილი აღმოჩნდა¹³⁶.

მშ. ცული რკინისა (ტაბ. XI). ბრტყელი პირი სეგმენტისებური მოყვანილობისაა, სატარე ხერელი ოვალურია, ყუა—ოთხწახნაგა. სიგრძე 112 მმ; პირის სიგანე—101 მმ; სატარე ხერელის დიამეტრები—18 და 20 მმ.

ამგვარი ცულები ყანჩაეთში სამარხის აღმოჩენამდე მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ სუხუმის მთიდან იყო ცნობილი¹³⁷. ეს ცულები საბრძოლო ცულებად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც, როგორც სუხუმის მთაზე, ისე ყანჩაეთშიც ისინი მეომართა სამარხებში აღმოჩნდა სხვა საბრძოლო იარაღ-საჭურველთან ერთად. ამ სამარხებში სამეურნეო იარაღი არ აღმოჩენილა.

საბრძოლო ცულების ასეთი სიმკირე უნდა აიხსნას იმიტომ, რომ საქართველოში საერთოდ ძალიან ცოტაა აღმოჩენილი და გათხრილი ძვ. წ. V—IV საუკუნეების საბრძოლო იარაღ-საჭურველის შემცველი სამარხები.

მ4. შუბისპირი რკინისა (ტაბ. XI). ფართო და გრძელი, დაბალქედიანი საბრძოლო პირით. მასრა და წვერი მოტეხილია. შუბისპირი სამარხში ჩადების წინ საგანგებოდ მოუღუნავთ.

საერთო სიგრძე—285 მმ; პირის სიგრძე—200 მმ. უდიდესი სიგანე—50 მმ; მასრის სიგანე—22 მმ.

მ5. შუბისპირი, რკინისა (ტაბ. XI). საბრძოლო პირი ვიწრო და გრძელი აქვს. მოტეხილ მასრაში ხის ზროს ნაშთია შერჩენილი. შუბისპირი სამარხში ჩადების წინ საგანგებოდ მოუღუნავთ.

¹³⁴ რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ. სახ. მღვწეუმის მოამბე, ტ. XXI—B, 1957 წ., ტაბულა I, № 70, 72, გვ. 131.

¹³⁵ M. Ebert, *Reallexikon*, XI, Berlin, 1927—28, გვ. 438, ტაბ. 143 A.p.

¹³⁶ P. M. Мунчаев, *Луговой могильник, Древности Чечено-Ингушети*, Москва, 1963 г., рис. 23.

¹³⁷ ა. კალანდაძე, სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სუხუმი, 1954 წ., გვ. 28.

М. М. Трапш, *Некоторые итоги археологического исследования в Сухуми в 1951—1953 гг.*, СА XXIII, 1955, стр. 225.

საერთო სიგრძე—253 მმ, პირის სიგრძე—197 მმ, სიგანე—18 მმ, მასრის სიგანე—15 მმ.

36. შუბისპირი რკინისა (ტაბ. XI), გრძელი მასრითა და მოკლე, საკმაოდ მაღალქედლიანი პირით. წვერი საგანგებოდ მოლუნულია.

სიგრძე—210 მმ, პირის სიგრძე—90 მმ, სიგანე—27 მმ; მასრის სიგანე—18 მმ.

37. ხელშუბისპირი, რკინისა (ტაბ. XI). ფართო მასრა და ვიწრო, უქედო პირი აქვს. წვერი წატეხილია.

სიგრძე—85 მმ; პირის სიგრძე—30 მმ, სიგანე—17 მმ; მასრის სიგანე—19 მმ.

38. ხელშუბისა თუ ისრისპირი რკინისა (ტაბ. XI). საბრძოლო პირი ოთხფრთიანი, განივკვეთში ჰვარისებურია. ცალი ფრთა, წვერი და მასრა წატეხილია.

სიგრძე—69 მმ; პირის სიგანე მასრასთან—18 მმ; შერჩენილი ცალი ფრთის სიგანე გადანატეხთან—16 მმ; მასრის სიგანე—14 მმ.

ამ იარაღს ანალოგია ვერ მოუძებნეთ.

39. შუბისა თუ ხელშუბისპირის ნატეხი რკინისა (ტაბ. XI), მაღალი, მკვეთრად გამოყოფილი ქედით.

ზედაპირზე შეიმჩნევა რაღაც ქსოვილის კვალი. ქსოვა მარტოვია (ჰვარდინა), ძაფების სისქეა 0,5 მმ.

ნატეხის სიგრძე—54 მმ; უდიდესი სიგანე—28 მმ.

პარალელები ჩვენს შუბისა და ხელშუბისპირებს (გარდა ერთისა—№ 38) საკმაოდ რაოდენობით მოეძებნათ ძვ. წ. VII—V საუკუნეების მასალებში სამთავროდან, ბეშთაშენის ციხესთან მდებარე სამაროვნიდან, სოხუმის მთიდან და სხვა¹²⁸.

40. მოხრილი დანა. რკინისა (ტაბ. XII), ორადაა გატეხილი. სიგრძე 133 მმ, პირის სიგრძე—105 მმ; უდიდესი სიგანე—17 მმ.

41. დანა რკინისა (ტაბ. XII), ვიწრო ყუნწითა და სწორი პირით. წვერი წატეხილია.

სიგრძე—74 მმ; პირის სიგრძე—45 მმ; სიგანე—12 მმ.

¹²⁸ მაგალითისათვის დავასახელებთ ბეშთაშენის ციხესთან მდებარე სამაროვანზე აღმოჩენილ შუბისპირებს, რომლებიც ძვ. წ. VI—V სს. თარიღდება: ჩვენი № 34 შუბისპირის მსგავსია შუბისპირებზე საველე ნომერი № 503 (სამაროვნი 36), სავ. № № 575 (სამ. 49); ჩვენი № 35 შუბისპირის ანალოგიურია შუბისპირი სავ. № № 456 (სამაროვნი 55); ჩვენი № 39 შუბისპირის ანალოგიურია სავ. № № 531 (სამაროვნი 4.) შუბისპირი. გრძელმასრისანი (როგორც ჩვენი № 36) შუბისპირები. იხ. ა. კალანდანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34, ნახ. 12.

მცირე ზომის ცალპირა დანა, მოხრილი ან სწორპირიანი, თითქმის აუცილებელი ელემენტია ადრეანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარისა საქართველოში, განურჩევლად იმისა, ქალისა იქნება სამარხი, თუ მამაკაცისა.

42. ჩაქუჩი (?) რკინისა (ტაბ. XI). ამ იარაღს ოთხწახნაგა სამუშაო თავი აქვს, ცალმხარეს უფრო მოკლე და ოთხკუთხა-განიკვეთიანი, მეორე მხარეს კი უფრო გრძელი და ბოლოსაკენ შევიწროებული. რკინისავე ტარი. რომელიც ადრე შესაძლებელია სეში იჯდა, თუმცა ხის კვალი ვერ შევნიშნეთ, ორადაა გატეხილი.

სიგრძე 160 მმ, სამუშაო თავის სიგრძე—72 მმ, უდიდესი სივანე—17 მმ. უმცირესი—7 მმ. ტარის განიკვეთი—10×5 მმ.

ვერავითარი ანალოგია არა თუ ადრეანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიაში, არამედ საერთოდ არქეოლოგიურ ნივთებს შორის ამ ნივთს ვერ მოვუძებნეთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი მართლაც სამგზავრო ჩაქუჩი იყო, რომელიც მუდამ თან დაჰქონდათ, რათა ველზედვე გამოეპირათ იარაღი. იარაღი კი ალბათ საკმაოდ ხშირად უნდა გაღუნულიყო, რამდენადაც ყანჩაეთის სამარხში აღმოჩენილი იარაღი საკმაოდ რბილი ფოლადისაგან დამზადებული ჩანს (გავიხსენოთ გაღუნული შუბისპირები № 34, 35 და 36), მაგრამ შესაძლებელია ეს ჩაქუჩისებური ნივთი იარაღი კი არა, არამედ სეციალური დანიშნულების კვერთხისებური ნივთი. ინსიგნია იყო, როგორც მაგალითად ითხვისში 1962 წელს გათხრილ № 2 სამარხში აღმოჩენილი ორი მასრიანი რკინის ნივთი, რომელთაგან ერთს პარალელუპიპედის ფორმის თავი, ხოლო მეორეს ბრტყელი. მაგრამ არა მჭრელი პირი ჰქონდა. რაიმე პრაქტიკული მიზნებისათვის მათი გამოყენება ძნელი წარმოსადგენია, ისე კი ძალიან სპატიო ადგილას—ჩონჩხის თავით, მახვილთან იდო.

43. ლურსმანი რკინისა (ტაბ. XI). ოთხწახნაგა ღეროთი და პრტყელი, მრგვალი თავით.

სიგრძე—27 მმ; ღეროს სიგანე — 2,5 მმ; თავის დიამეტრი 13 მმ.

44. ღერო რკინისა, ბოლოებდაბრტყელებული (ტაბ. XI). სიგრძე—66 მმ; განიკვეთი 6 მმ.

V. ცხენის აკაზმულობის ნაწილები

ყანჩაეთში აღმოჩენილი სამარხის ინვენტარში ბრინჯაოს სამი ლაგამი და ცხენის ავშარის შესამკობი ვერცხლის ფირფიტების სამი

სრული კომპლექტი შედის. გარდა ამისა, არის ნივთების ერთი რიგი. რომლებიც აგრეთვე ცხენის აკაზმულობის ნაწილებად უხდა იქნას შინნეული. ამითაც ახლო დგას ყანჩაეთის სამარხი ახალგორის განძთან, რომელიც 5 ლაგამს შეიცავს, და ალგეთის სამარხთან, რომელშიც სამი ლაგამი იყო.

სამივე ყანჩაური ლაგამი ერთი ტიპისაა. საკუთრივ ლაგამი შესდგება სამი ნაწილისაგან, რომელთაგანაც თვითოეული წარმოადგენს მოკლე ღეროთი შეერთებულ ორ რგოლს. ამ ღეროებზე ცხელი ქედვით ჩამოცმულია ბრინჯაოსავე სადა ან დაკბილული დისკოები. ლაგამის ნაწილები ცალ-ცალკეა დამზადებული და შემდეგაა ასშული ერთად, რისთვისაც ორი ნაპირა ელემენტის რგოლები გახსნილია. განაპირა რგოლებით ლაგამები დაკავშირებულია საყბეურებთან. ამავე რგოლებზე წამოცმულია რგოლები აღვირისათვის. საყბეურები წარმოადგენს ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიან ღეროს, ცალ მხარეზე სამი ყუნწით. შუა, უფრო დიდი ყუნწით საყბეური ლაგამს უკავშირდება, ნაპირა მომცრო ყუნწებით კი—აეშარას. ამ ყუნწებიდან წამოსული ორი თასმა ცხენის ყბაზე ერთდებოდა (ნახ. 3).

45. ლაგამი ბრინჯაოსი (ტაბ. XIII), სამი ო-სებური ელემენტისაგან შედგება. თვითოეულ ელემენტზე თითო სადა დისკოა წამოცმული. შუა დისკო უფრო დიდია. ლაგამის რგოლები ხმარებისაგან დაცვეთილია გადაბმის ადგილებზე.

ლაგამის სიგრძე—170 მმ, შუა დისკოს დიამეტრი—33 მმ, საყბეურის სიგრძე—200 მმ.


46. ლაგამი ბრინჯაოსი (ტაბ. VIII), სამნაწილიანია. შუა ელემენტზე პატარა კბილებიანი რგოლია წამოცმული, ორ დანარჩენზე უფრო მოზრდილი. ოთხმანაანი თვალისებური. ცალი საყბეურის განაპირა ყუნწებში შერჩენილია ბრინჯაოს მართკუთხა ფორფიტა, ორივე ბოლოზე რგოლით. ფორფიტა ერთი რგოლით საყბეურის ყუნწზეა ჩამოკიდებული, მეორე რგოლი კი აეშარის თასმის გასაყრელია. ლაგამის რგოლები გადაბმის ადგილებში თითქმის სულ გალეულია ხმარებისაგან. ცალი საყბეურის ბოლო წატეხილია.

ლაგამის სიგრძე—180 მმ, საყბეურის სიგრძე—230 მმ.

47. ლაგამი ბრინჯაოსი (ტაბ. IX)¹³⁹, ყანჩაურ ლაგამებში ყველაზე „მკაცრია“. განაპირა ელემენტებზე წამოცმულია ორ-ორი დისკო, თვითოეული ორ რიგად განლაგებული გრძელი კბილებით.

¹³⁹ ლაგამზე ჩამოცმულია ბრინჯაოს რგოლი № 68.

შუა ელემენტზე წამოცმულია დაკბილულნაპირიანი ბორბალი. ცალ-
 ლი საყბურის ბოლო წატეხილია. ლაგმის სიგრძე—180 მმ. შუა
 დისკოს დიამეტრი—42 მმ, საყბურის სიგრძე—200 მმ.



სურ. 3

ამ ტიპის შედგენილი ლაგმები ღვემდევ სულ 16 ცალია აღმო-
 ჩენილი, აქედან 15 ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე და მხო-
 ლოდ ერთი მის ფარგლებს გარეთ: რკინის შედგენილი სამნაწილიანი
 ლაგამი აღმოჩნდა სომხეთში, არინბერდის გორაზე, ძვ. წ. V საუკუ-
 ნის პირველი ნახევრის მილეტური მონეტებით დათარიღებულ ფე-
 ნაში¹⁴⁰.

¹⁴⁰ К. Л. Оганесян, Архитектура Эребуни, Ереван, 1961г., стр. 9.

А. О. Мнацаканян, Г. А. Тирацян, დასახ. ნაშრომი, გვ. 81. ლა-
 გამი გამოფენილია პეშინის სახელობის სასაბურთაო ხელუწებია მუზეუმში, ძოს-
 კოვში. საპუუაროდ ლაგამს აყბურება არ შეჩვენია და ამიტომ სათუთა მისი
 მიკუთვნება ახალგორულს ტიპის დმი.

ყველა დანარჩენი ლაგამი აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე: 5 ცალი ახალგორის განძთან ერთად საძვეურში (ქსენის ხობა)¹⁴¹, 3 ცალი ალგეთის წინწყაროს აქემენიდური ხანის სამარხში (თრიალეთი)¹⁴², თითო ცალი სურამში (საქ. სახ. მუზეუმის № 14—31 : 1)¹⁴³, საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში¹⁴⁴, სოფ. არდისუბანში (თეთრიწყაროს რაიონი)¹⁴⁵ და ითხვისში 1962 წელს № 2 სამარხში. ორი უკანასკნელი ლაგამი რკინისაა. ყველა დანარჩენი ბრინჯაოსი, გარდა ერთი ცალისა ახალგორის განძიდან, რომელიც რკინისა ყოფილა: გადარჩენილია მხოლოდ მისი ბრინჯაოს საყბურები და ზედ რკინის ყანგი¹⁴⁶.

ყველა ეს ლაგამი შედგენილია, მაგრამ ზოგი სამი, ზოგი კი ორი ნაწილისაგან, ასევე საყბურებიც ყველა სამყუნწიანია, მაგრამ ზოგი საყბურის მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგანაა დამზადებული, ზოგი კი ბრტყელია¹⁴⁷. თუ მხედველობაში მივიღებთ საკუთრივ ლაგამების ნაწილების რიცხვს და საყბურების ფორმას, შეიძლება ლაგამების შემდეგი ოთხი ჯგუფი გამოიყოს:

I. სამნაწილელი ლაგამები მრგვალგანივკვეთიანი საყბურებით.

II. სამნაწილელი ლაგამები ბრტყელი საყბურებით.

III. ორნაწილელი ლაგამები მრგვალგანივკვეთიანი საყბურებით.

IV. ორნაწილელი ლაგამები ბრტყელი საყბურებით.

I ტიპისაა სულ ცხრა ლაგამი: სამივე ყანაური ლაგამი, ორი ახალგორის განძიდან¹⁴⁸, ორი ალგეთიდან¹⁴⁹, სურამისა და საირხის ლაგამები. II ტიპისაა მხოლოდ ერთი რკინის ლაგამი ითხვისის № 2 სამარხიდან. III ტიპს განეკუთვნება ალგეთისა (ერთი ცალი)¹⁵⁰ და

¹⁴¹ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—56, № 86.

¹⁴² Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XII და XII bis.

ალგეთის სამარხში აღმოჩენილი შენამე ლაგამი [საველე № T' 29] გამოუქვეყნებელია.

¹⁴³ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, სურათი გვ. 64.

¹⁴⁴ დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბილისი. 1961 წ., გვ. 126—128. ნახ. 37.

¹⁴⁵ ნ. თუშიშვილის ცნობა.

¹⁴⁶ Я. И. Смирнов, იქვე.

¹⁴⁷ ასეთი ბრტყელი საყბურებია გაოსანბული ახალგორის განძის № 26 სასაფეთქლე საკიდების ცხენებზე [Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 27; ტაბ. III]. ნახ. 3-ზე ნახევრები ცხენის ავშარა ჩვენ სწორედ ახალგორის განძის ოქროს ცხენების მიხედვით აღვადგინეთ.

¹⁴⁸ Я. И. Смирнов, ნახ. გვ. 54—55.

¹⁴⁹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XII bis და გამოუქვეყნებელი ცალი.

¹⁵⁰ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ.

არდისუბნის ლაგმები. IV ტიპისაა ახალგორის განძის ორი ლაგამი¹⁵¹.

I ან II ტიპს მიეკუთვნება არინბერდის სამნაწილელი ლაგამი, რომლის საყბეურების ფორმა ჩვენთვის უცნობია და I ან III ტიპს—ახალგორის განძის ერთ-ერთი ლაგამი, რომლის მხოლოდ მრგვალგანივკვეთიანი საყბეურები გადარჩა.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ ხანაში სხვა სახის ლაგმებს ვხედავთ. პერსეპოლისის აპადანას რელიეფების მიხედვით თუ ვიშაჯღლებთ, ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნის ირანში გავრცელებული ყოფილა ლაგმები. მთლიანადსმული საყბეურებთან. საყბეურის ორ ყუნწში ეყრებოდა ავშარის თასმები, აღვარი კი გამოდებული იყო საყბეურის მესამე ოთხკუთხა ყუნწზე¹⁵² (როგორც დავინახეთ, ჩვენთან აღვირა უშუალოდ ლაგამზე ებმებოდა, იხ. ნახ. 3). ამგვარივე ლაგამია გამოსახული აქემენიდური ხანის ელექტრუმის რიტონზე, რომელიც აკაზმული ცხენის თავს წარმოადგენს¹⁵³. ამგვარივე ბრინჯაოს ლაგამი აღმოჩნდა პერსეპოლისის ვათხრების დროს საგანძურის დაბაზში (Treasury Hall)¹⁵⁴. იქვე აღმოჩნდა ამავე ტიპის სხვა ლაგამებიც ოდნავ ვანსხეავებული საყბეურებით (აღვირის გამოსაღები მრგვალი ყუნწით)¹⁵⁵. სხვა სახის ლაგმები იყო გავრცელებული სკვითებსა და სავრომატებში, სადაც ძვ. წ. VI—V საუკუნეთა მიჯნიდან ვრცელდება ლაგმები ორხერელიანი საყბეურებით¹⁵⁶.

არსებობს ყველა საბუთი იმისა, რომ ზემოთ განხილული ლაგმები ლაგმების ადგილობრივ, ქართულ ვარიანტად მივიჩნიოთ, თუმ-

¹⁵¹ Я. И. Смирнов, *დასახ. ნაშრ.*, ნახ. გვ. 53.

¹⁵² Artur Upham Pope, *A Survey of Persian Art*, London-New York, 1938, v. IV, Tab. 94 A; 94 B; 99 B.

¹⁵³ იქვე, ტაბ. 110.

¹⁵⁴ Erich Schmidt, *Persepolis*, v. II, Contents of the Treasury and other discoveries. Oriental Institute Publications LXIX, Chicago, 1957, Tab. 75,3; fig. 79,8; № PT 5—8,9.

¹⁵⁵ იქვე, ტაბ. 78:2, 4, 79:9 ნახ. 79:7,9, № PT 3—174, PT 5—45, PT 3—72. იხ. აგრეთვე, R. Ghirshman, *Iran from the earliest time to the Islamic conquest*, Fig. 71.

¹⁵⁶ А. А. Иессен. К вопросу о памятниках VIII—VII в.в. до н.э. на Юге Европ. части СССР. СА XVIII, Москва, 1953, стр. 102.

К. Ф. Смирнов, *Вооружение Савроматов*, МИА 101, Москва, 1961, стр. 82 и дальше, табл. 146—150.

ცადა. საბოლოოდ და კატეგორიულად ამის გადაწყვეტა როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ა. ა. იესენი, შესაძლებელი იქნება მხოლოდ აქემენიანთა სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის არქეოლოგიურად უკეთ შესწავლის შემდეგ (მაგალითად, ჩვენთვის ამ მხრივ სრულიად უცნობი რჩება, სხვას რომ თავი დაეხანებოთ. მცირე აზია)¹⁵⁷. ლაგმების ეს ტიპი უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში და, როგორც ჩანს, განაგრძობს არსებობას IV საუკუნეშიც.

¹⁵⁷ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია განსაკუთრებული მადლობით მოიხსენიო აქ ა. იესენი, რომელმაც შრავალი ცნობა მომწოდო ლაგმების შესახებ როგორც პირად საუბარში 1961 წლის სექტემბერში, ისე წერილობითაც. მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოვიუწიო ამონაწერი ა. ა. იესენის 1962 წლის 12/1 ჩემთან მოწერილი წერილიდან.

«... Посылаю Вам сведения о бронзовых удилах из Кармир-блур и из Персеполя, уже давно приготовленные. Задержал я их потому, что не мог разыскать аналогии к Вашим удилам Ахалгорийского типа, только сейчас по окончании года, нашел время для этого. Дело в том, что я смутно помнил о подобных удилах из Греции, что вероятно следует иметь в виду при решении вопроса о том, являются ли ахалгорийские удила узко-локальной формой, как мы с Вами говорили в сентябре, или же имели более широкое распространение.

Удила опубликованы в работе Е. Pernice, Griechisches Pferdegeschicks, Berlin. 1896 (56, Winkelmannverlag). Всего этих удил 3 пары, все они однотипны. Двое удил вместе с бронзовым намордником хранятся в Берлине в музее Antiquarium, а происходят из Беотии и найдены будто бы в одной могиле; относятся они автором к IV в. до н. э. (табл. II и III указанной работы). Третьи удила (изображены на стр. 21, рисунок без номера) имелись в частной коллекции Карапаноса из случайной покупки.

Все эти удила наборные и очень строгие. Внутренние кольца удил по-видимому скованы (в одном случае это на фотографии видно). Наружный конец «шапочкой», по-видимому, литой. На каждое звено удил с внутренне-го конца, до соединения двух половин, свободно насажены: 1) Крючок для повода; 2) псалий с двумя петельками для крепления к оголовью; 3) цилиндр с шипами — по 4 в ряд, а рядов видимо 8 (или 6?); 4) диск. После этого внутренние концы удил соединялись, а к скованным кольцам ещё присоединялись цепочки из тонких колечек (3 и 4 колечка). Псалии первой пары удил (табл. II) изогнуты. В другом случае (табл. III) псалий как будто уплощены и колечки поставлены в плоскости среднего отверстия, но по фотографии это видно недостаточно ясно. Удила Карапаноса (впервые изданы Lechat в 1890 г. в Bulletin de correspondance hellenique, стр. 385, рис. 1) кажется совпадают с удилами таблицы II.

48—55. ლამბაქისებური ფირფიტები, ვერცხლისა, ზევით აკე-
კილი ნაპირით. შუაში ამობურცული წრით, რომლის ცენტრი ჩაზ-
ნეკილია (ტაბ. X); ფირფიტების დიამეტრია 62—64 მმ.

ფირფიტებს ქვედაპირზე, შუაში ორ-ორი ყუნწი უნდა ჰქონო-
და მირჩილული კალით¹⁵⁸. ყუნწი არცერთ ფირფიტას არ შერჩენია.
რვა ფირფიტიდან მთელია მხოლოდ ერთი. სხვები მეტ-ნაკლებად
დაზიანებულია, ხოლო № 55-ის მხოლოდ ნატეხია გადარჩენილი.
ეს ფირფიტები ცხენის ავშარაზე მაგრდებოდა ავშარის თასმების
გადაჭარდინების ადგილებზე (იხ. ნახ. 3). თვითოეულ ავშარას
ოთხი ამგვარი ფირფიტა სჭირდებოდა, მანასადამე აქ გვაქვს ორა
სრული კომპლექტი. ამგვარი ფირფიტები შედის ახალგორის განძში
(4 ცალი)¹⁵⁹ და ალგეისის სამარხეულ კომპლექსში (8 ცალი)¹⁶⁰.
ზუსტად ასეთი ფირფიტები აქვს ავშარაზე ცხენის კოლოსალურ
ქანდაკებას ჰალიკარნასის მავზოლეუმიდან (ძვ. წ. 350 წ.)¹⁶¹.

56—58. ფირფიტები ვერცხლისა, მრგვალი, ოდნავ ამობურცუ-
ლი (ტაბ. IX).

Возможно, что есть и более новые находки подобных удила; пока я
других все же не знаю. Встает конечно вопрос, что это за форма — гре-
ческая, грузинская или, так сказать, «международная» для ахеменидского
времени. Думаю, что греческое происхождение типа отпадает, но оконча-
тельный ответ на вопрос вероятно можно будет дать только со временем,
когда мы лучше будем знать археологию всей территории ахеменидского
государства.

Так как описываемые удила явно позже Алгетских, Ахалгорийских и
Кянчаецких, то может быть они (а не известные удила более раннего ти-
па с акрополя в Афинах) связаны с нашествием Ксеркса? (იხ. Б. А. К у ф -
т и ц, Триалети, стр. 67—61, ი. გ.) но возможно, что Pernice в своей да-
тировке (IV в.) прав. За такую позднюю дату говорит и тип намордника,
будто бы найденного вместе с удилами..»

А. Исеев

Ленинград, 12. 1. 1962 г.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, საბერძნეთში აღმოჩენილი ლაგნები ჩვენი
ლაგნებისაგან განსხვავდება საყბურების ფორმით, მათი ლაგნებთან დაკავში-
რების ბერძნითა და ალვირის ამოღების წესით, თუმცა კი ლაგნების ტიპი (შედ-
გენილი) ისეთივეა.

¹⁵⁸ იხ. აქოლი 26.

¹⁵⁹ Я. И. Смирнов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 50, ტაბ. XII, № 75. ყუნწები არც
აქაა შერჩენილი

¹⁶⁰ Б. А. К у ф т и ц, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XII, გამოქვეყნებულია მხოლოდ
ორი.

¹⁶¹ H. B. Walters, *Marbles and Bronzes in the British Museum*,
London, 1928, t. 11.

ლიამეტრი—33—34 მმ, სისქე—1 მმ.

ორი მთელი და მესამე ფირფიტის ნატეხი გვაქვს, სულ კი ოთხი უნდა ყოფილიყო. ქვედა პირზე კალით მირჩილული უნდა ჰქონოდათ ორ-ორი ყუნწი. ყუნწები მომძვრალა. ეს ფირფიტებიც იმავე დანიშნულებისაა, რაც № 48—55. ასეთი ფირფიტები არის ახალგორის განძში¹⁶² და ალგეთის სამარხშიც¹⁶³. ასეთივე ფირფიტებით ჰქონდა შემკული ავშარა ცხენს ითხვისის № 2 სამარხიდან.

50. ყუნწი ვერცხლისა, ოვალური (ტაბ. IX), დამზადებულია ოთხწახნაგაგანივეთიანი მავთულისაგან. ღიამეტრები—13 და 10 მმ. მირჩილული უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ ზემოთ აღწერილ № 56—58 ფირფიტაზე. ყველა სხვა დანარჩენი ყუნწი დაკარგულია.

60—62. ღილაკები ვერცხლისა, ორკუთხა (ტაბ. IX). ღილაკები მასიურია, ვერცხლით მირჩილული სქელი, მრგვალგანივეთიანი მავთულის ყუნწებით, რომლებიც დიდი ძალის მიყენებაზეა გათვალისწინებული. ოდნავ ამობურცული გარეპირი გაპრიალებულია, შიდაპირი კი არაა. შესაძლებელია ცხენის აკაზმულობის ნაწილები იყოს. სამივე ღილაკი ტოლია.

ღიამეტრი—25 მმ; სიმაღლე 14 მმ; სისქე—2 მმ, ყუნწის შიდა ღიამეტრი—7 მმ; ყუნწის განივეთი—4 მმ.

63. ფირფიტა ვერცხლისა (ტაბ. X), წარმოადგენს წესიერ ამობურცულ წრეს, ნაპირებთან ოთხი ოთხკუთხა ნახვრეტით. ფირფიტა ნაკლულია და სამადაა გატეხილი. გაწმენდამდე ამობურცული ზედაპირი სპილენძის ქანგით იყო დაფარული. ასეთივე ქანგი ედო შიდაპირზეც რგოლისებურად ნაპირის გასწვრივ.

ღიამეტრი—79 მმ, სისქე—0,6 მმ; ნახვრეტის სიგანე—2,6 მმ.

64—67. ფირფიტები ვერცხლისა, მრგვალი, ამობურცული, ორ-ორი ოთხკუთხა ნახვრეტით ნაპირებთან ერთ-ერთი ღიამეტრის ბოლოებზე (ტაბ. X). № 64 ნაპირი ჩამოტეხილი აქვს ერთ ადგილას, დანარჩენი სამი უფრო ნაკლულია.

ღიამეტრი—60 მმ; სისქე—0,6 მმ; ნახვრეტის სიგანე—3,2 მმ.

ზემოთ აღწერილი ვერცხლის ფირფიტები (დიდი № 63 და უფრო მცირე ზომის № 64—67), ოთხკუთხა ნახვრეტებით ნაპირებთან, რაღაც ერთ ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს ისინი დაკერებული ან მცირე ზომის მანქვლებით დაქედილი იყო რაღაც საფუძველზე, ალბათ ტყავზე. ნახვრეტები დაუდევრადაა გაკეთებული; ქვედაპირზე ნაწიბურები შესწორებულიც კი არ არის, დიდ

¹⁶² Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., № 77.

¹⁶³ ინახება საქ. სახ. მუზეუმის თრიალეთის ფონდში სავ № T¹

ფიზიკაზე ოთხი ნახვრეტი არასიმეტრიულადაა განლაგებული. განსაკუთრებული გულმოდგინება საჭიროა ალბათ არც იყო, რამდენადაც ცხენის რახტის სამკაულთან უნდა გვექონდეს საქმე.

ალგეთის წინწყაროს სამარხის რამდენიმე ლანბაქისებურ ფირფიტას ნაპირებთან ასეთივე ოთხკუთხა ნახვრეტები აქვს, ზოგიერთში მანჭვლებიცაა შერჩენილი.

68. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. IX)¹⁶⁴. ოვალურგანივკვეთიანა. მასიური. დიამეტრი—55 მმ.

ითხვისში № 2 სამარხში, ცხენის თავთან ამავე ზომის რკინის რგოლი აღმოჩნდა. აღვირთან უნდა იყოს დაკავშირებული.

69. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. IX). რგოლის დაახლოებით 2/3 წესიერი რკალია, დანარჩენი 1/3 კი ნაკლები სიმრუდისაა, ალბათ ბრტყელი თასმის გამოსადებად. დიამეტრი—38 მმ.

70—72. რგოლები ვერცხლისა (ტაბ. X), მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, რომლის ბოლოები ერთმანეთზეა გადაჭედილი. სამივე რგოლი ტოლია. დიამეტრი—19 მმ, განივკვეთი—3 მმ.

73. საკიდი ვერცხლისა (ტაბ. X). საკიდს სრული, ერთ ადგილას გასსნილი წრის ფორმა აქვს, რომელსაც შუაზე ყუნწად მიჩილული აქვს ვერცხლის ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული მოკლე მილაკი. საკიდი ყუნწთახ მსხვილია, ბოლოებისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ბოლოები ალბათ სპირალურად ქმონდა ჩახვეული, როგორც ახალგორის განძის № 72 ანალოგიურ საკიდს. საკიდი განივკვეთში ნახევარწრიულია. ორადაა გატეხილი, ბოლოები წატეხილი და დაკარგული აქვს.

ი. სმირნოვი ახალგორის განძის ანალოგიურ № 72, 73 და 74 საკიდებს ცხენის სამკერდე სამკაულებად თვლის¹⁶⁵.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყანჩაეთის საკიდიც ასეთივე დანიშნულებისა იყო, თუმცა ამ ფორმის საკიდები ადამიანის სამკაულადაც იხმარებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ახალგორის განძისავე № 11 ოქროს საკიდი¹⁶⁶, ან ოქროს ასეთივე საკიდი დაბლაგომის № 27 სამარხიდან¹⁶⁷.

VI. ლითონის ქურჭელი

74. თასი ვერცხლისა (ტაბ. XII — XIII).

¹⁶⁴ წამოცემულია № 47 ლაგამზე აღმოჩენების მიერ. გამოვადკრეთ სამწუხაროდ მაშინ, როცა ფოტო გადაღებული იყო.

¹⁶⁵ Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 14, ტაბ. II.

¹⁶⁷ Б. А. Куфтин, Колхида, т. II стр. 47 табл. 96 и 15.

ღრმა, მაღალყელიანი, პირგადაშლილი ვერცხლის თასი მხრებზე თექვსმეტი წვეტიან-ოვალური (ნუშისგულისებრი) ბურცობითაა შექმული. ყანჩაეთის თასი საქართველოში აღმოჩენილ ადრეანტიკური ხანის თასებს შორის ყველაზე ღრმაა. თასის სხეული გამოსახავს ლოტოსის გაშლილ ყვავილს, რომლის თექვსმეტი ფურცლის წვეტებს შორის ჩასმულია ნუშისგულის ფორმის ბურცობები, რაც ლოტოსისავე ნაყოფს უნდა გამოსახავდეს¹⁶⁸. ყვავილის ფურცლები დაბალი რელიეფითაა გამოყვანილი, ხოლო თვითოეული მათგანის ძირში დაკდეული ორ-ორი ნახევარკალი, რომლებიც წრედ იკვრება თასის ძირის გარშემო, საბოლოოდ ამოვრებს მათ თავის პროტოტიპს (ლოტოსის ყვავილის გამოსახულებას) და უბრალო დეკორატიულ მოტივად, კანელურებად აქცევს მათ. ნახევარკალების რიცხვია 32. გარედან თასის ძირზე, იქ სადაც ჩვეულებრივ ომფალოსი აქვთ ხოლმე აქემენიდური ხანის ფიალებს, ოცდათერთმეტ-ფურცლიანი ვარდულია დაკდეული. ვარდულს ცენტრში აქვს წერტილი, რაც ჩარხზე დამაგრების კვალი უნდა იყოს. ვარდულსა და ზემოხსენებულ ნახევარკალების წრეს შორის ჩასმულია ორი კონცენტრული, ოდნავ ამობურცული წრეხაზი. თასი გარედან მთლიანად გაპრიალებულია, შიგნიდან კი მხოლოდ ყელი აქვს გაპრიალებული. ზედაპირზე ბინოკულარულ მიკროსკოპში პარალელური ხაზები შეიმჩნევა, რაც ჩარხზე ბრუნვით გაპრიალების კვალი უნდა იყოს.

თასი დაზიანებულია და რამდენიმე ნატეხი. მათ შორის ერთი ბურცობიც აკლია.

სიმაღლე—82 მმ, პირის დიამეტრი—134—136 მმ; დიამეტრი მხრებში—130 მმ, პირის სისქე—1,6 მმ; ძირის სისქე—0,8 მმ.

ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს (იხევე როგორც თიხისა და მინის) ამ ფორმის სასმისები ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ანტიკურ სამყაროში—ინდოეთიდან იტალიამდე და ეგვიპტიდან ურალამდე¹⁶⁹. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ლითონის ფიალების აღმოჩენათა რიცხვით საქართველოს, სომხეთისა და მცირე აზიის მომიჯნავე რაიონებთან ერთად, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში და ზოგიერთი მკვლევარის აზრით ფიალების წარმოების ერთ-ერთი კერას არსებობაც კი შეიძლება ვივარაუდოთ აქ¹⁷⁰. ადრეანტიკური ხანის ფიალებში რა-

¹⁶⁸ A Survey of Persian Art, v. 1, pp. 375 and. fol.

¹⁶⁹ H. Lushey, Die Phiale, Bleicherode am Harz, 1939.

¹⁷⁰ H. Lushey, დას. ნაშრ., გვ. 51, 56.

P. A m a n d r y, დასახ. ნაშრ., გვ. 272., Б. А. К у ф т и н, Триалети, стр., 41.

მოდენივე ვარიანტი გამოირჩევა¹⁷¹. ჩვენი თასი ყველაზე მეტად უახლოვდება ფიალების იმ ტიპს, რომელსაც ლუშეი ურთიერთმოპირისპირე ბურცობებიან ფიალებს უწოდებს. ისევე როგორც ამ ტიპში გავრთიანებულ ფიალებზე, აქაც ნუშისგულისებრი ბურცობების რივი თასის ცენტრთან დაკავშირებულია მოპირისპირე ბურცობების ვარსკვლავის საშუალებით¹⁷². მაგრამ ყანჩაური თასი ამ ტიპში გავრთიანებული ყველა სხვა ფიალისაგან განსხვავდება მოპირისპირე ბურცობების ბევრად უფრო დაბალი რელიეფით: აქ ფაქტიურად ბურცობები კი არა გვაქვს, არამედ კანელურები. ყველაზე ახლოს ყანჩაურ თასთან დგას ალგეთის სამარხის მინის ფიალა, რომელსაც 14 ნუშისგულისებრი ბურცობი აქვს და, ისევე როგორც ჩვენი თასი, მოკლებულია ძირზე ომფალოსს¹⁷³. ასეთივე მინის ფიალა, ვარდულით ძირზე, აღმოჩნდა პერსეპოლისის გათხრების დროს¹⁷⁴.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყანჩაური თასი ძალიან ღრმად (შეფარდება სიღრმესა და პირის დიამეტრს შორის 1:1,6). ამ მხრივ და საერთოდ ფორმითაც (მაგრამ არა ორნამენტაციით) ჩვენ თასთან ახლოა პერსეპოლისის აბადანას რელიეფებზე (ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევარი) გამოსახული ერთ-ერთი თასი¹⁷⁵.

75. ნატეხები ვერცხლის ბრტყელი ფირფიტებისა (ტაბ. XIV). ზოგიერთ ნატეხზე ჩარიგებულია ოთხკუთხა ნახვრეტები მანკვლეპისათვის¹⁷⁶. სულ თერთმეტი ნატეხია.

უღრესი ნატეხის სიგრძე—72 მმ, სიგანე—61 მმ, სისქე—0,5 მმ.

ამ ნატეხებს სრულიად პირობითად ვათავსებთ ჭურჭელთან. სინამდვილეში ისინი რაღაც ხის ნივთის (კოლოფის ან, შეიძლება, კაპარკის) მოჭედილობა უნდა იყოს: ქიმიურად გაწმენდამდე ზოგიერთ ნატეხზე გარკვევით ჩანდა ხის ნაშთი.

¹⁷¹ A Survey of... v. 1, p. 370; H. Lushey, დასახ. ნაშრ.

¹⁷² Phialen mit gegenständigen Buckeln (GB).

H. Lushey, დასახ. ნაშრ., გვ. 44 და შემდეგ. ამ ტიპისაა ახალგორის განძის № 63 ფიალა და ალგეთის მინის ფიალა.

¹⁷³ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრ., გვ. 37, ტაბ. VIII.

¹⁷⁴ E. Schmidt, დასახ. ნაშრ., გვ. 91—93. ტაბ. 67.

¹⁷⁵ E. Herzfeld, დას. ნაშრ., ტაბ. LXXXIV.

¹⁷⁶ ვ. ხოტუაშვილის ცნობით, ერთ-ერთ ნახვრეტში ვერცხლის პატარა ხომის მანკვლიც იყო შერჩენილი. ლენინგორის რაიმილიციაში იგი დაიკარგა.

76. სურა ბრინჯაოსი (ტაბ. XIV და სურ. 4)¹⁷⁷. შედგებილია 5 ნაწილისაგან, რომლებიც ცალ-ცალკეა დამზადებული და შემდეგ მიმოქლონებული და მირჩილული ყოფილა ერთმანეთთან. ამჟამად სურა დაშლილია. მუცლის ქვედა ნაწილი ერთი ფურცლისაგანაა გაწნეული. იგი ოთხი მოქლონით დაკავშირებული იყო მთლიანსავე მუცლის ზედა ნაწილთან. მოქლონები მკაცრად ერთმანეთის პირდაპირაა განლაგებული ოთხ მხარეს. მიმაგრების ადგილას ქვედა ნაწილზე საფეხურია შეწეული და მასზეა ჩამოცმული მუცლის ზედა ნაწილი. მიმოქლონების გარდა აქ კალით მიურჩილავთ კიდევ. ყელთან მუცლის ზედა ნაწილი შევიწროებულია და ზედ ჩამოცმულია წაკვეთილი კონუსის ფორმის მასიური სალტე, რომელიც ექვსი მოქლონით (და ალბათ რჩილვითაც) მკიდროდაა დაკავშირებული ტანთან. ამ სალტეზე ზემოდან დარჩილული ყოფილა პირგადაპლილი ყელი. მუცლის ზედა ნაწილზე მოქლონით მიმაგრებულია მრგვალგანხევითიანი ყური, რომლის ზედა ნაწილი ტუჩზე ყოფილა დამაგრებული აგრეთვე მოქლონით. ამჟამად მხოლოდ ნახვრეტია გადარჩენილი კურკლის პირზე, ყურის ზედა ნაწილი კი მოქლონიანად დაკარგულია.


ძალიან საეჭვოდ გამოიყურება ზემოთ აღწერილი სალტე სურის ყელის ქვეშ. რისთვის უნდა დასკირებოდათ ასე მკიდროდ, ექვსი მოქლონით სრულიად უსარგებლო სალტის მიმაგრება და ზედ კლით ყელის მირჩილვა, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლებოდა პირდაპირ ყელის მიმოქლონება, ყოველგვარი სალტის გარეშე, რითაც სურა პირიქით მოიგებდა კიდევ სიმაგრეში? სურის არსებული კონსტრუქცია თითქოს ეწინააღმდეგება სად აზრს. როგორც ჩანს, სურის ქვედა და ზედა ნაწილების ცალ-ცალკე გამოქედვის და ერთმანეთთან მიმაგრების შემდეგ მიურჩილავთ და მიუმოქლონებიათ ყელი, სავსებით ისეთივე, როგორიც აწ შეჩინილი ყელია. მიმოქლონების დროს, როგორც ჩანს, ყელს გასჩენია ბზარები და იგი გატეხილა ან მაშინვე, როცა ამზადებდნენ, რაც უფრო საფიქრებელია, ანდა შემდგომში. სწორედ ამ გადატეხილი ყელის ქვედა ნაწილია ეს „სალტე“, რაზეც მისი ზედა, ნაგლეჯი ნაპირები მიუთითებს. ოს-

¹⁷⁷ სურ. 4-ზე არ არის დატული მასშტაბი კრილში. სურის კედელი უფრო სქელია ნაჩვენები, ვიდრე სინამდვილეშაა, რადგანაც ასე უფრო მოხერხებული იყო კონსტრუქციის ჩვენება.

ტატს ყელის უკვე მიმოქლონებული ქვედა ნაწილი აღარ მოუძვრია და ზედვე დაურჩილავს მეორე ასეთივე ყელი¹⁷⁸.

თუ რატომ გატყდა ჭედვის დროს სწორედ ყელი, რომელიც სურის ყველაზე მასიური ნაწილია. (გადატეხის ადგილას 3 მმ სისქისაა). იმიტომ აიხსნება, რომ ყელი სურის ერთადერთი ჩამოსხმული ნაწილია და ამიტომ ყველაზე მყიფეა. როგორც ჩანს, ჭედვის დროს თაკი იჩინა სხმულის დეფექტმა.

სურის სიმაღლე—152 მმ, ყელის სიმაღლე—38 მმ, პირის დიამეტრი—51 მმ; მუცლის დიამეტრი—114 მმ; ძირის დიამეტრი—51 მმ¹⁷⁹.



სურ. 4

¹⁷⁸ სალტისა და ყელის ზომები საესებით ერთნაირია, ამიტომ ყელი მთლიანად არ ფარავს სალტეს. სალტეზე ჩანს კალის კვალი, ასეთივე კვალია ყელის ქვედა ნაწილზე შიგნიდან.

¹⁷⁹ თვალშისაცემია ბრინჯაოს სურის განზომილებათა ერთი თავისებურება: პირისა და ძირის დიამეტრები ერთნაირია, მუცლის დიამეტრი ზუსტად

ყანჩაური სურის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი პირდაპირი ანალოგიაა ახალგორის განძის № 97 ბრინჯაოს სურა, როგორც ზომებით. ისევე, რაც მთავარია, დამზადების ტექნიკით. სმირნოვი ადარებს ამ სურას ყაზბეგის განძის ბრინჯაოს ჭურჭლებს და აღნიშნავს განსხვავებებს მათ დამზადების წესში. ამიტომ შესაძლებლად მიაჩნია ახალგორული № 97 სურის იმპორტულობა¹⁸⁰. ჩვენის აზრით კი. სწორედ დამზადების ტექნიკის ეს თავისებურებანი უნდა ძიუთითებდეს ამ სურების ადგილობრივ წარმოებაზე. და მერე, სხვა რომ არა იყოს რა, ყანჩაური სურა ხომ თითქმის წარმოების წუნია.

77. ნატეხები ბრინჯაოს ჭურჭლისა (ტაბ. XV). ნატეხები თხელფურცლოვანია, დაფარულია კეთილშობილი პატინით. ჭურჭლის ფორმის აღდგენა არ ხერხდება. პროფილირებული პირის (?) ერთ-ერთ ნატეხში ძვეთულის ყუნწია შერჩენილი: ორად მოღუნული ბრინჯაოს ძვეთული გაყრილია მრგვალ ნახვრეტში და შიდამხრიდან ძვეთულის ბოლოები ორ მხარესაა გადაკეცილი. სულ 13 ნატეხია. ამავე ჭურჭლისა უნდა იყოს ჩვენს მიერ სამარხის აღილას აკრეფილი ბრინჯაოს ნატეხების ერთი ნაწილი.

უდიდესი ნატეხის სიგრძე—135 მმ, სისქე—0,5 მმ.

VII. კერამიკა

78. ნატეხები რუხი ფერის თიხის კოქობისა (ტაბ. XV). პირი მომრგვალებული და გარეთ გადმოკეცილია. სულ ხუთი ნატეხია. ოთხი ნატეხი შეკოწიწდა.

79. ნატეხები წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლებისა (ტაბ. XV). თიხა რბილია, გადალესილი. ერთ-ერთ ნატეხს რკინის ქანგი დასადებია გადანატეხში. სულ 7 ნატეხია. აქედან 4 ერთმანეთს უდგება და საკმაოდ დიდი დიამეტრის ოდნავ შიგნით შეწეულპირიანი ლანგრისაა, დანარჩენი ალბათ იმ დოქის ნატეხებია, რომელიც აღმომჩენებს გაუტყდათ (იხ. ზემოთ). ასეთივე უსახური კერამიკა ახლდა ახალგორის განძსაც¹⁸¹.

ძვ. წ. VI საუკუნიდან საქართველოში შემოდის წითლად გამომწვარი კერამიკა, რომელიც თან მოჰყვება თიხის ჭურჭლის ახალადრეკინის ხანის ქართული მატერიალური კულტურისათვის სრულდრის სურის სიმაღლეს უყელოდ [152—38=114 მმ]. ყელის სიმაღლე სურის საერთო სიმაღლის 1/4 და ტანის სიმაღლის [მაშასადამე მუცლის დიამეტრისა] ზუსტად ერთი მესამედია [114:38=3]. განზომილებათა ასეთივე თანაფრთხილობა შეიმჩნევა ძვ. წ. VI—V სს. ზოგიერთ თიხის ჭურჭელზე და ახალგორის განძის ბრინჯაოს № 97 სურაზეც. ამ გარემოებაზე სხვაგან გვექნება საუბარი.

¹⁸⁰ Я. И. Смирнов, დას. ნაშრ., გვ. 62.

¹⁸¹ Я. И. Смирнов, დას. ნაშრ., გვ. 63.

ლიად უცხო ფორმებს, როგორცაა ფიალები, ფართოყელიანი, ზოკჯერ ტუჩიანი (ენახოსებური) დოქები, „ჩაიდნისებური“ და ორყურა „ამფორისებური“ ჭურჭლები¹⁸². თიხის ჭურჭლის ერთი ნაწილი წითლად ანგობირებული და გაპრიალებულია. ჩნდება მოხატული ჭურჭელიც¹⁸³. ამ, საქართველოსათვის ახალი კერამიკის საწყისები საძიებელია სამხრეთ-აღმოსავლეთით, კერძოდ ურარტუში, სადაც სწორედ წითლად შეღებილი და გაპრიალებული კერამიკა იყო გავრცელებული. აქვე შეინახა მოხატული კერამიკის ძველი ტრადიციები¹⁸⁴. ურარტული კერამიკიდან უნდა მომდინარეობდეს ტუჩიანი დოქების ფორმაც¹⁸⁵, რომელიც საქართველოში ჩნდება უფრო ადრე ვიდრე შეიძლება ვილაპარაკოთ უშუალო ბერძნულ გავლენაზე და თანაც აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთში, სადაც ეს გავლენა უფრო მოსალოდნელი უნდა იყოს. წითელი კერამიკა (მოხატულთან ერთად) პირველად ქვემო ქართლში ჩნდება (ბეშთაშენის სამაროვანი ციხესთან). შეიძლება თვალი გაედევნოს თუ როგორ ვრცელდება იგი თანდათანობით VI—V საუკუნის განმავლობაში ჯერ შიდა ქართლში და შემდეგ დასავლეთ საქართველოშიც. როგორც ითხვისში ჩატარებულმა გათხრებმა დაგვანახვა, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში წითლად გამომწვარი და მოხატული კერამიკა იქ ჯერ კიდევ შეტანილია აღმოსავლეთ საქართველოდან¹⁸⁶.

ამ ტალღას, რაც შეიძლება აიხსნას აქემენიდური ირანის ექსპანსიით ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში, კიდევ უფრო სამხრეთული ელემენტებიც შემოჰყვა. ასეთი უნდა იყოს, კერძოდ, ბეშთაშენის ციხესთან არსებული სამაროვნისა და კიკეთის ამავე ხანის სამაროვნის „ჩაიდნისებური“ ჭურჭლების ფორმა, რაც საკუთრივ ირანისათვის დამახასიათებელი ჩანს უძველესი დროიდან (ძვ. წ. III—II ათასწლეული) აქემენიდურ ხანამდე და უფრო გვიანაც¹⁸⁷, საქართველოში კი პირველად მხოლოდ ამ დროს ჩნდება¹⁸⁸.

¹⁸² Б. А. Куфтин, *დას. ნაშრ.*, ტაბ. XV.

¹⁸³ Б. А. Куфтин, *Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948 г.* стр. 8, табл. III.

¹⁸⁴ Б. Б. Пиотровский, *Ванское царство (Урарту), Москва, 1959 г.*, стр. 189.

Б. А. Куфтин, *Триалети*, стр. 6—10.

¹⁸⁵ Б. Б. Пиотровский, *Кармир-Блур, 1, Ереван, 1950 г.*, стр. 35.

¹⁸⁶ ვგულისხმობთ ითხვისის № 2 სამარხის კერამიკას. იხ. რ. აბრამიშვილი, *ითხვისის არქ. ექსპედიციის ანგარიში*.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე ძებლის დათარიღება და ხასიათი

ყანჩაეთში აღმოჩენილი სამარხის ინვენტარზე ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ ახლოს დგას იგი ახალგორის განძთან და ალგეთის წინწყაროს აქემენიდური ხანის სამარხის იხეცტართან. ვფიქრობთ, რომ მასალის დაწვრილებითმა განხილვამ კიდევ უფრო ნათელი გაჰხადა ეს სიახლოვე. მართლაც, როგორც დავინახეთ, ყანჩაეთში, საძეგურში და წინწყაროში აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ ერთი საბგლოსნოდან გამოსულის შთაბეჭდილებას ტოვებს (მაგ. საბეჭდავი ბეჭდები). ძალიან ახლოა ერთმანეთთან ყანჩაეთის სამარხისა და ახალგორის განძის ბრინჯაოს რიტუალური ქანდაკებები და ზარაკები, ყანჩაეთის, ახალგორისა და წინწყაროს სამაჯურები, არაფერი რომ არა ვთქვათ, ცხენის რახტის ნაწილებზე. რაც აბსოლუტურად ერთნაირია სამივე კომპლექსში. კიდევ მეტი, ყანჩაეთის სამარხულ ინვენტარში არ შედის არც ერთი ისეთი ნივთი, რომლის აღმოჩენა ახალგორის განძთან ან ალგეთის სამარხის მასალასთან ერთად შეუძლებელი ან შეუსაბამო ყოფილიყოს და პირიქით.

ახალგორის განძისა და ალგეთის აქემენიდური ხანის სამარხის სინქრონულობა, რაც თავის დროზე დამაჯერებლად დაასაბუთა კუფტინმა, ამჟამად მკვლევართა უმეტესობის მიერ გაზიარებული დებულებაა¹⁸⁷. როგორც ზევით დავინახეთ ახალი აღმოჩენა ყანჩაეთში კიდევ უფრო მეტად აახლოვებს ალგეთის სამარხს და ახალგორის განძს. ასე რომ, ექვგარეშეა სამივე ამ კომპლექსის სრული სინქრონულობა. ქრონოლოგიური სხვაობა მათ შორის, ალბათ, რამდენიმე ათეულ წელს არ აღემატება, ამიტომ ერთ-ერთი ამ კომპლექსის დათარიღება სამივეს თარიღს მოგვეცემდა. ხოლო იგივე ერთიერთსიახლოვე უფლებას იძლევა დათარიღებისათვის გამოყენებულ იქნას სამივე კომპლექსის მონაცემები.

ახალგორის განძისა და ალგეთის სამარხის გარშემო არსებული საკმაოდ მდიდარი ლიტერატურის მიუხედავად მათი კონკრეტული თარიღი დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის. ძირითადად

¹⁸⁷ E. Herzfeld, დასახ. ნაშრ., გვ. 107 და შემდეგ ნახ. 210—218.

A Survey of . . . ტ. I, გვ. 193, ნახ. 33.

R. Ghirshman, დასახ. ნაშრ. გვ. 24. ტაბ. XXXI და სხვ.

¹⁸⁸ Б. А. Куфтин, Триалети, табл. XV. კიკეთის მასალები გამოქვეყნებულია.

¹⁸⁹ Б. А. Куфтин, Триалети, стр. 35.

А. А. Иессен, Ранние связи Приуралья с Ираном, СА XVI, 1952 г. стр. 211.

ეს გამოწვეულია იმით, რომ ი. სმირნოვის შემდეგ ახალგორის განძი არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად. არც ალგეთის სამარხის მასალაა უკეთეს დღეში. მისი სრული პუბლიკაცია კი არ არსებობს.

ახალგორის განძი აღმოჩენისთანავე შესასწავლად გადაეცა აკად. ი. სმირნოვს. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო დაესრულებინა განზრახული ფართო გამოკვლევა და დასტოვა ხელნაწერი, რომელშიც განძის შემადგენელი ნივთების აღწერილობაც კი არ იყო ბოლომდე მიტანილი. ი. სმირნოვის გარდაცვალების შემდეგ მისი ხელნაწერები წესრიგში მოიყვანა და ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე დამზადებული ფოტოტიპიური ტაბულების დართვით რუსულ და გერმანულ ენაზე გამოსცა ვ. ნ. ჩუბინაშვილმა¹⁹⁰. გამოცემას წინ უძღვის გ. ნ. ჩუბინაშვილის შესავალი წერილი, სადაც თავმოყრილი და შეჯამებულია აღწერილობის ტექსტში გაფანტული ცალკეული მითითებანი ი. სმირნოვისა, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება აღდგეს ის ზოგადი დებულებანი და საკითხები, რომლებსაც აყენებდა მკვლევარი ახალგორის განძის დამუშავების დროს¹⁹¹. როგორც ჩანს, ი. სმირნოვისათვის სრულიად გარკვეული იყო, რომ ახალგორის განძის სახით საქმე გვაქვს სავსებით ერთგვაროვან, ერთიან კომპლექსთან და რომ იგი არის ანა განძი, არამედ ქალის სამარხის ინვენტარი¹⁹². ი. სმირნოვისათვის გარკვეული იყო აგრეთვე ხანა—ძვ. წ. VI—IV საუკუნეები, როდესაც უნდა შექმნილიყო ახალგორის განძის შემადგენელი ნივთები და ის კულტურული წრე—ე. წ. აქემენიდური წრე, რომელსაც ისინი მიეკუთვნება, მაგრამ სად და ვის მიერ არის დამზადებული ახალგორის განძის უმთავრესი ნივთები, ე. ი. იმპორტის საკითხი, როგორც ჩანს, არც სმირნოვისათვის იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი¹⁹³.

ეს დებულებები გაზიარებულია ყველა დანარჩენი მკვლევარის მიერ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ერთადერთი გამონაკლისია ა. მ. ტალგრენი, რომელიც თავის რეცენზიაში ი. სმირნოვის ნაშრომზე, ეცადა ახალგორის განძი მიღიურ-ასურული

¹⁹⁰ Я. И. Смирнов, Ахалгорнийский клад, Посмертное издание, Тифлис, Издание Музея Грузии, 1934 г.

J. I. Smirnov, Der Schatz von Achalgori, Aus dem Nachlass von Georg Tschubinaschwili herausgegeben, Verlag des Georgischen Museums, Tiflis, 1934.

¹⁹¹ იქვე. გვ. X.

¹⁹² იქვე. გვ. XI—XII.

¹⁹³ იქვე. გვ. XIV—XV.

ხელოვნებისათვის მიეკუთვნებინა და ძვ. წ. VII საუკუნით დაეთარილებინა¹⁹⁴. უკვე 1939 წელს ჰ. ლუშეიმ დამაჯერებლად დაასაბუთა ტალგორის ცდის უსაფუძვლობა¹⁹⁵. ლუშეის მოსაზრებებზე ახალგორის განძის შემადგენელი ნივთების შესახებ ქვევით უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

აქემენიდური ხანის სპარსული ხელოვნების ნიმუშებთან ერთად არის განხილული ა. პოპის წიგნში ნივთები ახალგორის განძიდან (ფიალები №№ 62, 63; ოქროს ფირფიტები №№ 54, 55, 56, 57, 59)¹⁹⁶.

ბ. კუფტინის მოსაზრებებს ახალგორის განძისა და ალგეთის წინწყაროს სამარხის შესახებ ზევით მრავალჯერ შევხვებთ ორივე ძეგლს ბ. კუფტინი აქემენიდურ ხანაში ათავსებს¹⁹⁷.

ზოგადად ძვ. წ. VI—IV სს. აკუთვნებენ ახალგორის განძსა და ალგეთის სამარხს სხვა მკვლევარებიც (ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი და სხვ.)¹⁹⁸. მ. ლორთქიფანიძეც აქემენიდური ხანით ათარილებს ახალგორის განძისა და ალგეთის სამარხის საბუქლავ-ბუქლებს¹⁹⁹. ახალგორის განძს შ. ამირანაშვილი აკუთვნებს აქემენიდური ხელოვნების აყვავების ხანას, არა უგვიანეს ძვ. წ. V საუკუნისა, რაც, ჩვენის აზრით სრულიად სამართლიანია, თუმცა კი არგუმენტები, რომელთა საფუძველზეა განოტანილი ეს დასკვნა, სადაოა სრულიად გაუმართლებელია აგრეთვე № 26 სასაფეთქლე საკიდების მიწნევა ცხენის რახტის სამკაულად²⁰⁰.

¹⁹⁴ A. M. Tallgreen, J. I. Smirnov, Der Schatz von Achalgori, ESA X, Helsinki, 1936, S. 265.

¹⁹⁵ H. Lushey, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

¹⁹⁶ A Survey of Persian Art. v. I. pp. 371, 373, 379; v. IV, tt. 118, 119.

¹⁹⁷ Б. А. К у ф т и н, Триадастн, стр. 34. и с а.

Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе, стр. 8—9.

¹⁹⁸ „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 1959 წ., გვ. 267.

გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952 წ., გვ. 112.

¹⁹⁹ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39—42.

²⁰⁰ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961 წ., გვ. 71, ტაბ. 24.

შეად. ალ. ჯავახიშვილი, ქართული მხატვრული ხელოვნობის ისტორიიდან (წერილი მეორე), საბჭოთა ხელოვნება, № 6, 1956 წ., გვ. 28—29.

ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ქართული ოქრომკვდლობის ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები, თბილისი, 1962 წ. გვ. 25.

ა. ა. იესენი წერიალში „Ранние связи Иркурья с Ираном“, სხვათაშორის, ეხება ახალგორის განძისა და ალგეთის სამარხის თარიღსაც და აღნიშნავს, რომ ეს კოპპლექსები მთელი რიგი ელემენტებით სინქრონულია. მათი აბსოლუტური თარიღი კი მოი-ცავს ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის ნაწილს. ა. იესენი ეყრდნობა პ. ლუშეის მიერ ფიალებისათვის შემუშავებულ ქრონო-ლოგიას, რომლის თანახმად ახალგორის განძის № 63 ფიალა ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს განეკუთვნება, მაგრამ იგივე ლუშეი ახალგო-რის განძის ორ სხვა ფიალას (№№ 61, 62) ძვ. წ. V საუკუნის შუა-ხანებისაკენ სწევს²⁰¹.

ახალგორის განძის, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხეული ინ-ვენტარის ყველაზე თვალსაჩინო ნივთები ვერცხლის ფიალებია. პ. ლუშეის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში ფიალების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებულია 1939 წლამდე აღმოჩენილი თითქმის ყველა ფიალა ლითონისა თუ მინისა, განხილულია აგრეთვე ახალგო-რისა და ყაზბეგის განძების ფიალებიც. ახალგორის განძის № 63 ფიალას ლუშეი მიაკუთვნებს ურთიერთმოპირისპირე ბურცობები-ანი ფიალების ტიპს და მიიჩნევს მას უძველესად გვიანასურულის შემდეგდროინდელ ფიალებში²⁰². ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან ფი-ალებს უჩნდებათ გადაშლილი პირი, ახალგორის განძის № 63 ფი-ალას კი სწორი პირი აქვს, რაც მისი არქაულობის ნიშანია²⁰³. ზუს-ტად ამგვარი ფიალა გამოსახული ძვ. წ. VI ს. ბოლოს ევფრონიუ-სის მოხატულ ლარნაკზე ათენში²⁰⁴.

ახალგორის განძის № 63 ფიალისათვის ლუშეის მიერ მი-ღებული თარიღის შესამოწმებლად გაგვანია ამავე ტიპის ერთი ზუსტად დათარიღებული ფიალა ე. ჰერცფელდის კოლექციიდან, რომელზედაც არტაქსერქსე I-ის (ძვ. წ. 465—423 წწ.) წარწერაა ამოკაწრული²⁰⁵. ეს ფიალა ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყუ-

²⁰¹ H. Lushey, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

²⁰² იქვე, გვ. 50.

²⁰³ იქვე, გვ. 39.

²⁰⁴ იქვე, გვ. 43, იხ. Bulletin de correspondance hellénique, 54, 1930, ტაბ. 20 და 22.

²⁰⁵ E. Herzfeld, Eine Silberbüchse Artaxerxes I. Archeologi- sche Mitteilungen aus Iran, VII, 1934, S. 1—8.

A Survey of Persian Art, v. I. p. 37.

H. Lushey, დასახ. ნაშრ., გვ. 43, № 29—32.

P. Amandry, დასახ. ნაშრ., გვ. 201, ნა. 157 d.

რება ახალგორის განძის № 63 ფიალასთან შედარებით, ბევრად უფრო ბრტყელი და პირგადაშლილია, ბურცობების ზომებიც შემცირებულია, მათი რაოდენობა კი გაზრდილია (სულ 14 ბურცობი აქვს) და უფრო უახლოვდება მაზანდერანში²⁰⁶ და სომხეთში აღმოჩენილ ასევე V საუკუნის ფიალებს²⁰⁷.

უფრო ახლოა ახალგორის განძის № 63 ფიალასთან ე. სტათა-ტოსის კოლექციის (ათენი) ვერცხლის 10 ბურცობიანი ფიალა, რომელიც აღმოჩენილა სინოპში გათხრილ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად²⁰⁸. ეს მასალა შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს პ. ამანდრის. სამარხს პ. ამანდრი ფართო ანალოგიებზე დაყრდნობით ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს²⁰⁹.

კიდევ უფროა ახლოა ახალგორულთან ბრინჯაოს ფიალა დელფოდან, რომელსაც ლუშიე ძვ. წ. 500 წლის ახლო ხანით ათარიღებს²¹⁰. ასეთივე ვერცხლის ფიალა აღმოჩნდა ბულგარეთში, დუვანლიში, ძვ. წ. V საუკუნის I მეოთხედის სამარხში²¹¹.

ახალგორის განძის № 64 ფიალას (8 დიდი ბურცობით) ლუშიე აკუთვნებს ფიალებს „ბურცობების ერთი რიგით“²¹². ფიალების ამავე ტიპს განეკუთვნება ახალგორის განძის № 62 ლანგარი (24 ბურცობით) და ყაზბეგის განძის გეღის თავებიანი ფიალა²¹³. ახალგორის განძის № 64 და ყაზბეგის განძის ფიალები ერთნაირი პროფილისაა და თარიღდებიან ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით. ყაზბეგის განძის ფიალის ანალოგიური ორი ფიალა აღმოჩნდა როდოსზე,

²⁰⁶ A Survey of . . . ტ. I, გვ. 371, ტ. IV, ტაბ. 120 A.

²⁰⁷ ეოხინჯანში აღმოჩენილი ფიალა (ბრიტანეთის მუზეუმი) იხ. M. A. Dalton, დაახ. ნაშრ., გვ. 44, ტაბ. XXIII, № 150. H. Lusche y, დაახ. ნაშრ., გვ. 42, № 12.

ერსერუქში აღმოჩენილი ასეთივე ფიალა (ლუერი) იხ. H. Lusche y, დაახ. ნაშრ., გვ. 42, № 11. P. Amandry, დაახ. ნაშრ., გვ. 261, ნახ. 157 c.

²⁰⁸ P. Amandry, დაახ. ნაშრ., გვ. 250, ნახ. 156, ტაბ. XXXVII. იხ. აგრეთვე P. Amandry, Bijoux Antiques, I, გვ. 14.

²⁰⁹ P. Amandry, Collection Hélène Stathatos, III, p. 270.

²¹⁰ H. Lusche y, დაახ. ნაშრ., გვ. 43, № 27, გვ. 58—59.

²¹¹ იქვე, № 26.

იხ. Filow, Duvanlij, გვ. 88, № 8. ტაბ. 110.

²¹² Phialen mit einreihigen Buckeln. H. Lusche y, დაახ. ნაშრ., გვ.

61, № 4.

²¹³ იქვე, № 5 და № 3.

იალისოსის სამაროვანზე №№ 61 და 72 სამარხებში, რომლებიც V საუკუნის დასაწყისით თარიღდება²¹⁴.

ახალგორულ № 62 ლანგარს ლუშეი ძვ. წ. V ს. შუახნებით ათარიღებს, ასევე № 61 ლანგარსაც, რომელიც „ყვავილიანი“ ფიალების ტიპს მიეკუთვნება²¹⁵. აღსანიშნავია, რომ ამავე ტიპის ოქროს ფიალა აღმოჩნდა ვანშიც 1961 წლის მდიდრულ სამარხში²¹⁶. ერთი ფრაგმენტი ამავე ტიპის ვერცხლის ფიალისა ცნობილია ნემფეის ნეკროპოლის № 24 ყორღანიდან. ამ ყორღანის მასალა ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ მასში შედის ბრინჯაოს სამთეხა და ვერცხლის ჩამჩა. როგორც ალგეთის სამარხში. ყორღანი V ს-ის 60—50-იანი წლებით თარიღდება²¹⁷. ლუშეის მიხედვით წინწყაროული და ყანჩაური ფიალებიც ტიპოლოგიურად ძვ. წ. V ს-ის პირველი ნახევრის უნდა იყოს²¹⁸.

კიდევ ერთი ნივთი ახალგორის განძიდან, რომელსაც კარგად დათარიღებული ანალოგები მოეძებნება, არის ვერცხლის № 66 პირველი, მხრებზე ასტრაგალის ორნამენტიანი ამობურცული

²¹⁴ H. Lushey, დას. ნაშრ., გვ. 61, № 2, გვ. 65.

იხ. Laurenzi, Clara Rhodos, VIII, გვ. 28, 179; ტაბ. 168, 169.

Möbius, Marburger Studien, გვ. 159.

ყახბეგის განძის გედისთავებიანი ფიალის იონიურ ნაწარმად მიჩნევა ამგვარი ფიალების როდოსზე აღმოჩენის გამო, ალბათ მაინც არ არის გამართლებული. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აქვე ლუშეი, პალმეტებისა და ცხოველური დეკორის შერწყმა საერთოდ არ ახასიათებს ბერძნულ ხელოვნებას. სამაგიეროდ პერსეპოლისის გათხრების დროს ზუსტად ასეთი გედისთავებითა და პალმეტებით შემკული ქვის უამრავი ლანგარი აღმოჩნდა. ერთ-ერთ ასეთ კურკელზე ქსერქსეს (ძვ. წ. 486—465 წწ.) წარწერა იყო.

E. Schmidt. Persepolis, v. II. tab. 53.

Ghirshman. Iran. pp. 177. fig. 68.

ყახბეგის ფიალის აღმოსავლურ წარმოშობაზე ნიუთითებს მასზე ანოკაწრული არამეული წარწერაც. ი. სმირნოვი ამ ფიალას აქემენიდური ხანის ფინიკიურ ნაწარმად მიიჩნევდა.

Я. И. Смирнов, Восточное серебро, Петербург, 1909 г., стр. 7, табл. III, № 13.

А. О. Мнацаканян, Г. А. Тирацян, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

²¹⁵ H. Lushey, დასახ. ნაშრ., გვ. 97, № 18.

²¹⁶ Н. Хоштария, დას. ნაშრ.

²¹⁷ Л. Ф. Силантьев а. Некрополь Нимфея, МИА, 69. стр. 62. рис. 26, 32, 34.

შეად. Б К у ф т и н. Триалети, стр. 35, табл. X.

²¹⁸ А. И е с с е н, Ранние связи . . . გვ. 211, 215.

სარტყლით. მხრებზე ასეთი ამობურცული სარტყლით შემკული ჭურჭელი არც თუ ისე ბევრია აღმოჩენილი და ყველა ძვ. წ. V ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ამგვარსარტყლიანი ორყურა ამფორები და ფიალა გამოსახულია პერსეპოლისის აპადანას რელიეფებზე. აპადანას მშენებლობა დაიწყო დარიოსმა (522—486 წ. წ.), დაამთავრა ქსერქსემ (486—465 წწ.)²¹⁹. ასეთივე ვერცხლის ამფორა აღმოჩნდა დუვანლიში—V ს-ის მეორე მეოთხედის სამარხში²²⁰. კიდევ უფრო ახლოა ახალგორულთან სტათატოსის კოლექციის ენახოა, რომელიც აღმოჩნდა სინოპში, იმავე სამარხში, საიდანაცაა ახალგორული № 63 ფიალის ანალოგიური, ზემოთ მოხსენებულ ფიალა. ამანდრი დაწვრილებით განიხილავს მხრებზე ასტრაგალის სარტყლით შემკულ ჭურჭლებს, მათ შორის ახალგორულსაც. და სამარხს ათარიღებს V ს-ის პირველი ნახევრით²²¹.

ახალგორის განძის, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხების დანარჩენი მასალაც არ ეწინააღმდეგება ამ თარიღებს. ტიპოლოგიურად ძვ. წ. VI—V საუკუნისაა ალგეთის სამარხის ისრისპირი²²². ბეშთაშენის ადრეაქემენიდური ხანის სამაროვნის კერამიკას უახლოვდება წითლად შეღებილი ცალყურა თიხის ჭურჭელიც ალგეთის სამარხიდან²²³, ისევე როგორც ახალგორის განძისა და ყანჩაეთის სამარხების კერამიკული ფრაგმენტები. საყურადღებოა, რომ ბეშთაშენის ციხის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ფიალები სავსებით ახალგორული ვერცხლის ფიალების ფორმისაა²²⁴.

ზურგშედრეკული სამაჯურები კი ჩვენს კომპლექსებს როგორც ზევით დავიხახეთ, უფრო მოგვიანო ხანის ძვ. წ. V—IV საუკუნის ნერონ-დერესისა და დაბლაგომის სამაროვნებს უახლოვებს. ბრინჯაოს ზარაკები ახალგორის განძსა და ყანჩაეთის სამარხს ყაზბეგის განძსა და სამაროვანს უკავშირებს²²⁵.

²¹⁹ E. Herzfeld, Iran in the Ancient East, გვ. 227; ტაბ. LXXXIV.

²²⁰ A Survey of . . . ტ. IV, ტაბ. 117.

Filow, Duvanlij, ტაბ. 3.

H. Luschey, დაახ. ნაშრ., გვ. 50.

²²¹ P. Amandry, დას. ნაშრ., გვ. 263, ტაბ. XXXVII.

²²² Б. К у ф т и и, დას. ნაშრ., ნახ 41 е.

²²³ შეად. P. R a u, Die Gräber der Frühen Eisenzeit im unteren Wolgagebiet. Pokrowsk. :929, Taf. III, i.

²²⁴ ჭურჭელი ინახება საქ. სახ. მუზეუმის თრიალეთის ფონდში.

²²⁵ Б. К у ф т и и, დას. ნაშრ., გვ. 46, ტაბ. XV.

²²⁶ იქვე, გვ. 65.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი კომპლექსები ნერონ-დერესის და დაბლაგომის სამაროვნების უფროსი, ხოლო ბეშთაშენის ციხესთან მდებარე სამაროვნის უმცროსი თანამედროვეა—ეს სამაროვნები ერთმანეთს V საუკუნის შუახანებში ხვდება²²⁶.

ახალგორული, ალგეთური და ყანჩაური ლავგები, როგორც ზევიო დავინახეთ ძვ. წ. V საუკუნეზე უფრო ადრეული არ უნდა იყოს. ახალგორის განძის ოქროს ნივთების ანალიზსაც V საუკუნის პირველი ნახევრისაკენ მივყევართ²²⁷. ოქროს მასალაზე დაწვრილებით აქვერ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ახალგორის განძის ოქროს ნივთების უმთავრესი ნაწილი მდიდრულადაა შემკული გავარსით, გავარსის უხვად ხმარება კი, მაგალითად, საბერძნეთში უფრო არქაული ხანისათვისაა დამახასიათებელი, კლასიკურ ხანაში გრეხილური ჰარბობს²²⁸. გავარსის ხასიათით ახალგორის ნივთები უახლოვდება ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ საყურეებს სამთავროს ჩრდ. უბნის № 191 ორმოსამარხიდან (№ 12—54:5015, 5016)²²⁹, აგრეთვე ფარცხანაყანევისა და ნოსირის მასალებს²³⁰, მაგ-

²²⁶ ნერონ-დერესის სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად საყურადღებოა, რომ ამ სამაროვნის № 6 სამარხში აღმოჩენილი თიხის შავპირილა, მუცელზე ღარმემზღვლებული ფიალის (სველე № 335; „თრიალეთი“, ტაბ. IV) ანალოგიური ფიალები აღმოჩენილია გორდიონში გათხრების დროს ძვ. წ. V საუკუნის ფენებში (იხ. Young S. R o d n e y, The 1961 Campaign at Gordion, American Journal of Archaeology, v. 66, № 2, 1962, p. 155, tab. 41, fig. I a, b.).

ეს ანალოგია სხვახმრივაცაა საყურადღებო: ძვ. წ. IV საუკუნეში საქართველოში ფართოდ ვრცელდება შესანიშნავად გაპრიალებული შავად გამომწვარი, მკვეთრადპროფილირებული თიხის კურკელი, ჩნდება ამავე ტექნიკით შესრულებული თიხის ფიგურული კურკელი—ცხოველების ღრუ ქანდაკებები (ნერონ-დერეთის სამაროვანი, ურბნისის, უფლისციხის, სამთავროს კულტურული ფენები). ანალოგიური ტექნიკითა და ფორმებით ხასიათდება ფრიგიული ადგილობრივი კერამიკა (იხ. ზემოთ ციტირებული ნაშრომი). ძნელია ამ დამთხვევაში არ დავინახოთ ანარეკლი შოაახლებობის გარკვეული მაკების გადაჯიღობისა მცირე აზიიდან აძიერკავასიაში, რაც სავულისხმებელია აქემენიანთა მიერ ფრიგიის სახელმწიფოს ანადგურების შემდგომ ხანაში.

შეად. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955 წ., გვ. 134—136.

²²⁷ ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკული ხანის ქართული ოქრომკედლობის ისტორიისათვის.

²²⁸ F. H. M a r s h a l l, დასახ. ნაშრ., გვ. XXXI.

²²⁹ რ. ა ბ ო ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ საბ. მუზეუმის მოახბე, ტ. XXI II, 1957, ტაბ. 1, № 22.

²³⁰ Б. К у ф т и н, დას. ნაშრ., გვ. 133—135.

რამ მათზე აშკარად უფრო გვიანია: არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ახალგორულ № 23 სასაფეთქლე საკიდების ცხენებს ახალგორული ტიპის საყბურები უკეთიათ. V საუკუნეზევე მიუთითებს აქემენიდური ხელოვნების გავლენის თვალსაჩინო ნიშნებიც ახალგორულ ოქროზე²³¹.

ყველაფერი ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენის აზრით, შესაძლებელია ახალგორის განძისა, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხების დათარიღება ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებით.

1962 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ითხვისში აღმოჩნდა სამარხი, რომლის ინვენტარი ამ თარიღის შემოწმების საშუალებას იძლევა. სამარხში სხვათაშორის იყო ორი იმპორტული ნივთი—შავფიგურებიანი, მაღალფეხიანი ატიკური კილიკი და შავლაკიანი ლარნაკი გრაფიტოთი ΜΗΤΟΣ²³² (ტაბ. XVI). ორივე ჭურჭელი შტიციელ თარიღდება ძვ. წ. V ს. პირველი ნახევრით. ამ სამარხის ინვენტარი აქვე აღმოჩენილი ვერცხლის დიადემით (ტაბ. XVI) უკავშირდება ვანის მდიდრულ სამარხს, სადაც ზუსტად ასეთი დიადემა აღმოჩნდა. ვანის სამარხის სიახლოვე კი ახალგორის განძთან ცნობილია²³³. მეორეს მხრივ ითხვისის ეს სამარხი უკავშირდება ზემოთ არაერთგზის მოხსენებულ იქვე გათხრილ № 2 სამარხს, რომელიც ახალგორის განძზე მოგვიანო უნდა იყოს.

ახალგორის განძისა და ყანჩაეთის სამარხის ინვენტარის განსაკუთრებული სიმდიდრე გვიჩვენებს, რომ ამ სამარხებში საზოგადოების რიგითი წევრები არ უნდა ყოფილიყო დაკრძალული. ეს წარჩინებულნი რომ ადგილობრივი დიდებულები იყვნენ და მრავალი ძაფით უკავშირდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მათი დაკრძალვის წესიდან ჩანს. სამწუხაროდ, ამ წესის აღსადგენად იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ მცირედით, რასაც აღმოჩინდა ჩვენება და თვით ინვენტარის ანალიზი იძლევა.

²³¹ ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.

²³² ამავე სამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი ადგილობრივი თიხის დიქის ჯურზე ამოკაწრულია მონოგრამა, რომელშიც იგივე, როგორც ჩანს, მფლობელის სახელი იხსნება.

²³³ Н. Хоштариа, დას. ნაშრ.

ასეთივე დიადემები გ. ვაბეჯიშვილის ცნობით აღმოჩენილია ამავე ხანის საპაროვანზე ბრილში. ერთი ასეთი ბრინჯაოს დიადემა აღმოჩნდა ნესტეროვის საპაროვანზე ჩრდილოეთ კავკასიაში. იხ. Е. И. Крупинов, Древняя история Северного Кавказа, Москва, 1960 г., стр. 289, рис. 48, 33.

ყანჩაეთის სამარხის აღმომჩენთა ცნობით, ადამიანის ძვლები სულ ერთი მეტრის სიგრძეზე ამოღოდა. თუ გავიხსენებთ, რომ ბექედებისა და სამაჭურების ზომების თანახმად ყანჩაეთში მოზრდილი ადამიანი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მაშინ ეს ცნობა პირველსარისხოვან მნიშვნელობას იღებს: ერთი მეტრის სიგრძეზე მოზრდილი ადამიანის ჩონჩხის მოთავსება შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი მოკრუნხული პოზით. ამასვე ადასტურებს მეორე ცნობაც, რომ ბექედები თავის ქალის მარცხნივ ეყარა: ჩონჩხი გვერდზე წოლილა. ხელები იდაყვებში მოხრილი და სახესთან მიტანილი ჰქონია.

სამარხი ჩაქრილი იყო მიწაში და, როგორც ჩანს, ქვაყრილი არა ჰქონდა, მაგრამ შეიძლება ორმოში ხის ნაგებობა ყოფილიყო ჩადგმული: გავიხსენოთ № 43 ლურსმანი. ხის ნაგებობები დადასტურდა ვანისა და ითხვისის № 2 მდიდრულ სამარხებში, სადაც ამ ნაგებობიდან დიდი ზომის ლურსმნების გარდა პატარა ბრტყელთავიანი ლურსმნებიც გადარჩა. საძეგურშიც ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო²³⁴.

გვერდზე, მოკრუნხული პოზით ორმოსამარხში დამარხვა, დაკრძალვის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი წესია ადრეანტიკური ხანის შიდა ქართლში. ქვემო ქართლში ამ დროს ქვაყუთებში მარხავდნენ, ასევე მოკრუნხულად. ბ. კუფტინის ფონდში დაცული საველე ჩანახატის თანახმად, ალგეთის სამარხიც, ისევე როგორც იქაური რიგითი სამარხები, მოკლე ქვაყუთი ყოფილა.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც საძეგურში. ისე ყანჩაეთში და წინწყაროში ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან დაწინაურებული პირები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი²³⁵. ამასვე ადასტურებს ინვენტარის ანალიზი. როგორც დავინახეთ, მდიდრული სამარხების ოქროსი და ვერცხლის ბექედებსა და სამაჭურებს რიგით სამარხებში ბრინჯაოს და რკინის ანალოგიური სამკა-

²³⁴ Е. Такашвили, დას. ნაშრ.

²³⁵ ამ სამარხებში ცხენების ჩაყოლების წესმა არ უნდა გვაფიქრებინოს თითქოს აქ სკვითები ყოფილიყვნენ დაკრძალულნი. ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მთელი ინვენტარი და სხვა რომ არა იყოს რა, ცხენის სრულიად თავისებური რახტი, რომელშიც არაფერი სკვითური არ არის, და ჩონჩხის პოზაცია—სკვითები ზურგზე, ფეხებგაკიმულნი იკრძალებოდნენ. ასევე ირანშიც, შეადარეთ, სუზაში გათხრილი აქემენიდური ხანის ქალის მდიდრული სამარხი. R. Ghirshman, Iran, ნახ. 56.

ული შეესაბამება, ლითონის ფიალებს—თიხის ფიალები და ა. შ. მაგრამ საქეურის, ყანჩაეთისა და ალგეთის მდიდრულ სამარხებსა და მათ თანადროულ რიგით სამარხებს შორის მსგავსების გარდა ისეთი არსებითი განსხვავებანიც ჩანს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ამ მდიდრულ სამარხებში დაკრძალულთა სახით არა მხოლოდ ქონებრივად დაწინაურებულ პირებთან, არამედ სოციალურად განსხვავებულ ფენასთან გვაქვს საქმე და რომ ეს პირნი არიან, ცხადია, არა ტომის ბელადები, ან, თუნდაც, გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენელი, არამედ უკვე ხევისუფალნი, ხევისთავეები, ერისთავეები, რომელთაც უზურპირებული აქვთ საერო და, ალბათ, სასულიერო ხელისუფლება; რასაც გვაფიქრებინებს სამარხში დროშის ჩატანება (იხ. ზემოთ № 10).

ძირითადი და უმთავრესი, რაც ასხვავებს ამ მდიდრულ სამარხებს მათი თანადროული რიგითი, ხშირად არც თუ ისე დარიბული სამარხებისაგან, არის სამარხებში აკაზმული ცხენებისა და საბრძოლო იარაღის ჩატანება, რაშიც, ჩვენის აზრით, ერთი და იგივე სოციალური შინაარსია ჩაქსოვილი.

შეკაზმული ცხენის სამარხში ჩატანება ანტიკურ საქართველოში რომ მხოლოდ და მხოლოდ წარჩინებულთა სამარხებისათვისაა ცნობილი და დამახასიათებელი, ამას განსაკუთრებული მტკიცება არა სჭირდება²³⁶. სხვა საქმეა იარაღის ჩატანების საკითხი.

ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ შენიშნა სანთავროს სამაროვანზე ელინისტური ხანის ქვევრსამარხებში საომარი იარაღის სრული გაქრობა, რაშიც სრულიად სამართლიანად სოციალური შინაარსი დაინახა, დაუკავშირა რა ეს ფაქტი მცხეთის გაქალაქებას²³⁷.

ადრეანტიკური ხანის სამაროვნების შემდგომმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ სამარხებში იარაღის მასობრივად გაქრობა არ არის ლოკალური მოვლენა, არამედ გარკვეული ხანიდან დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისათვის. თუნდაც მარტო ამიტომ ამ მოვლენაში უფრო მეტი უნდა დავინახოთ, ვიდრე ცალკეული პუნქტების გაქალაქების შედეგი.

²³⁶ ცხენის და მისი აკაზმულობის ჩატანება წარჩინებულთა სამარხებში გადმონაშთის სახით შემოინახა გვიანანტიკურ ხანაშიც. გავიხსენოთ, მცხეთის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილი აკლდამა, არმაზისხევის № 6 სამარხი, კლდეშთის და ბორის სამარხები. იხ. გ. ლომთათიძე, კლდეშთის სამაროვანი, გვ. 164—165.

²³⁷ Г. А. Ломташидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тбилиси, 1955 г., стр. 59.

მიემართოთ ფაქტებს: ქვემო ქართლში ძვ. წ. VI—V საუკუნის ბეშთაშენის სამაროვანზე ჯერ კიდევ ბევრია საბრძოლო იარაღი. მაგრამ ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებისა და მომდევნო ხანის მრავალრიცხოვან სამაროვნებზე კი იარაღი სრულებით აღარა გვხვდება (რკინის დანები, ცხადია, საბრძოლო იარაღი არ არის). ასეთებია ნერონ-დერესის, კუშჩის, ტაშ-ბაშის, საფარ-ხარაბას, სანთის, გომარეთის და ბევრი კიდევ სხვა სამაროვანი, რომლებიც სხვადასხვ. დროს გაითხარა თრიალეთშივე²³⁸.

ამავე ხანაში ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დასავლეთ საქართველოშიც. სიტყა-სიტყვით მოგვაქვს ბ. კუფტინის ნათქვამი დაბლაგომის სამაროვნის შესახებ: «Первое, что обращает на себя внимание когда пытаешься в целом охарактеризовать исследованные нами куршинные погребения, это полное отсутствие в погребальном инвентаре предметов вооружения».²³⁹

ასევე არ გვხვდება საბრძოლო იარაღი დასავლეთ საქართველოს ბარში გათხრილ სხვა სამაროვნებზეც²⁴⁰.

შიდა ქართლიდან აღრეანტიკური ხანის მასალები ცოტაა, მაგრამ რაც არის, გვიჩვენებს, რამ იარაღი აქაც იმავე ხანაში გამქრალა. მაგალითად. აღიანიდან (კასპის რაიონი), სადაც წლების განმავლობაში ჩნდება ძვ. წ. V—IV ს-ის სამარხები და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ ადგილიდან შემთხვევითი შემოსულობის გზით საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალა დაგროვდა, ამ ხანის ჯერ არცერთი საბრძოლო იარაღი არა გვაქვს.

ასევეა სამთავროს სამაროვანზეც, სადაც ძვ. წ. VI—IV და შემდეგი ხანის სამარხებში საბრძოლო იარაღი აღარა გვხვდება²⁴¹.

რიგიდ სამარხებში იარაღის თითქმის სრული გაქრობის ფონზე კიდევ უფრო თვალშისაცემია ამავე ხანის განსაკუთრებულად მდიდრულ მამაკაცთა სამარხებში საბრძოლო იარაღის უხვად ჩატახების

²³⁸ Б. А. Куфтин, Триалети, глава I, 1, 2, 3, 4, 5.

Б. А. Куфтин, Раскопки 1947 г., стр. 8—9.

ა. ბოზოჩაძე, აღრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მაზლაბლად, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, 1963 წ.

²³⁹ Б. А. Куфтин, Колхида, т. II, стр. 35.

²⁴⁰ М. М. Иващенко, Куршинный могильник в западной Грузии, СА XII, 1956, стр. 320—330.

²⁴¹ სრულიად გაუგებარია, თუ რა მონაცემებზეა დამყარებული გ. მელიქი-

ფაქტები, რის შესანიშნავი ნიმუშია ზემოთ განხილული სამარხეული ინვენტარი ყანჩაეთიდან. იარაღი რომ ყოფილა ალგეთის წინწყაროს სამარხშიც. გვიჩვენებს მასში ისრისპირის აღმოჩენა²⁴². ცხადი სურათი გვექონდა ითხვისში. სადაც გაითხარა ორი მდიდრული სამარხი და ორივეს ინვენტარში უხვად იყო საბრძოლო იარაღი, ორივე სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე შეკაზმული ცხენიც. ამ ორი სამარხის მახლობლად გათხრილ იმავე ხანის ათზე მეტ რიკით სამარხიდან კი არცერთში საბრძოლო იარაღი არ აღმოჩენილა. თუქცა უინვენტარო არცერთი ეს სამარხი არ ყოფილა.

ძნელია იმ საზოგადოებაში, სადაც ამგვარი დაპირისპირება ჩანს. არ დავინახოთ კლასობრივი საზოგადოება. სადაც იარაღი და მასთან ერთად ძალა-უფლებაც საზოგადოების გარკვეული უკლებრივად და ეკონომიურად დაწინაურებული. წრის, ფენის ხელშია; სადაც იარაღის ტარება და ქვეყნის დაცვაზე ზრუნვა ამ ფენის მთავალეობას და კიდევ უფრო მეტად მის პრივილეგიას შეადგენს. ხოლო მოსახლეობის ძირითადი, მწარმოებელი ნაწილი—მიწის მუშები და მოქალაქენი, „თავისუფალია“ იარაღისაგან და ფიზიკური თავდაცვის აუცილებლობისაგან, წარჩინებულები კი, პირიქით, მწარმოებლური შრომისაგან თავისუფლდებიან.

ამავე წრის წარმომადგენელთა ხელში იქნებოდა ცქადია, პოლიტიკური და სასულიერო ხელისუფლებაც. ამ მხრივ, რიშანდობლივია. რომ წარჩინებულთა სამარხები ლოკალიზდება ხეებში, იქ სადაც დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი²⁴³.

შვილის შემდეგი მტკიცება: „То что это была эпоха постоянных воин (საუბარია აქემენიდურ ხანაზე ძვ. წ. VI—IV ს. ი. გ.), показывает исключительное обилие боевого оружия в погребениях этого времени из Восточной Грузии, что ясно видно на основе данных Самтаврского могильника в Мцхета.“ (Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959 г., стр. 272). სხვა რომ არა იყოს რა, სამთავროს მრავალსართულიან სამაროვანზე სწორედ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებშიც ყველაზე სუსტად წარმოდგენილი და ამ ხანის არცერთი იარაღიანი სამარხი არ გვევლება იქ. იხ. Г. Ломтатидзе, დას. ნაშრ., გვ. 57.

²⁴² საერთოდ ძალიან საეჭვოა ბ. კუფტინის მიერ ამ მასალის მიჩნევა, კალის და არა მამაკაცის სამარხის ინვენტარად, იარაღის მასში თითქოსდა არ არსებობის საფუძველზე. სამაჯურების აღმოჩენა არ ნიშნავს, რომ სამარხი უთუოდ კალისაა. იხ. К у ф т и н, Триалети, стр. 34.

²⁴³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 18.

საზოგადოება. სადაც შეიქმნა ახალგორის განძის შემადგენელი ნივთები, კლასობრივი საზოგადოებაა. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა იმპორტულ ნივთებს, არამედ. უპირველეს ყოვლისა. ახალგორის განძის ოქროს გავარსიან ნივთებს, რომელთა ადგილობრივი ქართული წარმოშობა სრულიად უეჭველად მიგვაჩნია²⁴⁴. კიდევ მეტი. თვით ქსნის სეობის უშუალო სიახლოვეში საგულისხმებელია საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობა. საქმე ისაა. რომ ახალგორის განძის რამდენიმე ოქროს ნივთი ძველადვე შეკეთებულია ოქროს რჩილვის გამოყენებით. რაც მხოლოდ პროფესიონალ ოქრომჭედელ-ხელოსანს შეუძლია²⁴⁵. წარმოუდგენელია, რომ ეს ნივთები უკვე ნახმარ-შეკეთებული მოხვედრილიყო ქსანზე, ანდა ყოველი დაზიანებული ნივთი შესაკეთებლად. საზღვარგარეთ გაეტანათ.

ოქრომჭედლობის რომელიღაც უფრო დაწინაურებული. მაკრამისევე ქართული. ცენტრებიდან შემოტანილი ნივთების გვერდით ახალგორის განძში გვაქვს ერთი რიგის ნივთები, რომლებიც პირველი ჯგუფის ნივთების ადგილობრივ მინაბაძებად უნდა ჩაითვალოს²⁴⁶. ეს ფაქტიც ადგილობრივ, ქსნის სეობის უშუალო სიახლოვეში საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობას გულისხმობს ამასვე გულისხმობს ყანჩათის ბაგისა და თვალისსაფარები. რომლებიც უშუალოდ დაკრძალვის წინ დამზადებული ნივთებია.

ოქრომჭედელმა. რომელიც გავარსით შემკულ ნივთებს აწარმოებს. შეიძლება იარსებოს მხოლოდ საწარმოო ძალების მაღალი განვითარების პირობებში, სოციალურად მაღალ განვითარებულ საზოგადოებაში. სადაც არსებობს ერთის მხრივ მოთხოვნილება ფუფუნების საგნებზე და მათი მომხმარებელი, ხოლო მეორეს მხრივ მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლები. რომლებაც იძულებულნი არიან გამოკვებონ პირველი²⁴⁷.

²⁴⁴ ი. ვაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის.

²⁴⁵ შეკეთებულია მაგ. ახალგორის განძის № 26 ცხენებიანი სასაფეთქლე, № 47 და № 55 ფირფიტები.

²⁴⁶ Я. И. Смирнов, Ахалгорный клад, стр. 42, № 59.

²⁴⁷ იმის საჩვენებლად, თუ რა შრომაა ჩაქსოვილი გავარსიანი ნივთების წარმოებაში. მოვიტანთ ერთ მაგალითს: ფარცხანაყანევის მხოლოდ ერთი მძიქისათვის ცალკე დამზადებული და მერე მძივზე დარჩილულია 0,5—1,0 მმ დიამეტრის ოქროს 3700-ზე მეტი (!) ბურთულა. ასეთი მძივი კი ერთ ასხმაში რამ-

იგივე საზოგადოებაა მშენებელი ურბნისის ტერიტორიის, მუხრანის გრანდიოზული სარწყავი სისტემებისა. რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნეში უკვე მოქმედი სარწყავი სისტემებია²⁴⁸.

ამ სარწყავი სისტემების მშენებლობა სახელმწიფოებრივი მასშტაბის ღონისძიებაა და მათ გასაყვანად, ისევე როგორც საექსპლოატაციოდ აუცილებელია არათავისუფალი მუშახელის გამოყენება²⁴⁹. ვერავითარი თემი ვერ შესძლებდა ათასობით ადამიანის ორგანიზებას და ასეული ათასობით შრომადღის დახარჯვას. რაც მუხრანის, ტერიტორიის ან ურბნისის მრავალკილომეტრიანი რუსხმულებისათვის მიწის მოსაქრელად და დასაყრელად იყო საჭირო²⁵⁰. ეს ძალუქს მხოლოდ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას და ისიც ძლიერ ხელისუფლებას. ურბნისის, ტერიტორიის და მუხრანის სარწყავი სისტემების მშენებლობა ერთი და ორი წლის საქმე არ არის და რამდენადაც ეს სარწყავი სისტემები ძვ. წ. IV საუკუნეში უკვე მოქმედებენ, მათი მშენებელი სახელმწიფოს არსებობა ძვ.წ. V საუკუნიდან მაინცაა სავარაუდებელი.

სწორედ ხევები უნდა ყოფილიყო ის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაგანაც შედგებოდა ეს პირველი სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე²⁵¹.

ახალგორის განძი და ყანჩაეთის სამარხი აღმოჩნდა ერთ-ერთ ასეთ ხევში—ქსნის ხევში, იქ სადაც შუასაუკუნეებში ერთ-ერთი უძველესი ქართული საერისთაოს, ქსნის საერისთაოს ცენტრი იყო. აქ შემოინახა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური დოკუმენტი—ძეგლი ერისთავთა²⁵²

დენიმე უნდა ყოფილიყო. დამხადების სირთულით და სამუშაოს მოცულობით ფარცხანაყანეის მძივი ახლოც კი ვერ მოეა ახალგორის განძის № 26 ცხენებთან სასაფეთქლებთან.

²⁴⁸ ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბილისი, 1963 წ., გვ. 51-64, 79 და სხვ.

ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის სამარხი ქსნიდან, საქ. სახ. მუზეუმის XI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1963 წ.

²⁴⁹ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

²⁵⁰ მაგ. ურბნისის რუსხმულის სიგრძე—5 კმ-ია, სიმაღლე—8 მ., ფუძის სიგანე 100 მ-ს აღწევს, თავდაპირველი მოცულობა 300000 მ³; (ამჟამად 900000 მ³). იხ. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71—72.

²⁵¹ ი. ჯაფარიძე, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 143.

²⁵² ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე) ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბილისი, 1954 წ.

სრულიადაც არაა მოულოდნელი და შეუძლებელი პირდაპირი შემკვიდრება ადრეანტიკური ხანის საქვეურ-ყანჩაეთისა და ფე-ოდალური ხანის ქსნის საერისთაოს შორის, მითუმეტეს რომ თან-დათანობით შემაერთებელი რგოლებიც ჩნდება. მაგალითად: თვით ლენინგორში აღმოჩნდა, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მდიდ-რული სამარხი. რომლის ინვენტარი (ვერცხლის თასი, ოქროს საყუ-რეები და თვალედი ბეჭდები, შაბურ II ოქროს მონეტა და სხვა)— არმაზისხევის პიტიახშთა სამარხეული მასალის რიგისაა²⁵³. მათი მფლობელიც პიტიახშთა ტოლი იქნებოდა.

საქვეურში და ყანჩაეთში დაკრძალულებს შეიძლება უკვე ერისთავებიც კი ერქვათ: ერისთავი ხომ ერთ-ერთი ყველაზე მეტად ქართული სიტყვაა და ერისთავობა ერთი ყველაზე მეტად ქართული ინსტიტუტი (ნ. ბერძენიშვილი). ამ ინსტიტუტს საფუძველი სწო-რედ ადრეანტიკურ ხანაში უნდა ჩაჰყაროდა. სხვათაშორის, ყველა-ფერი ის. რაც ყანჩაეთის სამარხში დაკრძალული პირის წარჩინებუ-ლობის ნიშნებად მივიჩნიეთ (იარალ-საჭურველი, დროშა, ცხენა, საბეჭდავი) შუასაუკუნეებშიც ერისთავის ინსიგნია იყო²⁵⁴.

ქსნის ხეობის ცენტრი — როგორც ეკონომიური, ისე პოლიტი-კური და სტრატეგიული თვალსაზრისით მუდამ სწორედ თანამედ-როვე ლენინგორის მიდამოები უნდა ყოფილიყო²⁵⁵. აქ არსებობს სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისათვის ხელშემწყობი პი-რობები, რამაც ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაო-ადრეკინის ხანაში გა-მოიწვია ხეობებისა და საერთოდ საქართველოს მთისძირა რაიონე-ბის დაწინაურება²⁵⁶. აქედანვე შეიძლებოდა კონტროლის გაწევა, როგორც მთაზე, ისევე ბარზე. აქედან შეეძლო ქსნის საერისთაოს სანაპირო საერისთაოს ფუნქციების განხორციელება: ერთის მხრივ სახელმწიფოს დაცვა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მეორეს მხრივ—დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება იმავე მხარეს. ქსნის სა-

²⁵³ მცხეთა. I, გვ. 202.

²⁵⁴ „ძველი ერისთავთა“ გვაცნობს ერისთავის ინსიგნიებს, რომელიც თით-ქოს იუსტინიანემ უბოძა როსტომ ქვენიფნეველს ცხრაზმისხევის ერისთავის წო-დებასთან ერთად: „შეაცუა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თჯი, საჭურ-ველი და ცხენი თოროსანი, დროშაჲ და შუბი“. იხ. „ძველი ერისთავთა“, გვ. 346.

²⁵⁵ ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ქვენიფნეველნი—მთის ბატონები—ერის-თავთ-ერისთავებად იწოდებიან მხოლოდ ქსნის ხევის ქვედაწელის დაპყრობის შემდეგ. „ძველი ერისთავთა“, გვ. 346.

²⁵⁶ ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31 და შემდეგ.

ერისთაო სსკადასხვა დროს კონტროლს უწევდა უზარმაზარ ტერ-
ტორიას არაგვიდან ლიახვამდე და მტკვრიდან კავკასიონამდე²⁵⁷.
კავკასიონის ქედსაჟითა მხარესთან რომ სწორედ ქსნის ხეო-
ბით ხორციელდებოდა ურთიერთობა ადრეანტიკურ ხანაში მაინც.
კარგად გვიჩვენებს ამ ხანის შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენე-
ბი ქსნის ხევიდან არაგვისა და თერგის ხეობებში გადასასვლელ გზებ-
ზე²⁵⁸. ამისავე მაჩვენებელია ახლგორული ტიპის ბრინჯაოს ქანდაკე-
ბების აღმოჩენა ყაზბეგის განძთან ერთად²⁵⁹ და, პირიქით, ქსნის ხე-
ობაში ისეთი ნივთების აღმოჩენა, როგორიც აქამდე მხოლოდ ყაზ-
ბეგიდან იყო ცნობილი²⁶⁰. ქსნის საერისთაო ადრეანტიკურ ხანაში,
უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ფორ-
მოსტაგანი შიდა ქართლში. ამ ხვეის მკიდრო კავშირურთიერთო-
ბას IV--III საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებული ქართლის სამე-
ფოს ცენტრთან, კარგად გვიჩვენებს ტოპონიმიკური შეხვედრები
ქსნის ხეობისა და მცხეთის მიდამოებს შორის²⁶¹. ამ დამთხვევებში
შესაძლებელია მოსახლეობის გარკვეული მასების გადაადგილება
დავინახოთ ქსნის ხეობიდან ბარში. ყოველ შემთხვევაში, შეიმჩნევა
ტენდენცია შიდა ბარისკენ მოსახლეობის გადაადგილება. ქსნის
ხეობაში ოსები იჭერენ შთიულებისაგან დაკავებულ ადგილებს, ყან-
ჩაველები და კორინთელები კი (გვარებს ვგულისხმობთ) ქსნიდან
ბარში ჩამოსულან—სოფ. ყანჩაეთიცა და კორინთაც ქსანზეა. მუნ-
რანის ველი, სადაც ქსნის ღევის მოსახლეობას უძველესი ხანიდან
საზამთრო საძოვრები უნდა ჰქონოდა, ისევ ქსნის ღეობის მოსახლე-
თა მიერ ჩანს ათვისებული სახნავ-სათესადაც. აქაც ტოპონიმიკური
შეხვედრები გვაქვს: სოფ. ერედა ძალისასთან და ერედა ქსნის ხე-
ობაში, ყანჩაურას შესართავთან.

²⁵⁷ „ძველი ერისთავთა“, გვ. 356.

²⁵⁸ მაგ. საქ. სახ. მუზეუმის ფონდებიდან, საინვ. №№ 10—12:197—201 (ცხა-
ვატი); № 19—61 (ს. უკანუბანი, ლარავისის საბჭო) და სხვ.

²⁵⁹ იხ. MAK, VIII, стр. 130.

²⁶⁰ ნ. მხარეულოვის კერძო კოლექციაში ინახებოდა ლენინგრის მიდა-
მოებში აღმოჩენილი ხარის ორი ბრინჯაოს მასიური ქანდაკება, სავსებით ისე-
თივე, როგორც ერთი ცალი ყაზბეგის განძიდან. იხ. Th. H. Bossert, Ge-
schichte des Kunstgewerbes, Band IV, Berlin, Zürich, 1930. გვ. 14.

²⁶¹ ნ. მხარეულოვის კოლექცია ამჟამად გორის მუზეუმშია.

²⁶² ქსნის ხევის ბაგინი, არმაზი, საძველური, ძველვეი და მცხეთური ბაგინე-
თი, არმაზიხე, არმაზისხევი, ძველი.

მუხრანის სარწყავი სისტემის აგების შემდეგაც ქსნის ხევის მთლიანად არ უნდა დაეკარგა აღრინდელი მნიშვნელობა. სარწყავი არხების სათავეები ხომ ისევ ხევისუფალთა ხელში რჩებოდა²⁶², მაგრამ მუხრანის, ტირიფონის და ურბნისის სარწყავი სისტემების დასრულების შემდეგ დიდი ძვრები უნდა მომხდარიყო საქართველოში: შიდა ქართლის სარწყავი ველები საქართველოს ბელად იქცა და შედეგად შიდაქართლის ბარშივე, მისი მრავალრიცხოვანი მტკვრისპირა ქალაქებით. უნდა გადმონაცვლა პირველი ქართული სახელმწიფოს ჯერ ეკონომიურ. ხოლო შემდეგ პოლიტიკურ ცენტრებსაც.

ქართლის ველებზე დიდი სარწყავი სისტემების მშენებელი სახელმწიფოს რაიმე სახელით მოხსენებას აქამდე შეგნებულად გავუბრუნდით. რადგან სავსებით შეგნებული გვაქვს სირთულე საკითხისა, რომელიც ერთი ხელის მოსმით ვერ გადაიჭრება. პირადად ჩვენ. ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ერთიანობის გამო ქართლსა და დასავლეთ საქართველოს შორის (ახალგორი-ყანჩეთი-ითხვისი-შრომისუბანი-ვანი) გვგონია. რომ ძვ. წ. V—IV საუკუნეების ეს პირველი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგივე სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. რომელიც ანტიკურ წყაროებში (პეროდოტი და სხვ.) კოლხეთის სახელითაა ცნობილი და რომლის ცენტრი ადრეანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოშია საძიებელი²⁶³. კოლხეთი აქემენიანთა ექსპანსიას გადაურჩა²⁶⁴. როგორც ჩანს, აქემენიდებს არც აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორია დაუპყრიათ²⁶⁵. ყოველ შემთხვევაში აქ მათი ხანგრძლივად ყოფნის ისეთი კვალი, როგორც მაგალითად აირარატის ველზე (არინბერდი), არ ჩანს. ძვ. წ. VI—V საუკუნეთა მიჯნაზე აქემენიანთა სატრაპების ეპიზოდურ ლაშქრობებს. რის შედეგადაც, შესაძლებელია, დაინგრა, მაგალითად, ხოვლე, ხანგრძლივი მშვიდობის ხანა უნდა მოჰყოლოდა საქართველოსათვის.

²⁶² შედ. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

²⁶³ ამით, სხვათაშორის აიხსნებოდა ქართული საისტორიო წერილობითი ტრადიცია, რომელიც უძველეს ხანაში ერთ სახელმწიფოს ითვის საქართველოს ტერიტორიაზე და არა ორს.

²⁶⁴ პეროდოტი, III, 97.

²⁶⁵ პლუტარქე, პომპეუსი, 34.

V საუკუნის პირველ ნახევარში აქემენიანთა იმპერიის მთელი ძალა და ყურადღება მცირეაზია-საბერძნეთისაკენ იყო მიპყრობილი. V საუკუნის შუახანებიდან კი მათ ხელი აღარ მოუწვდებოდათ საქართველომდე²⁶⁶. ამ საუკუნის ბოლოს ჩვენი სამხრეთი მეზობლებიც აქემენიანთაგან დამოუკიდებელნი ჩანან²⁶⁷. ამ ხანგრძლივი შედარებითი მშვიდობიანობის ხანაში უნდა გავვრცელებინა თავისი ძალა-უფლება კოლხურ სახელმწიფოებრიობას აღმოსავლეთ საქართველოზეც. ალაც ამ დროისათვის უკვე არსებობდა საწარმოო ძალთა განვითარების სათანადო დონე. ამავე მშვიდობიანობას ხელი უნდა შეეწყო ქვეყნად დოვლათის დაგროვებისათვის (ახალგორის განძი, ვასი) და საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის. რის შედეგადაც მოხდა შიდა ქართლის ველების სარწყავად ათვისება. ამან კი თავისთავად გამოიწვია ქვეყნის ჯერ ეკონომიური, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ცენტრების შიდაქართლშივე გადმონაცვლება. აქემენიდურ ხანაში უნდა მომხდარიყო მოსახლეობის კარკვეული მასების გადმონაცვლება წინააზიიდან ამიერკავკასიაში, რისიც კვალიც უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული ცვლილებანი ქართულ მატერიალურ კულტურაში. შეიძლება ამავე ტალღას შემოჰყვა ღვთაებათა მცირეაზიური სახელები—არმაზი, ზადენი, რომელთა კულტი აღრეანტიკურ ხანაშივე უკვე ფართოდ გავრცელებული ჩანს საქართველოში.

აქემენიანთა იმპერიის თანამედროვე ამ პირველ ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ბოლო უნდა მოღებოდა აქემენიანთა იმპერიის დაცემისა და ალექსანდრე დიდის გარდაცვალების შემდეგ ატეხილ ომებში. საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სისხლისმღვრელი ბრძოლების ყრუ გამოძახილი შემოგვიჩანს ქართულმა წერილობითმა საისტორიო ტრადიციამ²⁶⁸. ამავე ბრძოლების ცოცხალი მოწმეებია ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე დამწვარ-დანგრეული ანტიკური ხანის ქართული ქალაქები—ვანი, ურბნისი, უფლისციხე, სარკინე.

პირველი ქართული სახელმწიფოს ნანგრევებზე ხელშემწყობი საერთაშორისო პირობების დადგომისთანავე, III საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა ახალი ქართული პოლიტიკური ერთეული—ქართლის სამეფო. იბერია, ცენტრით მცხეთაში.

²⁶⁶ R. G. Hirschman. Iran, გვ. 189—197.

²⁶⁷ ქსენოფონტე, ანბასისი, წიგნი VII, თავი VIII, 25.

²⁶⁸ „სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თათუნ“...

გ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა. გვ. 9.

ПАМЯТНИКИ РАННЕАНТИЧНОЙ ЭПОХИ ИЗ КСАНСКОГО УЩЕЛЬЯ

Резюме

Изучение процесса формирования классового общества и первых государственных образований одна из важнейших проблем истории древней Грузии. Ряд вопросов, связанных с этой проблемой, ввиду скудности письменных источников может быть решен лишь на основании изучения археологических материалов.

За последние годы грузинской археологией достигнуты значительные успехи в деле выявления и изучения памятников раннегосударственного периода истории Грузии¹. Но, несмотря на это, т. н. Ахалгорийский клад, а фактически инвентарь богатого женского погребения, обнаруженного в 1908 году в Ксанском ущелье, у селения Садзегури, нынешнего Ленингорского района, все же продолжает по сей день оставаться одним из самых значительных археологических памятников этой эпохи². Смело можно утверждать, что без учета данных Ахалгорийского клада многие вопросы, связанные с проблемой генезиса грузинской государственности, даже не могут быть поставлены. Именно в этом и заключается, главным образом, значение Ахалгорийского клада, помимо выдающейся художественной ценности составляющих его предметов, и именно поэтому всестороннее его изучение в свете новейших данных, является задачей первостепенной важности, стоящей перед грузинской археологической наукой³.

До последнего времени единственным памятником, близким с Ахалгорийским кладом как хронологически, так и по характеру, был инвентарь Алгетского погребения, открытого у селения Цинцаро в 1940 году⁴, и только недавно, летом 1960 года, неподалеку от селения Канчаети, Ленингорского района, т. е. опять в Ксанском ущелье, как и Ахалгорийский клад, случайно было обнаружено богатое погребение, инвентарь которого, впервые публикуемый в данной работе, оказался еще более близким к Ахалгорийскому кладу.

¹ Археология Грузии, Тбилиси, 1959 г., гл. IV (на груз. яз.).

² Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тбилиси, 1959 г.

³ Н. А. Бердзенишвили, К исторической географии. Сборник исторической географии Грузии, Тбилиси, 1960 г., стр. 18—20 (на грузинском языке).

⁴ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трнаleti, Тбилиси 1941 г., стр. 34—41.

Канчаецкое погребение, в отличие от Ахалгорийского кла- да являясь мужским захоронением, во многом пополняет дан- ные Ахалгорийского клада, например, содержит полный ком- плект боевого вооружения воина. Это обстоятельство еще больше увеличивает значение повой находки.

Рассмотрим инвентарь Канчаецкого погребения и попут- но остановимся на некоторых вопросах, возникающих при его изучении⁵.

В инвентарь Канчаецкого погребения входят серебряные ромбические пластинки, служившие накладками на губы и глаза покойника. С оборотной стороны к пластинкам были припаяны петельки для продевания шнуров, ныне утерянные⁶. Длина нагубника 135 мм; ширина наглазника — 42 мм. (Табл. 1, №№ 1, 2, 3).

Аналогичные лицевые пластинки из Алгетского погребе- ния вместе с канчаецкими являются древнейшими во всем Закавказье. Обычай употребления лицевых пластинок в по- гробальном обряде указывает на связи раннеантичной Грузии со Средиземноморьем. В Ахеменидском Иране этот обычай не известен⁷.

Из личных украшений в инвентаре Канчаецкого погребе- ния сохранились пара серебряных браслетов (Табл. 1, №№ 4, 5), один непарный бронзовый браслет (Табл. 1, № 6) и три серебряных перстня. Все три браслета с вогнутой спинкой, как и браслеты Алгетского погребения.

• В Ахалгорийском кладе, как известно, нет браслетов с вогнутой спинкой, но золотые браслеты Ахалгорийского кла-

⁵ Золотые предметы (два перстня, чаша), входящие в состав инвен- таря Канчаецкого погребения, утеряны.

⁶ Спектральный анализ припоя, проведенный в Химико-реставраци- онной лаборатории Гос. Музея Грузии, показал, что он состоял из олова и свинца, причем преобладало олово.

Аналогичный припой был обнаружен и на серебряных нащечниках конского оголовья (№№ 48—58), все петельки от которых, за исключени- ем одной № 59), также утеряны.

⁷ Б. А. К у ф т и н. Ук. соч., стр. 40.

Н. В. П я т ы ш е в а. Ювелирные изделия Херсонеса. М., 1956 г., стр. 33.

F. H. Marshall, Catalogue of the Jewellery, London, 1911, tab. I—III.

E. Cjerstad, etc., The Swedish Cyprus Expedition, Stockholm, 1934, v. I, tab. LXXXIV, 198, XCII, 77.

M. Froiherr von Oppenheim, Der Tell—Halaf, Leipzig, 1931, Taf. III.

Collection Hélène Stathatos, III, Strasburg, 1963, p. 191, fig. 95.

Г. Ломтатидзе, Кандецкий могильник, Тбилиси, 1957 г., стр. 112 (на груз. яз.).

да, так же как и гриваны, имеют совершенно такие же утолщенные головки в виде рубчатой бусины, как и серебряные канчаецкие и один: аглетский браслет.

Браслеты с вогнутой спинкой широко распространены по всему Закавказью во второй половине I тысячелетия до н. э. Они впервые появляются в V в. до н. э. и, по-видимому, распространились из Ахеменидского Ирана. Севернее Кавказа такие браслеты не проникали.⁸

Из серебряных перстней Канчаецкого погребения целым дошел до нас лишь один (Табл. I, II, № 7), от второго сохранился щиток (Табл. II, № 8), а от третьего — только маленький обломок щитка с кусочком шинки (№ 9, не изображен)⁹.

Канчаецкие перстни-печати относятся к тому же типу цельнометаллических перстней-печатей, что и золотые и серебряные ахалгорийские (табл. II, а, в, с, d) и алтетские перстни (Табл. II, е, f, g), а также бронзовые перстни из могильников Дабла-Гоми, Итхвиси, Куши и т. д. Все они имеют плоские, почти круглые щитки, с углубленными изображениями на них, и раскрытые шинки, и считаются местными изделиями (Рис. 1)¹⁰.

Единственное место за пределами Грузии, где в V—IV в.в. до н. э. также производились цельнометаллические перстни-печати с раскрытыми шинками, было Боспорское царство. Но эти последние от грузинских резко отличаются стилем и выбором изображений, помещаемых на щитках, которые в Северном Причерноморье всегда оставались чисто греческими¹¹, тогда как изображения на наших печатях очень своеобразны

⁸ Я. И. Смирнов, Ук. соч., №№ 1, 2, 3.

Б. А. Куфтин, Ук. соч., стр. 36.

Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани. Кавказско-Ближневосточный сборник, II, Тбилиси, 1960 г., стр. 70.

⁹ Данная часть работы автором была зачитана в виде доклада. См. Ю. М. Гагошидзе, Древнейшие грузинские перстни-печати, X научная сессия Гос. Музея Грузии, Тезисы докладов, Апрель 1962 г.

¹⁰ Я. И. Смирнов, Ук. соч., №№ 27, 28, 29, 30, табл. III, X.

Б. А. Куфтин, Ук. соч., стр. 35, табл. XI.

Б. А. Куфтин, Археологические работы 1947 г. в Цалкинском районе. Тбилиси, 1948 г., стр. 10, рис. 4, табл. II.

Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, стр. 44—45, рис. 11.

М. Лорткипанидзе, Геммы Гос. Музея Грузии, III, Тбилиси, 1961 г., №№ 34, 35, 36, 37, 38.

¹¹ М. И. Максимова, Резные камни, Античные города Северного Причерноморья, 1, 1955 г., М.-Л., стр. 441.

и самобытны, что неоднократно отмечалось в специальной литературе¹².

